

კარლ გუსტავ იუნგი

ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები

სიზმრები

თბილისი

1995

C. G. JUNG

ÜBER GRUNDLAGEN DER ANALYTISCHEN

PSYCHOLOGIE

RASCHER VERLAG

ZÜRICH UND STUTTGART

C. G. JUNG

DREAMS

BOLLINGEN SERIES

PRINCETON UNIVERSITY PRESS

გამომცემელთაგან

წინამდებარე კრებული კარლ გუსტავ იუნგის ნაშრომთა პირველი ქართული გამოცემაა.

მადლობას ვუხდით დახმარებისათვის კ.გ იუნგის ოჯახს, ანალიზური ფსიქოლოგიის ასოციაციას, ციურიხის იუნგის ინსტიტუტს, საზოგადოებას „დინამიკური ფსიქოლოგია“, გამომცემლობას „დიოგენე“, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურ ინსტიტუტს, თბილისის მერიასთან არსებულ მცირე ბიზნესისა და ახალი ტექნოლოგიების განვითარების ფონდს, ფირმებს „კოკა-კოლა კავკასიონი“ და „ბერიკა“, „გლორიბანკს“.

საგანგებოდ აღვნიშნავთ მხატვარ კოტე სულაბერიძეს, რედაქტორებს ცირა ცერაძესა და ლევან ბრეგაძეს.

განსაკუთრებული მადლობა - ქალბატონ ასტრი ჰოგნესტადს, ნორვეგიელ ფსიქოთერაპევტს, საქართველოში იუნგიანური იდეების პოპულარიზატორს.

და ბოლოს: ორიგინალის სქოლიოები ტექსტში ციფრებითაა აღნიშნული, ჩვენი შენიშვნები კი - ვარსკვლავებით.

თამარ ლეხანიძე

ნინო ჯავახიშვილი

ირინა ჯიოევი

კარლ გუსტავ იუნგი

კარლ გუსტავ იუნგი დაიბადა 1875 წლის 26 ივლისს კესვილში (შვეიცარია). მისი ოჯახი გერმანული წარმოშობისა იყო და საკმაოდ მაღალ საზოგადოებას მიეკუთვნებოდა. მიუხედავად ამისა, იუნგის სიყმაწვილემ ხელმოკლეობაში განვლო.

1894 წელს იუნგმა დაამთავრა გიმნაზია და სწავლა განაგრძო ბაზელის სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი ციურიხში გადავიდა და მუშაობა დაიწყო ბურგჰოლცის კლინიკაში, რომელსაც ცნობილი ფსიქიატრი ე. ბლეილერი ხელმძღვანელობდა.

1902 წელს იუნგმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ოკულტური ფენომენების ფსიქოლოგია და პათოლოგია“. 1903 წელს იგი დაქორწინდა ემა რაუშენბახზე, რომელთანაც ოთხი გოგონა და ერთი ვაჟი შეეძინა.

1907 წელს იუნგი ჩავიდა ვენაში ზიგმუნდ ფროიდთან შესახვედრად. შვიდი წლის შემდეგ მათი თანამშრომლობა კონცეპტუალური შეუთანხმებლობითა და ურთიერთშეურაცხყოფით დამთავრდა. მანამდე კი კარლ გუსტავ იუნგი იყო საერთაშორისო ფსიქოანალიზური საზოგადოების პირველი პრეზიდენტი, საერთაშორისო ფსიქოანალიზური ჟურნალის რედაქტორი, ფსიქოანალიზის, როგორც დამოუკიდებელი დარგის ორგანიზატორი.

1914-18 წლებში გადატანილი ე.წ. საშუალო ასაკის კრიზისის შემდეგ იუნგის ინტერესების სფერო ფართოვდება და მოიცავს მითოლოგიას, ალქიმias, ანთროპოლოგიას, ისტორიას, არქეოლოგიას...

იუნგი ღრმა მოხუცებულობამდე მუშაობდა პაციენტებთან. იგი გარდაიცვალა კიუსნახტში 1961 წლის 6 ივნისს.

იუნგის იდეები კულტურის ყველა სფეროში შეიჭრა და მისაღები აღმოჩნდა ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ადამიანებისათვის.

დღესაც მთელ მსოფლიოში იუნგს მრავალი თაყვანისმცემელი და მიმდევარი ჰყავს. ისინი გამოსცემენ ჟურნალებს, წიგნებს, იუნგიანური თვალთახედვით ანალიზებენ მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებსა თუ კინემატოგრაფიულ სიახლეებს. და ეს საქმიანობა მათთვის, იუნგის მსგავსად, „შინაგანი განვითარების, ზრდის გამოხატულება“.

ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები

გერმანულიდან თარგმნა ირინე ჯოიევა

წინამდებარე ლექციები ჩინებულად ამზადებს მკითხველს იმ საფუძვლების გასაცნობად, რომელთაც იუნგის შემოქმედება ეყრდნობა. ლექციები სისტემატურ ხასიათს ატარებენ და მაინც არაფორმალური არიან; იუნგის ნაუბარის ჩანაწერი მკაფიოდ გვიქმნის მისი პიროვნების შესახებ.

ე.ა. ბენეტი

ვინაიდან გერმანული გამოცემა კ.გ. იუნგის სიკვდილის შემდეგ (1961) ქვეყნდება, მის მიერ ჩამოყალიბებული ცნებები, რომელთაც შემდგომში ნაწილობრივ მოდიფიკაცია განიცადეს, ისევეა დატოვებული, როგორც იგი მაშინ ხმარობდა.

გამოცემლობა

პირველი ლექცია

თავმჯდომარე, დოქტ. ჰ. კრიხტონ-მილერი:

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო!

ნება მიბოძეთ, ყველა თქვენგანის სახელით გულთბილად მივესალმო ბატონ პროფესორ იუნგს. გამოგიტყდებით, დიდ ბედნიერებას მანიჭებს ამის უფლება. ბატონო პროფესორო, ეს რამდენიმე თვეა, თქვენი ვიზიტის სასიხარულო მოლოდინით ვიყავით აღვსილნი. უთუოდ, მრავალი ჩვენგანი ამ სემინარებზე შემეცნებითი სიახლეების შექმნას იმედოვნებს. ვფიქრობ, უმეტესობა ჩვენგანს იმედი აქვს, რომ საკუთარი თავის შესახებ მიიღებს ახალ ინფორმაციას. მრავალი აქ დამსწრისათვის თქვენ წარმოადგენთ ადამიანს, რომელმაც თანამედროვე ფსიქოლოგია იხსნა სხვა სულიერი მეცნიერებებისგან სახიფათოდ გამიჯვნის საფრთხისაგან. ჩვენ აღფრთოვანებული ვართ თქვენი სულიერი გამბედაობითა და ჰორიზონტის სიფართოვით

- თვისებებით, რომლებმაც თქვენ შესაძლებლობა მოგცათ დაგეგავშირებინათ ფსიქოლოგია და ფილოსოფია, თუმცა ზოგ-ზოგებს ეს მოსაწონად არ მიაჩნიათ. თქვენ განაახლეთ ფსიქოლოგიურ აზროვნებაში ღირებულებათა საზრისის, ადამიანის თავისუფლების პრობლემა, თვალი აგვიხილეთ ბევრ რამეზე, რითაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეთ მრავალ ჩვენგანს; და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ადამიანის სამშენველის კვლევა თქვენთვის არ წყდება იქ, სადაც ბუნებისმეტყველების შესაძლებლობები ამოწურულია. ამ და რიგ სხვა მიზეზთა გამო, რომლებიც პირადი ხასიათისაა თითოეული ჩვენგანისათვის, მადლობას გიცხადებთ და დამაბული ინტერესით ველით თქვენთან შეხვედრებს.

კ.გ. იუნგი:

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო!

უპირველეს ყოვლისა, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ინგლისური არ არის ჩემი მშობლიური ენა, რის გამოც გთხოვთ შემწყნარებლობა გამოიჩინოთ ჩემი გაუმართავი მეტყველებისა და შეცდომების მიმართ.

როგორც იცით, ჩემი ამოცანაა ფსიქოლოგიის ძირითადი საკითხის მოკლე მიმოხილვა. ამასთან, რაკი ჩემს პრინციპებსა და თავალსაზრისს წამოვწევ წინა პლანზე, ნუ იფიქრებთ, რომ მე არ ვაფასებ მკვლევართა მიერ ამ სფეროს შესწავლაში შეტანილი დიდი წვლილის მნიშვნელობას. საკუთარ დამსახურებას როდი ვაზვიადებ; უბრალოდ, ვგულისხმობ, რომ ფროიდისა და ადლერის ღვაწლის შესახებ თავადაც ჩინებულად მოგეხსენებათ.

ახლა შევუდგეთ საქმეს. უწინარეს ყოვლისა, ორიოდ სიტყვით გაგაცნობთ პროგრამას. ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ ორ ძირითად სფეროზე: **ჯერ ერთი, არაცნობიერის სტრუქტურასა და შინაარსებზე** და, მეორე, **მეთოდებზე**, რომელთაც მივმართავ ხოლმე არაცნობიერი ფსიქიკური პროცესიდან გამოვლენილ შინაარსთა კვლევისას. მეორე სფერო, თავის მხრივ, სამ ნაწილად იყოფა: **1. ასოციაციის ექსპერიმენტი; 2. სიზმრის ანალიზი; 3. აქტიური წარმოსახვა.**

რასაკვირველია, ჩემთვის სრულიად შეუძლებელია ახლა ყოველივე ის გადმოგცეთ, რაც შეიძლება ითქვას ისეთი რთული თემების შესახებ, როგორცაა, მაგალითად, ჩვენი დროის კოლექტიური ცნობიერებისათვის დამახასიათებელი ფილოსოფიური, რელიგიური, ეთიკური და სოციალური, ანდა კოლექტიურ არაცნობიერში მიმდინარე პროცესებისა და მათ

ნათელსაყოფად საჭირო კვლევების შესახებ შედარებითი მითოლოგიისა და ისტორიის სფეროში. რაც უნდა განყენებული გვეჩვენებოდეს ეს თემები, ისინი მაინც ინდივიდთა შინაგანი მდგომარეობის წარმოქმნის, რეგულაციისა და დარღვევის უძლიერეს ფაქტორებს წარმოადგენენ, და სწორედ ისინი განაპირობებენ დივერგენციებს ფსიქოლოგიურ თეორიათა სფეროში. თუმცა მე ექიმი ვარ და, ამიტომ, უმთავრესად ფსიქოპათოლოგიაა ჩემი საქმიანობის სფერო, დარწმუნებული ვარ, რომ ფსიქოლოგიის სწორედ ეს დარგი საბოლოო ჯამში მოგებას ნახავს, თუკი ნორმალური მშვიდვიერი ცხოვრების შესახებ გაიღრმავებს და გაიფართოვებს ცოდნას. ექიმს, მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ავადმყოფები ნორმალური პროცესების დარღვევებია და არა **entia per se**,* მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიით. **Similia similibus curantur**** ძველი მედიცინის ყურადსაღები ჭეშმარიტებაა და, ისევე როგორც ყველა ჭეშმარიტება, ისიც შეიძლება უდიდეს უაზრობად იქცეს. ასე რომ, სამედიცინო ფსიქოლოგია ფრთხილად უნდა იყოს, თვითონ არ დაავადდეს. ცალმხრივობა და ჰორიზონტის შეზღუდვა ხომ ნევროზის საყოველთაოდ ცნობილი მახასიათებელია.

* რაიმე თავისთავადნი (ლათ.).

** მსგავსი მსგავსს ჰკურნავს (ლათ.).

რა ვქნა, რაზეც უნდა გესაუბროთ, - ტყუილია, დასრულებით ვერაფერს დავასრულებ. სამწუხაროდ, ვერ შევძლებ შევეხო მრავალ ახალ თეორიას, ვინაიდან ბუნებით უფრო ვეტანები, ვიდრე მათ შესახებ სპაკულაციას, თუმცადა, ვაღიარებ, რომ ეს უკანასკნელი სასიამოვნო ინტელექტუალური გასართობია.

ყოველი ახალი შემთხვევა ჩემთვის თითქმის ახალი თეორიაა, და იქნება ჩემი თვალსაზრისი არც ისე უვარგისი აღმოჩნდეს, თუ კაცი დაუფიქრდება, რა ახალგაზრდაა ჯერ კიდევ თანამედროვე ფსიქოლოგია. მე რომ მკითხოთ, ის ჯერ აკვანს არ ასცილებია. ასე რომ, ზოგადი თეორიების ხანა დღესდღეობით ნამდვილად არ მომწიფებულა. ხანდახან ისიც მეჩვენება, რომ ფსიქოლოგიას ჯერაც ვერ გაუცნობიერებია ვერც თავისი ამოცანის გიგანტური მასშტაბები და ვერც თავისი ობიექტის - ფსიქიკის შემაცბუნებლად და დამთრგუნველად რთული ბუნება. ეტყობა, ეს აზრი ჯერ კიდევ მძიმედ შემოდის ჩვენს ცნობიერებაში და წესიერად ვერც კი

წარმოგვიდგენია, თუ რას ნიშნავს ის, რომ სამშვიდველი, ერთის მხრივ, მეცნიერული კვლევისა და დაკვირვების **ობიექტია** და, ამავე დროს, მეორე მხრივ, მისი სუბიექტიცაა, ე.ი. **საშუალება**, რომლითაც ეს დაკვირვება იწარმოება. ამ საშიში მოჯადოებული წრის გაცნობიერებამ უკიდურეს წინდახედულებას მიმაჩვია და შეხედულებათა ჭეშმარიტობის ფარდობითობის აღიარებამდე მიმიყვანა, ეს კი გაუგებრობას იწვევს ხოლმე.

არ მინდა ჩემი თხრობა კრიტიკული შენიშვნებით გადავტვირთო, - ეს მხოლოდ ხელს თუ შეგვიშლის. მე, უბრალოდ, წინასწარ ბოდიშს ვიხდი ერთი შეხედვით ზედმეტი გართულებებისთვის. თეორიები მე ნაკლებად მაინტერესებს, ვიდრე ფაქტები. ამრიგად, გთხოვთ გახსოვდეთ: ჩემს განკარგულებაში არსებული მცირე დროის განმავლობაში არ შემიძლია გადმოგცეთ მთელი ის მასალა, რომელსაც ჩემი დასკვნები ეფუძნება, - უპირველეს ყოვლისა, აქ ვგულისხმობ სიზმრის ანალიზის ვრცელ განშტოებებსა და არაცნობიერ პროცესთა კვლევის შედარებით მეთოდს. აქ მე თქვენი გამგებიალობისა და მხარდაჭერის იმედი მაქვს; თუმცა, ცხადია, პირველ რიგში ჩემზეა დამოკიდებული ამ საკითხების შემღებინებადგარად მარტივად გადმოცემა.

ფსიქოლოგია, უწინარეს ყოვლისა, არის მეცნიერება ცნობიერების შესახებ. შემდგომ, იგი არის მეცნიერება იმის პროდუქტთა შესახებ, რასაც ჩვენ არაცნობიერ მშვიდვიერ ცხოვრებას ვუწოდებთ. უშუალოდ არაცნობიერის კვლევა ჩვენ არ ძალგვიძს სწორედ იმიტომ, რომ ის არაცნობიერია და ამის გამო ჩვენ მასთან მისადგომი არ გაგვაჩნია. ჩვენ მხოლოდ ცნობიერ მოცემულობებს შეგვიძლია ჩავეჭიდოთ, რომელთა შესახებაც ვვარაუდობთ, რომ მათ ფესვები იმ სფეროში უნდა ჰქონდეთ გადგმული, ჩვენ რომ არაცნობიერს ვუწოდებთ, - „ბნელ წარმოდგენათა“ სფეროში, რომელნიც, ფილოსოფოსის კანტის **ანთროპოლოგიის**¹ მიხედვით, სამყაროს ნახევარს შეადგენენ. რაც არ უნდა ვთქვათ არაცნობიერის შესახებ, ყველაფერს ხომ ცნობიერი სული გამოთქვამს. არაცნობიერი მშვიდვიერი ცხოვრება აბსოლუტურად უცნობი ბუნებისაა. მაგრამ ის გამოხატულებას პოულობს ცნობიერებასა და ცნობიერების წანამდღვრებში, - ეს არის და ეს, ამაზე შორს ვერ მივდივართ, და ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ესაა ჩვენი განსჯის უკანასკნელი კრიტერიუმი.

ცნობიერება უცნაური რამაა. ის წყვეტილი ფენომენია. ადამიანის ცხოვრების მეხუთედი თუ მესამედი ან, იქნებ, ნახევარიც კი სანახევროდ არაცნობიერ მდგომარეობაში მიმდინარეობს. ჩვენი ბავშვობის პირველი ხანა არაცნობიერად გადის, ყოველ ღამით არაცნობიერში ვიძირებით, და მხოლოდ განსაზღვრულ შუალედებში სიფხიზლესა და ძილს შორის ვფლობთ

მეტ-ნაკლებად ნათელ ცნობიერებას. კაცმა რომ თქვას, ისიც საკითხავია, რამდენად ნათელია ეს ცნობიერება. ასე, მაგალითად, ათი წლის ბავშვი თითქოსდა უკვე ცნობიერად მოქმედებს, მაგრამ ადვილი საჩვენებელია, რომ აქ რაღაც უცნაურ ცნობიერებასთან გვაქვს საქმე, კერძოდ, ეტყობა, ცნობიერებასთან, ოღონდ ყოველგვარი „მე“-ცნობიერის გარეშე. რამდენი ბავშვი ვიცი, რომ თერთმეტი, თორმეტი, თოთხმეტი წლის ასაკში, ან უფრო გვიანაც კი, უეცრად განიცდიან: „მე ვარ“. ცხოვრებაში პირველად გრძნობენ ისინი, რომ **თვითონ** განიცდიან, რომ შეუძლიათ ჩაიხედონ წარსულში, რომელიც შეიცავს მოგონებებს ნივთების, მაგრამ არა მათი საკუთარი თავის შესახებ.

უნდა ვაღიაროთ, რომ როცა ვამბობთ: „მე“, არ გაგვაჩნია აბსოლუტური კრიტერიუმი, ყოველგვარი ვიცით ამ „მე“-ს შესახებ თუ არა. შესაძლებელია, ჩვენი ცოდნა „მე“-ს შესახებ ჯერ ისევ ფრაგმენტულია, და შემდგომში შეიძლება ადამიანებმა გაცილებით მეტი რამ იცოდნენ ამის შესახებ, თუ რას ნიშნავს „მე“ ადამიანისთვის, ვიდრე ჩვენ ვუწყით დღესდღეისობით. მართლაც, ჩვენ ხომ წარმოდგენაც არა გვაქვს, თუ რა შედეგებს მოიტანს კიდევ ეს პროცესი.

¹ KANT, Anthropologie in pragmatischer Hinsicht, I ნაწილი, წიგნი I, § 5.

ცნობიერება წააგავს ზედაპირს ან აპკს, გადაჭიმულს იმ ვრცელ არაცნობიერ სფეროზე, რომლის ტევადობა ჩვენთვის უცნობია. რამდენადაც ჩვენ არაფერი ვიცით არაცნობიერის შესახებ, ამდენად არც მისი სამფლობელოს შემოფარგვლა ძალგვიძს. რაც არ ვიცით, რა არის, იმაზე რა უნდა ვთქვათ. როდესაც ვამბობთ: „არაცნობიერი“, ხშირად გვგონია, რომ ამით რაღაც კონკრეტულს გამოვხატავთ, სინამდვილეში კი, უბრალოდ, იმას გამოვთქვამთ, რომ არ ვიცით, რა არის არაცნობიერი. ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ არაპირდაპირი საბუთები მოგვეპოვება იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ ცნობიერების ზღურბლს ქვემოთ არსებობს ფსიქიკური სფერო; აგრეთვე რამდენიმე მეცნიერულად გამძლე არგუმენტებიც გაგვაჩნია. შინაარსებიდან, რომლებიც არაცნობიერს ამოაქვს, ზოგი რამ შეგვიძლია დავასკვნათ მისი არსის შესახებ. მაგრამ დასკვნების გამოტანისას საქმეს მეტისმეტად ანთროპომორფულად არ უნდა მივუდგეთ, რადგან სავსებით შესაძლებელია, ნივთები სინამდვილეში სულ სხვაგვარი იყოს, ვიდრე მათ ჩვენი ცნობიერება ხედავს.

ასე, მაგალითად, თუ კონკრეტულ სინამდვილეს შევადარებთ იმას, რასაც მისგან ჩვენი ცნობიერება ქმნის, ნაირგვარ შინაგან ხატებებს წავაწყდებით, რომლებიც „ობიექტურად“ სრულიადაც არ არსებობენ. ასე, მაგალითად, ვხედავთ ფერებს და გვესმის ტონები, მაშინ როცა სინამდვილეში მხოლოდ რხევები არსებობს. ჩვენ გვესაჭიროება ლაბორატორიები ურთულესი აპარატურით, რათა შევძლოთ წარმოდგენა შევიქმნათ იმის შესახებ, თუ როგორია სამყარო ჩვენი შეგრძნების* ორგანოებისა და ფსიქიკისაგან დამოუკიდებლად, და ვფიქრობ, არაცნობიერის საქმეც ასეა - არ გვაწყენდა ლაბორატორია, სადაც ობიექტურ მეთოდთა გამოყენებით დავადგენთ, თუ რას წარმოადგენენ სინამდვილეში ნივთები არაცნობიერ მდგომარეობაში. აქედან გამომდინარე, ყველაფერს, რასაც ამ ლექციებზე არაცნობიერის შესახებ ვიტყვი, ამ თვალთ უნდა შეხედოთ. ყოველთვის საქმე გვაქვს „თითქოს“-თან, და გთხოვთ, ეს მუდამ იქონიოთ მხედველობაში.

¹ ვხმარობთ: „შეგრძნების ორგანოები“, ან: „ფიზიკური შეგრძნების ორგანოები“, როგორც ეს მეცნიერულად ზუსტია, და არა: „გრძნობის ორგანოები“, - მით უმეტეს, რომ კ.გ. იუნგი თავად არაერთგზის გამოთქვამს აზრს ამ მიმართულებით (იხ. ქვემოთ, შეგრძნებისა და გრძნობის განსხვავების თაობაზე). შესაბამისად, ვხმარობთ: შეგრძნებადი (ან: ფიზიკურად შეგრძნებადი, ფიზიკურშეგრძნებადი) სამყარო, ფიზიკურშეგრძნებითი შემეცნება და ა.შ. მაშასადამე, მოცემულ თარგმანში გატარებულია შემდეგი ტერმინოლოგია: das Gefuehl – чувство - გრძნობა; die Empfindung – ощущение - შეგრძნება, და შესაბამისად ამისა იხმარება მათგან წარმოებული სიტყვებიც. რაც შეეხება Sinn (sinnlich)-ს, ის მიუთითებს, ერთის მხრივ, შეგრძნებით (იხ. ქვემოთ) და, მეორეს მხრივ, ხორციელ, ფიზიკურ ასპექტზე. ამიტომ მას ვთარგმნით როგორც შეგრძნებითს („ფიზიკურშეგრძნებითს“).

გარდა ამისა, ცნობიერება ერთგვარად შეზღუდულია. ყოველ მოცემულ მომენტში ის მხოლოდ მცირეოდენ თანადროულ შინაარსებს იტევს. ყველაფერი დანარჩენი ამ მომენტში არაცნობიერია. ამიტომ ცნობიერი სამყაროს უწყვეტი ერთიანობის წარმოდგენა, საყოველთაო ურთიერთკავშირის აღქმა და გაგება ასეთ ცნობიერ „ნაწყვეტ-ნაწყვეტ ასახვათა“ თანმიმდევრობის საფუძველზე გვეძლევა. ჩვენ არ შეგვიძლია მთლიანობის ხილვა, - ამისათვის ჩვენი ცნობიერება მეტისმეტად შეზღუდულია. ჩვენ საჭიროებისამებრ ვხედავთ მხოლოდ იმას,

რასაც პროექტორი მოცემულ მომენტში ანათებს. სამყაროს თითქოს ვიწრო ჭუჭრუტანიდან ვაკვირდებით, საიდანაც მისი მხოლოდ პატარა მონაკვეთი ჩანს. დანარჩენი ყველაფერი წყვდიადშია შთანთქმული და ჩვენი აღქმისათვის მიუწვდომელია. არაცნობიერის სამფლობელო თვალუწვდენელია და უწყვეტი, მაშინ როცა ცნობიერის სამეფო მარად ცვალებად, წამიერ წვდომათა შემოფარგლულ ველს წააგავს.

ცნობიერება ფართოდ ეყრდნობა აღქმასა და გარე სამყაროში ორიენტაციას. ის, ალბათ, ტვინშია ლოკალიზებული, რომელიც ექტოდერმული წარმოშობისაა და ჩვენს უშორეს წინაპართა ჟამს, ალბათ, კანის ფიზიკურშეგრძნებით ორგანოს წარმოადგენდა. ცნობიერების ასეთი ლოკალიზაცია ტვინში, საფიქრებელია, მისი უპირატესად შეგრძნებითი* (ფიზიკურშეგრძნებითი**) და მაორიენტირებელი ასპექტის საფუძველია. შემთხვევითი არაა, რომ ადრეული მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნის ინგლისელი და ფრანგი ფსიქოლოგები ცდილობდნენ, ცნობიერება შეგრძნებებიდან გამოეყვანათ, - თითქოს ის მხოლოდ მათგან შედგებოდა. ეს გამოხატულია ცნობილ გამონათქვამში: „*Nihil est in intellectu non fuerit in sensu*”.² თანამდროვე ფსიქოლოგიაში, სამწუხაროდ, არსებობს ამგვარი წარმოდგენები. ასე, ფროიდს თუმცა ცნობიერება შეგრძნებებიდან არ გამოჰყავს, მაგრამ არაცნობიერი კი გამოჰყავს ცნობიერებიდან. ეს იმავე რაციონალისტური მიდგომის გამოძახილია.

* *Empfindungs-*.

* *Sinnes-*.

² „არაფერია გონებაში ისეთი, რაც მანამდე შეგრძნებებში არ ყოფილა”. შრდ. Leibniz Neue Abhandlungen uber den menschlichen Verstand. ტომი II, თავი I, II ნაწყვეტი, ლოკის პასუხად. ფორმულირება სქოლასტიკური წარმოშობისაა; შრდ. DUNS SCOTUS, Super universalibus Porphylii, qu.3.

მე კი ყველაფერი პირიქით წარმომიდგება. ჩემის აზრით, სავსებით აშკარაა, რომ საწყისი არაცნობიერია, და ცნობიერება არაცნობიერი მდგომარეობიდან ვითარდება. ადრეულ ბავშვობას ჩვენ არაცნობიერად ვატარებთ; უმნიშვნელოვანესი ინსტინქტური ფუნქციები არაცნობიერად ხორციელდება, ცნობიერება კი შემდეგლა წარმოიშობა არაცნობიერიდან.

ეს პროცესი ძალთა უდიდეს დამაბვას მოითხოვს. ცნობიერად ცხოვრება ძნელია, ქანცის გამომცლელია. ცნობიერების განვითარება თითქმის არაბუნებრივი ძალისხმევაა. ამაში პრიმიტივების მაგალითზეც შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომელთაც სულ უმცირესი საბაზიცი ყოფნით (ანდა ისიც არ სჭირდებათ) - და უეცრად „აქ აღარ არიან“. მათ შეუძლიათ საათობით ისხდნენ უსაქმოდ, და თუ შეეკითხებით: „რას ფიქრობ?“ - განაწყენდებიან, რადგან მათ მიაჩნიათ: „მხოლოდ გიჟი ფიქრობს - მხოლოდ მას აქვს თავში ფიქრები. ჩვენ არ ვფიქრობთ“. და თუ ოდესმე ფიქრობენ, ისინი უფრო მუცლით სჩადიან ამას, ანდა გულით. ზანგთა ზოგიერთი ტომი დარწმუნებულია, რომ ფიქრები მუცელშია, რადგან ისინი მხოლოდ იმ ფიქრებს ამჩნევენ, რომლებიც ღვიძლის, კუჭის ან ნაწლავების ფუნქციას არღვევენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათთვის მხოლოდ ემოციური ფიქრებია ცნობილი. ემოციებსა და აფექტებს ყოველთვის შესამჩნევი ფიზიოლოგიური ცვლილებები ახლავს. პუებლოს ტომის ინდიელები მარწმუნებდნენ, ყველა ამერიკელი შეშლილიაო. როცა მე, ცოტა არ იყოს, გაკვირვებულმა, მიზეზი ვკითხე, მიპასუხეს: „გაიძახიან, თავით ვფიქრობთო. ნორმალური ადამიანი თავით როდის ფიქრობს! ჩვენ გულით ვფიქრობთ“. ეს ხალხი ჯერ კიდევ ჰომერულ ხანაშია, - მაშინ ხომ დიაფრაგმა (**Diaphragma, phren** - სული, სამშვინველი) ფსიქიკური აქტივობის ადგილად იყო მიჩნეული. ეს ფსიქიკური ლოკალიზაციის ნაირსახეობაა. ჩვენებური წარმოდგენა ცნობიერების შესახებ აზროვნების მის აღმატებულება თავში ათვისებს; პუებლოს ტომის ინდიელები კი ცნობიერების არსებობას გრძნობის ინტენსივობის მიხედვით ასკვნიან. აბსტრაქტული აზროვნება მათთვის უცხო ხილია. რაკი პუებლოს ტომის ინდიელები მზის თაყვანისმცემლები არიან, მე მათ ავგუსტინესეული არგუმენტი მოვუყვანე: ღმერთი მზე კი არ არის, არამედ მზის შემქმნელი.³ მაგრამ ეს გაუგებარი და მიუღებელი აღმოჩნდა მათთვის, ვინაიდან მათ არ ძალუძთ გასცდნენ თავიანთ შეგრძნებებსა და გრძნობებს; ამიტომაცაა, რომ ცნობიერება და აზროვნება მათთვის გულშია ლოკალიზებული. ხოლო ჩვენთვის ეს ფსიქიკური აქტივობა არაფერს ნიშნავს. ჩვენი გაგებით, სიზმრებსა და ფანტაზიებს ადგილი აქვს „სადღაც დაბლა“; ამიტომაც ვლაპარაკობთ „ქვე-ცნობიერის“, ცნობიერის ქვემოთ არსებულ ნივთთა შესახებ.

³ იხ. Johannis Evang., XXXIV, 2 შდრ. C.G. JUNG, Symbole der Wandlung (თხზ. ტ. V). უკვე გამოქვეყნებულ თხზულებათა ტომებზე აღნიშნულია გამოცემის წელი.

ასეთი ლოკალიზაციები, ჩვენ რომ უცნაურად გვეჩვენება, დიდ როლს ასრულებს ე.წ. პრიმიტიულ ფსიქოლოგიაში, რომელიც, კაცმა რომ თქვას, ყველაფერია, გარდა პრიმიტიულისა. ტანტრა-იოგასა და ჰინდუს ფილოსოფიაში, მაგალითად, შეგვიძლია ფსიქიკურ შრეთა უაღრესად დახვეწილი სისტემა აღმოვაჩინოთ, დაწყებული ცნობიერების ლოკალიზაციით პერინეუმში და დამთავრებული ლოკალიზაციით თავში.⁴ ეს „ცენტრებია“ ე.წ. ჩაკრები. მათ მარტო იოგას მოძღვრებაში როდი ვაწყდებით; მსგავსი წარმოდგენები გვხვდება ძველ გერმანულ ალქიმიურ ნაწარმოებებშიც,⁵ რომელთა შესახებ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ იოგას ცოდნის გარეშე არიან შექმნილი.

ცნობიერებისათვის არსებითია ის, რომ არაფერი შეიძლება ცნობიერი იყოს „მე“-ს გარეშე, ურომლისოდაც ცნობიერება წარმოუდგენელია. რაც „მე“-ს არ უკავშირდება, არც არის ცნობიერი. ამიტომ ცნობიერება შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ფსიქიკურ ფაქტთა კავშირი „მე“-სთან. მაგრამ რას წარმოადგენს თვით „მე“? „მე“ არის კომპლექსური მოცემულობა, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, სხეულის, „მუნყოფიერის“ ზოგადი აღქმისაგან შედგება; აგრეთვე მის შემადგენლობაში შედის მეხსიერების შინაარსები; ჩვენ გვაქვს წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ვიყავით, და ვფლობთ მოგონებათა გრძელ ჯგუფს. ეს ორი ფაქტორია დედაბოძი იმისა, რასაც ჩვენ „მე“-ს ვუწოდებთ. ამიტომ „მე“-ს შეგვიძლია ფსიქიკურ ფაქტთა კომპლექსი ვუწოდოთ. ამ კომპლექსს მიზიდულობის დიდი ძალა აქვს, როგორც, ვთქვათ, მაგნიტს. ის მიიზიდავს შინაარსებს არაცნობიერიდან, იმ ბნელი სფეროდან, რომლის შესახებაც არაფერია ჩვენთვის ცნობილი, აგრეთვე იზიდავს შთაბეჭდილებებს გარე სამყაროდან, და ყოველივე აქედან რაც „მე“-ს დაუკავშირდება, ის ცნობიერი გახდება, ხოლო რაც ასეთ კავშირს არ დაამყარებს - არ გაცნობიერდება.

⁴ შდრ. C.G. JUNG, Praxis der Psychotherapie (თხზ. ტ. XVI, 1958, § 558 და შემდგ.)

⁵ იუნგი აქ გულისხმობს melothesia-ს, რომელსაც ის კომენტარს უკეთებს Psychologie und Religion-ში (თხზ. ტ. XI, 1963, § 113, შენიშვნა # 5). შდრ. აგრეთვე Psychologie und Alchemie (თხზ. ტ. XII).

ამრიგად, ჩემის აზრით, „მე“ ერთგვარი კომპლექსია. რა თქმა უნდა, „მე“ ჩვენი უახლოესი და უსაყვარლესი კომპლექსია, ყოველთვის ჩვენი ყურადღებისა და სურვილების ცენტრშია, და ცნობიერება მის გარეშე წარმოუდგენელია. თუ „მე“ გაიხლიჩა, - ვთქვათ, შიზოფრენიის შემთხვევაში, - ღირებულებათა მიმართება სულ მთლად დარღვეული იქნება; ნების ძალით რაიმეს აღდგენაც შეუძლებელი ხდება, ვინაიდან ცენტრი გახლეჩილია და ზოგი - მეორესთან. ამიტომაცაა, რომ შიზოფრენიით დაავადებული ამ წუთში რომ ერთი პიროვნება, მეორე წუთში მეორეა ხოლმე.

ცნობიერების განკარგულებაშია რიგი ფუნქციებისა, რომლებიც მას ექტოფსიქიკური და ენდოფსიქიკური ფაქტების სფეროებზე ორიენტაციის საშუალებას აძლევენ. **ექტოფსიქიკაში** მე ვგულისხმობ კავშირის სიტემას ცნობიერების შინაარსებსა და გარემოდან მიღებულ შთაბეჭდილებებს შორის. ეს არის საორიენტაციო სისტემა გარე სამყაროს მოცემულობებთან ართიერთობისათვის, რომლებიც შეგრძნების ორგანოების მეშვეობით გვეძლევა. **ენდოფსიქიკა** კი კავშირის სისტემაა ცნობიერების შინაარსებსა და იმ პროცესებს შორის, რომელნიც, როგორც ვფიქრობთ, არაცნობიერში უნდა მიმდინარეობდნენ.

თავდაპირველად ჩვენ ექტოფსიქიკური ფუნქციების შესახებ ვისაუბრებთ. აქ, პირველ რიგში, შედის **შეგრძნება**,⁶ (die Empfindung) ჩვენი ფიზიკურშეგრძნებითი ფუნქცია. შეგრძნებაში მე იმას ვგულისხმობ, რასაც ფრანგები „la fonction du reel“-ს* უწოდებენ, ე.ი. ჩემს მიერ აღქმული გარეგანი ფაქტების ერთობლიობას, რომელნიც შეგრძნების ორგანოთა მეშვეობით მეძლევა. ფრანგული გამოთქმა „la fonction du reel“,** ვგონებ, ყველაზე უფრო ამომწურავია. შეგრძნება მეუბნება, რომ **რაღაც** არის; ის არ მეუბნება, თუ **რა** არის ეს, და არც სხვა რამეს მამცნობს ამ „რაღაცის“ შესახებ; ის მხოლოდ იმას ამბობს, რომ რაღაცა არის.

შემდეგი ფუნქცია, რომელიც შეგვიძლია გამოვყოთ, არის აზროვნება (das Denken).⁷ ფილოსოფოსს რომ ჰკითხოთ, რა არის აზროვნებაო, ისეთ ჩახლართულ პასუხს მოგცემთ, კაცი თავს და ბოლოს ვერ გაუგებს. ამიტომ ნურასოდეს დაუსვამთ ასეთ კითხვას ფილოსოფოსს, - იგი ხომ ერთადერთია, ვინც იცის, თუ რა არის აზროვნება; სხვამ ყველამ იცის. თუკი ვინმეს ეტყვი, აბა ერთი დაფიქრდიო, ის მშვენივრად გაიგებს, რასაც გულისხმობთ. ფილოსოფოსი კი ვერასოდეს გაიგებს. თავის უმარტივეს ფორმაში აზროვნება მეუბნება, თუ რა არის რაღაცა. იგი ნივთებს სახელებს არქმევს და ცნებასაც იძლევა, - აზროვნება ხომ აღქმას დამატებული განსჯაა (გერმანული ფსიქოლოგია მსგავს შემთხვევაში აპერცეფციის შესახებ ლაპარაკობს).⁸

⁶ C.G. JUNG, *Psychologische Typen* (თხზ. ტ. VI, 1967 წ., განსაზღვრებები, § 786 და შემდეგ.).

*რეალობის ფუნქცია (ფრანგ.).

** რეალობის ფუნქცია (ფრანგ.)

⁷ იქვე, § 774 და შემდეგ.

მესამე ფუნქცია, რომლის გამოყოფაც შეიძლება და რომელსაც ყოველდღიურ მეტყველებაში შესაბამისი სიტყვა მოეპოვება, არის **გრძნობა (das Fuehlen)**⁹ აი, აქ კი არეულია მონასტერი, და ხშირად ბრაზს ვგვრი ხალხს, როდესაც გრძნობის შესახებ ვლაპარაკობ, - რომ ჰკითხოთ, ასეთი აღმაშფოთებელი რამ კაცის ყურს ჯერ არ სმენია. გრძნობა გრძნობითი ტონის მეშვეობით ნივთთა **ღირებულებას** გვამცნობს. მაგალითად, გრძნობა მეუბნება, მისაღებია ან, თუ გნებავთ, სასიამოვნოა რაიმე თუ არა. ის მეუბნება, თუ რა არის ჩემთვის **ღირებული**. ამიტომ ყოველ აღქმას და ყოველ აპერცეფციას რაღაც გრძნობითი რეაქცია ახლავს. რაღაცნაირი გრძნობითი ტონი მაინც რომ ყოველთვის გვაქვს, ამის დამტკიცება ექსპერიმენტულადაც კი შეიძლება. ჩვენ ამ საკითხს კიდევ დავუბრუნდებით. რაც შეეხება „აღმაშფოთებელს“ გრძნობის თაობაზე, ის იმაში მდგომარეობს, რომ გრძნობა, ისევე როგორც აზროვნება, **რაციონალური**¹⁰ ფუნქციაა. ყოველი მოაზროვნე ადამიანი სრულიად დარწმუნებულია, რომ გრძნობა რაციონალური ფუნქცია კი არაა, არამედ პირიქით, უკიდურესად ირაციონალურია. მაგრამ აბა კარგად დამიგდეთ ყური. ყველა სფეროში სრულყოფილი ადამიანი არ არსებობს. ის, ვინც აზროვნებაშია უზადო, ნამდვილად არ იქნება ასეთივე გრძნობაში, რადგან ეს ორი რამ შეუთავსებადია; ისინი ურთიერთგამომრიცხავნი არიან. ეს არ ნიშნავს, რომ თუ საღი მეცნიერული ან ფილოსოფიური აზროვნება გსურთ, ყველა გრძნობითი ღირებულება უნდა გამოთიშოთ; თუ გრძნობით ღირებულებებს თავიდან ვერ მოიცილებთ, მაშინ ალბათ უფრო თავისუფალი ნების შესახებ დაიწყებთ, ვიდრე მცენარის ბუგრთა კლასიფიკაციის შესახებ. რა თქმა უნდა, ეჭვიც არავის შეეპარება, რომ გრძნობის თვალსაზრისით, ეს ორი **არსებითად** განსხვავებული თემა **ღირებულების** მხრივაც განსხვავდება.

⁸ იქვე, § 753 და შემდეგ.

⁹ იქვე, § 801 და შემდეგ.

¹⁰ იქვე, § 873 და შემდეგ.

ღირებულებითი წარმოდგენები ინტელექტისათვის კრიტერიუმი არაა; მაგრამ ისინი არსებობენ, და შეფასება მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ფუნქციაა. ღირებულებითი წარმოდგენები სამყაროს სრული ხატების მაინტეგრირებელი ნაწილებია. თუკი მათ გამოვრიცხავთ, დიდ სიძნელეთა წინაშე აღმოვჩნდებით. გრძნობა ბევრს იმიტომ ეჩვენება უკიდურესად ირაციონალურად, რომ როცა ხუმტური წამოგვივლის, რა გრძნობა აღარ გვეუფლება, და ყველა დარწმუნებულია, აქ, ამ ქვეყანაში კი - განსაკუთრებით, რომ ასეთი გრძნობები დაოკებულ უნდა იქნეს. ვაღიარებ, რომ ეს კარგი თვისებაა, და აღფრთოვანებული ვარ მის გამო ინგლისელებით; მაგრამ გრძნობები მაინც არსებობს, და მე ვიცნობ ადამიანებს, რომელთაც საუცხოოდ ძალუმთ მათი მოთოკვა, მაგრამ მაინც უდიდეს სიძნელეებს აწყდებიან მათ გამო.

მივადექით მეოთხე ფუნქციას. შეგრძნება გვეუბნება, რომ რაღაც არის. აზროვნება გვეუბნება, თუ რა არის ეს რაღაცა; გრძნობა გვეუბნება, თუ რა ღირებულება აქვს მათ ჩვენთვის. მაგრამ არსებობს კიდევ ერთი კატეგორია - დრო. ყველაფერს აქვს თავისი წარსული და მომავალი, - ყოველივე საიდანღაც მოდის, საითკენაც მიდის. ვინ იცის, საიდან მოდის, ან ვინ გაიგებს, საით მიემართება; მაგრამ, საბედნიეროდ, გაგვაჩნია წინათგრძნობა, ალლო, და ის გვეხმარება ამ საქმეში. ასე, მაგალითად, ხელოვნების ნაწარმოებებით ანდა ანტიკვარებით მოვაჭრე „სუნს იკრავს“, რომ ესა და ის ნივთი მე-18 საუკუნის ოციან წლებში რომელიღაც დიდი ოსტატის მიერ უნდა იყოს შექმნილი; იგი „გეშს იღებს“, რომ სარფიანი საქმე ელის. ანდა, ვთქვათ, ჯერ არის ცნობილი, თუ როგორ შეიცვლება აქციების კურსი, მაგრამ „საქმეს რაღაც ისეთი სუნი უდის“, რომ აიწევს. ამ მოვლენას ჩვენ ინტუიციას¹¹ (die Intuition) ვუწოდებთ. ეს ერთგვარი წინასწარმეტყველური, აუხსნელი თვისებაა. მაგალითად, თქვენ არ იცით, რომ პაციენტს გულზე რაღაც ლოდი აწევს, მაგრამ თქვენ „გეჩვენებათ“, თქვენ „ისეთი გრძნობა“, როგორც იტყვიან ხოლმე, - საყოველღეო მეთყველებას ხომ ჯერაც არ გააჩნია ამისათვის უფრო ნათლად გამოკვეთილი გამოთქმა. ცნება „ინტუიცია“ სულ უფრო და უფრო მკვიდრდება

ინგლისურში, და თქვენ მოხარული უნდა იყოთ, ვინაიდან სხვა ენებში ის არ არსებობს. გერმანელებს ჯერ შეგრძნება და გრძნობაც კი ვერ განუსხვავებიათ.

11 იქვე, § 834 და შემდეგ.

ფრანგულში საქმე სხვაგვარადაა: ფრანგულად შეუძლებელია თქვათ, რომ რაღაც „გრძნობა გაქვთ კუჭში“; ალბათ, ამ შემთხვევაში უფრო „შეგრძნებას“ იხმარდით. ინგლისურშიც არსებობს განსხვავებული გამოთქმები შეგრძნებისა და გრძნობისათვის, მაგრამ **გრძნობასა და ინტუიციას** კი ურევინ ხოლმე ხშირად. ამიტომ განსხვავება, რომელიც მე აქ შემომამქვს, შეიძლება ხელოვნური გეჩვენოთ, მაგრამ პრაქტიკული მიზნებით ამ განსხვავების დაფუძნებას სამეცნიერო ენაში დიდი მნიშვნელობა აქვს. ზუსტად უნდა განვსაზღვროთ, თუ რას ვგულისხმობთ ამა თუ იმ გამოთქმაში, თორემ გამოვა, რომ გაუგებარ ენაზე ვლაპარაკობთ, რაც ფსიქოლოგიას სიკეთეს არასოდეს მოუტანს. როდესაც ვინმე საყოველღეო მეტყველებაში „გრძნობას“ ხმარობს, შეიძლება ის სულ სხვა რამეს გულისხმობდეს, ვიდრე მეორე, რომელიც აგრეთვე გრძნობის შესახებ ლაპარაკობს. რამდენი ფსიქოლოგია, გამოთქმა „გრძნობას“ რომ ხმარობს და, როგორც წესი, განსაზღვრავს მას, როგორც დამახინჯებულ აზრს. „გრძნობა სხვა არაფერია, თუ არა დაუმთავრებელი აზრი“, - ეს ერთი ცნობილი ფსიქოლოგის განსაზღვრებაა. მაგრამ გრძნობა ხომ რაღაც თავისთავადია, რაღაც რეალური; ის ხომ ფუნქციაა; ამიტომაც არსებობს მისთვის ცნება. ინსტინქტით აღჭურვილი სული ყოველთვის გამოძებნის სიტყვებს მოვლენებისათვის, რომლებიც ნამდვილად არსებობენ. მხოლოდ ფსიქოლოგები იგონებენ სიტყვებს ისეთი მოვლენებისათვის, რომლებიც არ არსებობენ.

ჩვენს მიერ განსაზღვრული უკანასკნელი ფუნქცია, ინტუიცია, ერთი შეხედვით დიდი იდუმალებით მოცული რამ ჩანს და, მოგეხსენებათ, ჩემზე ამბობენ, მეტისმეტად იჭრება მისტიკაშიო. ასე რომ, ინებეთ ჩემი მისტიკის ერთი ნაწილი! ინტუიცია არის ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც მხედველობის ველში რეალურად მოცემულის ფარგლებს მიღმა ხედვა შეგვიძლია. ეს ფაქტიურად შეუძლებელია, მაგრამ ინტუიცია ახერხებს ამას, და ჩვენ მას ვეყრდნობით. ეს ისეთი ფუნქციაა, რომელსაც, როგორც წესი, არ ვიყენებთ, როცა აუღელვებლად ვატარებთ ცხოვრებას ოთხ კედელს შუა, არხეინად ვართ და ჩვეულ საქმიანობას ვეწევით. მაგრამ ბირჟაზე ან შუაგულ აფრიკაში ძალიანაც საჭირო რამაა ეს გურმანი. ასე,

მაგალითად, წინასწარ ვერ გამოთვლი, გზის მომდევნო მოსახვევში ბუჩქნარში მარტორქას შეეჩებები თუ ვეფხვს, მაგრამ არსებობს წინათგრძნობა, რომელმაც შეიძლება კაცი სიკვდილს გადაარჩინოს. ასე, დადგენილია, რომ ბუნებრივ პირობებში მცხოვრები ხალხი ფართოდ იყენებს ინტუიციას. იგივე ითქმის ადამიანებზე, რომელნიც უცნობ სფეროებში მიიკვლევენ გზას, - სხვადასხვა ჯურის პიონერების მიმართ. ინტუიციას ეყრდნობიან გამომგონებლები, მოსამართლეები. სადაც კი საქმე გვაქვს უცხო სიტუაციასთან, როცა საყოველთაოდ მიღებულ ღირებულებებსა და დადგენილ ნორმებს ვერ ჩავეჭიდებით, იქ ინტუიციის უნარ-შესაძლებლობებზე ვართ დამოკიდებული.

როგორც შემეძლო, აგიწერეთ ეს ფუნქცია, თუმცა, შესაძლოა, არც თუ ისე კარგად გამომივიდა. ჩემის აზრით, ინტუიცია ერთგვარი აღქმაა, რომელიც ფაქტიურად შეგრძნების ფიზიკურ ორგანოთა მეშვეობით. ამით დაგვკმაყოფილდება; მხოლოდ ერთ რამეს დავამატებდი: „მე არ ვიცი, ეს როგორ ხდება: მე არ ვიცი, ეს რანაირად მოხდა, რომ ამა და ამ კაცმა ისეთი რამ იცის, რისი ცოდნაც მისთვის მართლაცდა შეუძლებელი იყო. მე არ ვიცი, მან ეს როგორ მოახერხა, მაგრამ ფაქტია, რომ იცის და შეუძლია ამ ცოდნის მიხედვით იმოქმედოს. მაგალითად, წინასწარმეტყველური სიზმრები, ტელეპათიური ფენომენები და სხვა მისთანანი ინტუიციის სფეროს განეკუთვნება. ინტუიციას მე ხშირად ვაწყდები და დარწმუნებული ვარ, რომ ის არსებობს. ამ მოვლენებს შეგვიძლია პრიმიტივებზეც დავაკვირდეთ. ყველგან შიძლება მათ გადავაწყდეთ, თუკი ყურადღებას გავამახვილებთ ისეთ აღქმებზე, ცნობიერების ზღურბლს ქვემოთ რომ მიმდინარეობენ, როგორცაა, მაგალითად, შეგრძნებითი შთაბეჭდილებები, რომლებიც იმდენად სუსტია, რომ ჩვენი ცნობიერება მათ, უბრალოდ, ვერ აღიქვამს. ასე, ვთქვათ, კრიპტომნეზიის დროს შეიძლება რაღაც უეცრად ამოტივტივდეს ცნობიერებაში, ანდა შემთხვევით გაგონილმა სიტყვამ შეიძლება ფიქრთა ჯაჭვი აღძრას; აქ ყოველთვის რაღაც ისეთთან გვაქვს საქმე, რაც გამოჩენის მომენტამდე არაცნობიერი იყო, და ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, თითქოს ციდან ჩამოვარდნილიყოს. გერმანულად ამას **Einfall**-ს უწოდებენ, ე.ი. კაცს რომ უეცრად რაღაც „საიდანღაც“ მოუვა თავში აზრად, თავში „დაჰკრავს“. ზოგჯერ ამას ზემთაგონების იერი სდევს; მაგრამ სინამდვილეში ინტუიცია ძალიან ბუნებრივი ფუნქციაა, სრულიად ნორმალური, თანაც საჭირო, - ის ხომ გვშველის როცა რეალობის ნაკლებობის გამო აღქმა, აზროვნება თუ გრძნობა შეუძლებელი შეიქნება. მაგალითად, წარსული რეალური აღარაა; არც მომავალია ისე რეალური, ჩვენ რომ გვგონია. ამიტომ ღმერთს უნდა ვუმადლოდეთ ფუნქციისათვის, რომელიც საშუალებას გვამძლევს ვწვდეთ ისეთ ნივთებს, ჩვენს თვალსაწიერს

რომ სცილდებიან. ექიმები, მაგალითად, ხშირად იმყოფებიან სრულიად უცნობი სიტუაციის პირისპირ, და იძულებული არიან ფართოდ დაეყრდნონ ინტიუციას. მრავალი კარგი დიაგნოზი დასმულა ამ „იდუმალეებით მოცული ფუნქციიდან“ გამომდინარე.

ფსიქოლოგიური ფუნქციები, როგორც წესი, ნებელობას ექვემდებარებიან; ყოველ შემთხვევაში, ვიმედოვნებთ, რომ ეს ასეა, ვინაიდან ჩვენ გვაფრთხობს ყველაფერი, რაც ავტონომიურია. ამრიგად, თუ ეს ასეა, მაშ შეგვძლება მათი, ვთქვათ, გამორთვა, შერჩევა, დათრგუნვა, გაძლიერება, - მოკლედ, შესაძლებელია მათი მართვა ნების ძალით, ინტენციონალობით. მაგრამ მათ ხომ ჩვენი ნებართვის გარეშე შეუძლიათ ფუნქციონირება, და აი, მაშინ ისინი ჩვენს მაგივრად აზროვნებენ და გრძნობენ. ის კი არა, ძალზე ხშირადაც კი „გვითავხედდებიან“ ასე, ჩვენ კი მათთან ვერაფერს ვაწყობთ, წინ ვერ გადავუდგებით. ანდა, შეიძლება, ისინი არაცნობიერად მოქმედებდნენ, ისე, რომ წარმოდგენაც არ გვქონდეს მათი ფუნქციონირების შესახებ და, უეცრად თავს იჩენს, მაგალითად, შედეგი გრძნობითი პროცესისა, რომელიც თურმე არაცნობიერში ვითარდებოდა. ასეთ შემთხვევაში, ალბათ, გეტყვიან: „აა, გულმოსული ან ნაწყენი იქნებოდი და ამიტომ მიეცი ასეთი და ასეთი რეაქცია“. იქნებ სულაც არ გაგიცნობიერებიათ თქვენი გაბრაზება თუ წყენა, და მაინც, დიდი ალბათობაა იმისა, რომ სწორედ ასე იყო. ფსიქოლოგიურ ფუნქციებს, ისევე როგორც შეგრძნების ორგანოებს, თავ-თავიანთი სპეციფიკური ენერგია გააჩნიათ. თქვენ ძალა არ შეგწევთ გრძნობა, აზროვნება ან სხვა რომელიმე ფუნქცია უბრალოდ გამოთიშოთ. ვერავინ განაცხადებს: „მე არ მინდა ვფიქრო!“ - სად გაექცევა ფიქრებს! ვერვინ იტყვის: „მე არ მინდა ვგრძნობდე!“ - უგრძნობი ვინაა; ყველანი ვგრძნობთ, ვინაიდან თითოეულ ფუნქციაში დაუნჯებული სპეციფიკური ენერგია ეძებს და სხვა სახის ენერგიით არ ჩაინაცვლება.

რასაკვირველია, ანგარიშგასაწევია ისიც, თუ ვინ რას ამჯობინებს საერთოდ. ადამიანებს, რომელთაც ძლიერად განვითარებული აზროვნების უნარი აქვთ, უყვართ დაფიქრება და გარემოს აზროვნებითი ფუნქციის მეშვეობით ეგუებიან. ისინი კი, ვისაც გრძნობითი ფუნქცია აქვს კარგად განვითარებული, საზოგადოებაში ისე გრძნობენ თავს, როგორც თევზი წყალში და ღირებულებით მიმართებათა დახვეწილობით გამოირჩევიან. ისინი გრძნობითი სიტუაციის შექმნის დიდოსტატები არიან, და მათი ცხოვრება ასეთ სიტუაციათა გარეშე წარმოუდგენელია. ანდა, ვისაც დაკვირვების ძლიერი უნარი აქვს, ძირითადად შეგრძნებით ფუნქციას იყენებს და ა.შ. ძირითადი ფუნქცია ყველას თავის სპეციფიკურ ფსიქოლოგიას ანიჭებს. მაგალითად, ის, ვინც უმთავრესად აზროვნებით ცხოვრობს, სხვაში არ აგერევათ, და ადვილი წარმოსადგენია,

როგორ ფუნქციონირებს მისი გრძნობა. იქ, სადაც აზროვნებაა წამყვანი ფუნქცია, გრძნობა, შესაბამისად, არასრულფასოვანია.¹² იგივე შეიძლება ითქვას დანარჩენი სამი ფუნქციის შესახებაც. ვფიქრობ, უმჯობესია ეს დიაგრამაზე განვიმარტოთ.

სურ.1: ფუნქციები

აქ გამოსახულია ე.წ. ფუნქციათა ჯვარედი (სურ.1). შუაში იმყოფება „მე“, რომლის განკარგულებაშია ენერჯის განსაზღვრული მარაგი, - ნების ძალა. აზროვნებით ტიპში ნების ეს ძალა **აზროვნებაზე** (ა) იქნება მიმართული. **გრძნობა** (გ) დაბლა უნდა გამოვსახოთ, რადგან ამ შიშველებში ის **არასრულფასოვანი ფუნქციაა**,¹³ - ეს იმიტომ, რომ აზროვნებისას გრძნობა უნდა გამოითიშოს და გრძნობისას - აზროვნება. როდესაც ვაზროვნებთ, გრძნობა და გრძნობითი ღირებულებანი უნდა უკუვაგდოთ, რადგან ისინი ყველაზე მეტად უშლიან ხელს აზროვნებას. თავსი მხრივ, ადამიანები, რომელნიც გრძნობებით ცხოვრობენ, სიამოვნებით თიშავენ აზროვნებას და სწორადაც იქცევიან, - ეს ორი ფუნქცია ხომ ურთიერთგამომრიცხველია. ბევრს უთქვამს ჩემთვის, აზროვნება ისევე მაქვს დიფერენცირებული, როგორც გრძნობაო, მაგრამ მე ამას ვერ დავიჯერებ, რადგან შეუძლებელია, რომ ორივე ეს დაპირისპირებული ფუნქცია ერთნაირად და ერთნაირად მზაობაში გვექონდეს.

¹² იქვე, § 832 და შემდეგ.

¹³ იქვე.

იგივე შეიძლება ითქვას შეგრძნებისა (შ) და ინტუიციის (ი) მიმართაც. როგორ დამოკიდებულებაში არიან ეს ფუნქციები ერთმანეთთან? თუ ობიექტურ ფაქტებს ვაკვირდებით, შეუძლებელია ამავე დროს ისიც განვჭვრიტოთ, თუ რა დგას ამ თვალსაჩინო მოცემულობის მიღმა. თუკი დავაკვირდებით ადამიანს, რომელიც უმთავრესად შეგრძნებით ფუნქციას იყენებს, დავადგენთ, რომ მისი თვალების ღერძებს კონვერგენციისა და ერთ წერტილში თავმოყრის ტენდენცია აქვთ; ხოლო ინტუიტიურ ადამიანთა გამომეტყველებას ან თვალებს რომ დააკვირდეთ, ნახავთ, რომ მათი მზერა ნივთებს მხოლოდ ეხება, - ისინი იმდენად კი არ უყურებენ, რამდენადაც თვალს ავლებენ ნივთებს და მთლიანობაში გადმოაქვთ ყოველივე თავის თავში; აღქმულის მრავალფეროვნებიდან კი რომელიღაც მხარეს შუქი

მოეფინება მათი მხედველობის ველის პერიფერიაში, და სწორედ ესაა **წინათგრძნობა**. ხშირად თვალების გამომეტყველების მიხედვით შეგვიძლია დავადგინოთ, ინტუიტურია ვინმე თუ არა. ინტუიტურ დამიანს, ჩვეულებრივ, დეტალები არ აინტერესებს. ის მუდამ ცდილობს სიტუაცია მთლიანობაში აღიქვას, და შემდეგ ამ მთლიანობიდან ერთბაშად რაღაც წინა პლანზე წამოიწევს. შეგრძნებითი ტიპი კი ისე ხედავს ნივთებს, როგორც ისინი არიან, ხოლო ინტუიცია არ გააჩნია, - ელემენტარულად იმიტომ, რომ ამ ორ განსხვავებულ რამეს ერთდროულად ფუნქციონირება არ შეუძლია. მეტისმეტად ძნელი იქნებოდა ეს, ვინაიდან ერთი ფუნქციის პრინციპი მეორის პრინციპს გამორიცხავს. ამიტომაც, რომ ისინი აქ ურთიერთდაპირისპირებულად გამოვსახე.

ამ მარტივი დიაგრამიდან ძალიან მნიშვნელოვანი დასვნა შეგვიძლიათ გამოიტანოთ ადამიანის ცნობიერების სტრუქტურის შესახებ. მაგალითად, თუ აზროვნება ძლიერ დიფერენცირებულია, გრძნობა ნამდვილად არ იქნება დიფერენცირებული. რას ნიშნავს ეს? იმას, ხომ არ ნიშნავს, რომ ასეთ ადამიანებს გრძნობები არა აქვთ? სრულიადაც არა, პირიქით. მათ ისიც კი შეიძლება გითხრან, ძალზე ძლიერი გრძნობები მაქვს, მეტად ტემპერამენტური და ემოციური ვარო. ეს ადამიანები საკუთარ ემოციებს დაუტყვევებიათ, დაპატრონებიან და ხანდახან ისეთ დღეში აგდებენ - მტრისას! ასე, მაგალითად, ძალიან საინტერესოა პროფესორთა პირადი ცხოვრების შესწავლა. თუ გაინტერესებთ, როგორ იქცევა შინ ინტელექტუალი, ჰკითხეთ მის ცოლს. იცოცხლეთ, რასაც ის მოგიყვებათ!..

გრძნობით ტიპთან კი ყველაფერი პირიქითაა. თუ იგი ნორმალურად ვითარდება, აზროვნებას თავისუფალ გასაქანს თავის დღეში არ აღირსებს, მაგრამ ნევროზი თუ დაემართა, მაშინ კი დაურღვევენ ფიქრები ცხოვრების წყნარ მიმდინარეობას. აზროვნება ასეთ შემთხვევაში არამკითხე-მოამბესავით ერევა საქმეში, და ადამიანს ფიქრები საშველს აღარ აძლევენ. კი, ძალიან სასიამოვნო და სიმპათიური კაცია, მაგრამ უცნაური წარმოდგენები და შეხედულებები აქვს, მისი აზროვნება კი არასრულფასოვანია. გეგონება, აზროვნებას გამოუჭერია, რაღაც აზრებში გაჭედვილა და ვეღარც აქეთ მიდის და ვეღარც აქეთო, - მას ხომ განსჯა არ ძალუძს. მისი აზრები ტლანქია და შეურყეველი. ინტელექტუალმა კი, თავის მხრივ, თუ დაიჩემა, ასე ვგრძნობ და რა ვქნაო, ვერავითარი არგუმენტით ვერ გადაარწმუნებ. სანამ ტყავს არ გააძრობენ ემოციები, მანამდე მათგან თავს ვერ დაიხსნის. არავითარი არგუმენტი არ გამოდგება მისი გრძნობის წინააღმდეგ; ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მასზე ნაკლოვანი კაცი არ იქნებოდა.

მსგავსადაა საქმე **შეგრძნებით** და **ინტუიტურ** ტიპებთან. ინტუიტური ტიპი ნივთთა რეალობისაგან თავს დათრგუნვილად გრძნობს; რეალობის თვალსაზრისით ის „ვერ ამართლებს“; მუდამდღე ახალი ცხოვრებისეული შესაძლებლობებისკენაა მიმართული. ეს ის კაცია, მიწას რომ ამუშავებს და მოსავალს შემოსვლას არ აცდის, რომ უკვე ახალი მინდვრისაკენ მიემშრება. უკან ხნულები მოუტოვებია, წინ სულ ახალ-ახალი იმედები უჩანს, ფაქტიურად კი ხელიდან არაფერი გამოსდის. შეგრძნებითი ტიპი - პირიქით, ნივთებს არ სცილდება, მოცემულ რეალობაში ცხოვრობს. მისთვის ჭეშმარიტი ისაა, რაც რეალურია. ინტუიტური ტიპისთვის კი რას ნიშნავს, რომ რაიმე რეალურად არსებობს? სწორედ რომ საპირისპიროს: ის კი არ უნდა არსებულებოდ, რაღაც სხვა უნდა ყოფილიყო. შეგრძნებითი ტიპის წინაშე თუ მოცემული რეალობა არაა, - ოთხი კედელი მის გარშემო, - ის ავად გახდება. მაგრამ თუ ინტუიტურ ტიპს ოთხ კედელს შუა გამოვამწყვდევთ, რომლებშიც მან უნდა იცხოვროს, მხოლოდ ერთ რამეზე იფიქრებს: როგორ დააღწიოს თავი იქაურობას. კონკრეტული სიტუაცია მისთვის საპყრობილეა, საიდანაც რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაიქცეს, რათა ახალი შესაძლებლობების შესახვედრად გაემართოს.

ეს განსხვავებები პრაქტიკულ ფსიქოლოგიაში დიდ როლს ასრულებენ. მერწმუნეთ, მე ადამიანებს უჯრებში სულაც არ ვაწყობ და დაუფიქრებლად როდი ვიძახი: „ეს ინტუიტურია“, ანდა „ეს აზროვნებითი ტიპია“. ხშირად მეკითხებიან: „აი, ესა და ეს კაცი აზროვნებითი ტიპი არ არის?“ ასეთ შემთხვევაში მივუგებ ხოლმე: „ამაზე ჯერ არ მიფიქრია“, და მართალიც ვარ. უაზრობაა ადამიანების კატეგორიებად დანაწილება და მათზე ეტიკეტების დაკვრა. მაგრამ როდესაც ჩვენს წინაშე ფართო მოცულობის ემპირიული მასალაა, საორიენტაციოდ საჭირო ხდება განმასხვავებელი ნიშნები, რომლებიც მთლიანობის წვდომას აიოლებენ, გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ხოლმე ემპირიული მასალის რამენაირად მოწესრიგება, მითუმეტეს, როცა საქმე დაავადებულ თუ გონებაარეულ ხალხთან მაქვს, ანდა როდესაც მათი თავისებურება თუ მდგომარეობა ვინმეს უნდა ავუხსნა. მაგალითად, როდესაც ცოლის საქციელი ქმარს უნდა განვუმარტო, ან პირიქით, დიდი დახმარება შეიძლება მაშინ გამიწიოს ასეთი ობიექტური კრიტერიუმებით სარგებლობამ. ეს რომ არა, იძულებული ვიქნებოდი წამდაუწუმ მემეორებინა: „თქვენმა ქმარმა თქვა...“, „თქვენმა ცოლმა თქვა...“.

არასრულფასოვან ფუნქციას, როგორც წესი, არა აქვს ცნობიერად დიფერენცირებული ფუნქციის თვისებები. ამ უკანასკნელის მართვა, პრინციპში, ნებელობას შეუძლია. ჭეშმარიტ

აზროვნებით ტიპს შეუძლია თავისი აზროვნება ნებისმიერად წარმართოს, აზრები მორჩილებაში იყოლიოს. ის არაა თავისი აზრების მონა, სხვა რამეზე შეუძლია იფიქროს. მას უფლება აქვს, თქვას: „მე სხვა რამის მოაზრებაც შემიძლია: მე შემიძლია ამის საწინააღმდეგო მოვიაზრო“. გრძნობით ტიპს კი ეს არ შეუძლია - იგი ხომ თავის ფიქრებს ვერსად გაექცევა. ფიქრები მას ატყვევებენ, ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, ის მონუსხულია ფიქრების მიერ. ისტორია მისთვის რაღაც მომაჯადოებელია, და ამიტომ შიშს უნერგავს. აზროვნებით ტიპს კი იმის ეშინია, გრძნობებმა არ წაართვან თავი, - მისი გრძნობა ხომ არქაული ხასიათისაა, და ის არქაული ადამიანის მდგომარეობაში იმყოფება: ის თავისი ემოციების უმწეო მსხვერპლია. ამიტომაცაა, რომ პრიმიტივი ასე ხაზგასმულად თავაზიანია: ფრთხილობს, მოყვასის გრძნობები არ შელახოს, - ხომ შეიძლება საქმე სახიფათოდ შეტრიალდეს. მრავალი ჩვენებური ადათ-წესი ასეთი არქაული თავაზიანობით შეიძლება იქნეს ახსნილი. ასე, მაგალითად, მიღებული არ არის, ვინმეს ხელს ართმევდე და მარცხენა ხელი ამ დროს ჯიბეში გედოს, ან ზურგს უკან გეჭიროს: ხომ უნდა აჩვენოთ, რომ ხელში იარაღი არა გაქვთ. აღმოსავლური მისალმება გაშლილი, ამობრუნებული ხელისგულებით ნიშნავს: „მე ხელთ არაფერი მაქვს“. კოტაუს* დროს კაცი მეორე ადამიანის ტერფებამდე ხრის, რათა დაანახოს, რომ სრულიად დაუცველია და მთელი გულით ენდობა მას.

*** კოტაუ - მდაბალი სალამი ძველ ჩინურ ცერემონიალში (რედ.).**

პრიმიტივებზე მშვენივრად შეისწავლება ქცევის მენერების სიმბოლიკა; ისიც გასაგები ხდება, თუ რატომ ეშინიათ მათ თანამომხმეებისა. ამგვარივე შიშს განვიცდით ჩვენც ჩვენი არასრულფასოვანი ფუნქციის წინაშე. რომ ნახოთ, როგორ ეშინია ტიპიურ ინტელექტუალს, ვინმე არ შეუყვარდეს, თავდაპირველად ყოვლად გაუგებრად გეჩვენებათ ასეთი შიში; მაგრამ მას, ეტყობა, საკმაო საფუძველი აქვს ეშინოდეს, რადგან სავსებით მოსალოდნელია, რომ ასეთ შემთხვევაში იგი ძალიან უჭკუოდ მოიქცეს. მას საკუთარი გრძნობები წამოაჩოქებენ, რადგანაც ისინი ქალის მხოლოდ არქაულ ანდა სახიფათო ტიპზე რეაგირებენ. აქედან აიხსნება ზოგი ინტელექტუალის ტენდენცია, ცოლი თავისზე დაბალი დონისა მოიყვნონ; ისინი შეიძლება უბრალო ქალებმა - სახლის გამქირავებელმა ანდა მზარეულმა გამოიჭირონ; ფაქტიურად ისინი საკუთარი არქაული გრძნობების მიერ დაგებულ ხაფანგში ებმებიან, რომელთაც ანგარიშს არ

უწევნ. ამიტომ მათი შიში სავსებით გამართლებულია, - გრძნობებმა ხომ შეიძლება დალუპონ ისინი. აზროვნებაში მათ ვინ რას დააკლებს, - აქ ძლიერნი და დამოუკიდებელნი არიან; მაგრამ გრძნობაში მათზე შეიძლება გავლენა მოახდინონ, მოერიონ, გააცურონ და მშრალზე დასვან. ეს მათ მშვენივრად მოეხსენებათ. ამიტომ ნურასოდეს ეცდებით ინტელექტუალი გრძნობაში აიყოლიოთ: ის მას რკინისებური მუშტით უკუადებს, რადგანაც იცის, რაოდენ სახიფათოა.

ეს კანონზომიერება ყველა ფუნქციაზე შეიძლება განვავრცოთ. არასრულფასოვანი ფუნქცია ჩვენში მუდამ არქაულ პიროვნულ ასპექტთანაა დაკავშირებული; არასრულფასოვან ფუნქციაში ჩვენ ყველანი პრიმიტივებს წარმოვადგენთ. დიფერენცირებულ ფუნქციაში ცივილიზებულნი ვართ და გაგვაჩნია რაღაც ისეთი, როგორცაა თავისუფალი ნება; მაგრამ საქმე არასრულფასოვან ფუნქციაზე თუ მიდგა, არავითარ თავისუფალ ნებაზე აღარ შეიძლება ლაპარაკი. არასრულფასოვანი ფუნქცია ღია ჭრილობასავითაა - ანდა, სხვაგვარად, მეტისმეტი რომ არ გამოგვივიდეს, ღია კარივით - საიდანაც რაღა არ შეიძლება შემოიჭრას და მყუდროება დაგვირღვიოს.

ახლა მივადექით ცნობიერების **ენდოფსიქიკურ ფუნქციებს**. ფუნქციები, რომელთა შესახებაც აქამდე ვსაუბრობდით, არეგულირებენ და აადვილებენ ჩვენს ცნობიერ ორიენტირებას გარე სამყაროსთან ურთიერთობაში, მაგრამ უმაქნისი არიან იმ ნივთებთან მიმართებაში, რომელნიც, ასე ვთქვათ, „მე“-სთან შედარებით უფრო ღრმად იმყოფებიან. „მე“ მხოლოდ ცნობიერების პატარა ნაფლეთია, რომელიც ბნელ ნივთთა ოკეანეზე დაცურავს. ბნელი ნივთები - ეს შინაგანი ნივთებია. ამ შინაგან მხარეზე ძვეს ფსიქიკური შრე, რომელიც „მე“-ს ირგვლივ ცნობიერების ერთგვარ არშიას ქმნის. ამის ილუსტრაციას დიაგრამაზე გიჩვენებთ (სურ. 2).

სურ. 2: „მე“

ვთქვათ, AA ცნობიერების ზღურბლია. მაშინ D ცნობიერების ის ნაწილი იქნება, რომელიც ექტოფსიქიკურ სამყარო B-ს უკავშირდება, ე.ი. სამყაროს, რომელშიც ჩვენს მიერ განხილული ფუნქციებია გაბატონებული. მეორე მხარეს კი, რომელიც C-თია აღნიშნული, **წყვდიადის სამეფოა**. იქით თვით „მე“-ც კი რამდენადმე იბინდება; იქ ჩახედვა ჩვენ არ ძალგვიძს; რანი ვართ იქ - ჩვენთვისვე გამცანაა. „მე“-ს მხოლოდ D-ში ვიცნობთ, C-ში კი - არა. ამიტომაც, რომ დრო დროდადრო რაღაც ახალს აღმოვაჩინთ ხოლმე საკუთარი თავის შესახებ. თითქმის ყოველწლიურად რაღაც ახალი ამოტივტივდება, ისეთი, მანამდე რომ ვერც კი წარმოვიდგენდით. სულ გვგონია, აი, ახლა კი ვედარაფრით გამაკვირვებს საკუთარი თავიო,

მაგრამ არა - ჯერ სადა ხარ. აღმოვაჩინეთ, რომ თურმე კიდევ რა აღარ ვყოფილვართ. ამასთან, რა საოცრება აღარ გადაგვხდება თავს. აქედან გამომდინარე, მუდამ არსებობს ჩვენი პიროვნების ისეთი ნაწილები, რომელნიც არაცნობიერში არიან, და ჯერ ისევ ქმნადობის პროცესში იმყოფებიან. ჩვენ დაუმთავრებელნი ვართ; ვიზრდებით და ვიცვლებით; და მაინც, პიროვნება, რომელიც მომავალ წელს ვიქნებით, დღესვე არსებობს, ოღონდ დაჩრდილულია. „მე“ ფილმზე მორგებული მოძრავი ჩარჩოსავითაა. მომავალი პიროვნება ჯერ არ ჩანს, მაგრამ ჩვენ მისკენ მიმავალ გზას ვადგავართ, და მომავალი არსება ერთბაშად აღმოჩნდება ჩვენი მხედველობის ველში. ეს შესაძლებლობები, რა თქმა უნდა, „მე“-ს ბნელ მხარეს განეკუთვნება. ჩვენ ვიცით, რანი ვართ და რანნი ვიყავით, მაგრამ რანი ვიქნებით, - გაურკვეველია.

ამრიგად, ამ ენდოფსიქიკურ მხარეზე **პირველი ფუნქცია მეხსიერება** გახლავთ. მეხსიერება ანუ რეპროდუქციის უნარი იმ ნივთებთან გვაკავშირებს, რომლებიც ცნობიერებიდან გამქრალან, - ცნობიერების ზღურბლს დაბლა ჩამირულან, ანდა რომლებიც განზე გაუწევიათ და განუდევნიათ. რასაც ჩვენ მახსოვრობას ანდა გახსენებას ვუწოდებთ - ეს არაცნობიერად ქცეულ შინაარსთა რეპროდუქციის უნარია. აი, ეს უნარია პირველი ფუნქცია, რომელიც შეგვიძლია თამამად გამოვყოთ, როგორც დამაკავშირებელი რგოლი ცნობიერებასა და იმ შინაარსებს შორის, რომელნიც მოცემულ მომენტში ცნობიერების ველში არ იმყოფებიან.

მეორე ენდოფსიქიკური ფუნქცია რთული პრობლემის წინაშე გვაყენებს. აქ ჩვენ წყვილიაღში ვინთქმებით და ფეხქვეშ ნიადაგში გვეცლება. საქმე ეხება **ცნობიერ ფუნქციათა სუბიექტურ კომპონენტებს**. იმედი მაქვს, შევძლებ სათქმელის ნათლად გადმოცემას. ვთქვათ, გაიცანით ადამიანი, რომელიც ადრე არასოდეს გინახავთ. ბუნებრივია, რაღაც აზრი შეგექმნებათ მის შესახებ. ყოველთვის როდი გენდომებათ, მაშინვე გაუზიაროთ, თუ რას ფიქრობთ მასზე, - იქნებ თქვენ ისეთ რამეს ფიქრობთ, რაც სულაც არაა მართალი, რაც შეეფერება. ამრიგად, საქმე გვაქვს აშკარად სუბიექტურ რეაქციებთან. ასეთი რეაქციები საგნებისა და სიტუაციების მიმართაც იჩენენ თავს. ცნობიერების ფუნქციის ჩართვას - რა ობიექტზეც უნდა იყოს ის მიმართული - ყოველთვის თან ახლავს სუბიექტური რეაქციები, რომელთა არსებობაშიც საკუთარი თავის წინაშე გამოტყდომა დიდად არასოდეს გვეპიტნავება, და რომელნიც მცდარია, ან არაზუსტი. უსიამოდ განვიცდით ხოლმე, ამ მოვლენათა მიმდინარეობას რომ ვამჩნევთ ჩვენში, და აბა, ვის ეხალისება აღიაროს, რომ მათ ემორჩილება. ყველას ურჩევნია ჩრდილში დატოვოს ისინი, რადგანაც მაშინ უფრო გაუადვილდება ჩათვალოს, რომ თვითონ სრულიად უმწიკვლოა, ძალზე სანდომიანი, პატიოსანი, წესიერი, სიკეთით აღსავსე და ა.შ., - აბა, ვისთვისაა უცხო ასეთი

შეხედულებები. სინამდვილეში კი ასეთები არა ვართ. აუარებელი სუბიექტური რეაქცია გვაქვს, მაგრამ მათი აღიარება მაინცდამაინც არაფრად გვექაშნიკება. ამ რეაქციებს მე სუბიექტურ კომპონენტებს ვუწოდებ. ისინი ჩვენი შინაგანი მხარისადმი დამოკიდებულების ძალზე მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. აქ ყველაფერი განსაკუთრებით მტკივნეულია. ამიტომაც ასე ასიამოვნო „მე“-ს ამ ბნელ სამეფოსთან საქმის დაჭერა. საკუთარი დაჩრდილული მხარის, საკუთარი ნაკლოვანების წინაშე გვიყვარს თვალის დახუჭვა; ამიტომაცაა, რომ ჩვენს ცივილიზებულ საზოგადოებაში ბევრს თავისი ჩრდილი (Schatten) საერთოდ დაუკარგავს, თავიდან მოუშორებია, და მხოლოდ ორგანოზომილებიანად დარჩენილა. მესამე განზომილება, და შესაბამისად, როგორც წესი, სხეულიც, მათ დაკარგული აქვთ. სხეული ძალზე საეჭვო მეგობარია - ისეთ რალაცეებს გამოავლენს ხოლმე, რაც ჩვენს მოწონებას სულაც არ იმსახურებს; უამრავი რამაა ისეთი, სხეულს რომ ეხება, რის შესახებაც ლაპარაკი არ შეგვიძლია. ხშირ შემთხვევაში სხეული ჩვენი „მე“-ს ამ ჩრდილის განხორციელებას წარმოადგენს. ზოგჯერ ის „სამარცხინო ლაქაა“, რომელსაც, რაღა თქმა უნდა, ყველა სიამოვნებით მოიშორებდა თავიდან. ახლა ცხადი უნდა იყოს, თუ რას ვგულისხმობ სუბიექტურ კომპონენტებში. საზოგადოდ ისინი წარმოადგენენ გარკვეულ ყაიდაზე რეაგირების ტენდენციას და უმრავლეს შემთხვევაში ამ ტენდენციას არც თუ ისე დადებითი ელფერი დაჰკრავს.

მაგრამ აქ არსებობს გამონაკლისი; ეს ეხება ადამიანებს, რომელთაც, ჩვენგან განსხვავებით, არ მიაჩნიათ: რასაკვირველია, პოზიტიურ მხარეზე ვცხოვრობ და ყოველთვის სწორად ვიქცევით. ეს ის ხალხია, ჩვენ რომ ხელმარცხიანებს ვეძახით; ისინი სულ მუდამ უხერხულ მდგომარეობაში ვარდებიან, ყოველ ფეხის ნაბიჯზე განგაშსა და ალიაქოთს იწვევენ, რადგან თვიანთი საკუთარი ჩრდილის ცხოვრებით **ცხოვრობენ**; იმას სჩადიან, რაც თვითონვე გასაკიცხად მიაჩნიათ. ეს ის ადამიანებია, რომელთაც აგვიანდებათ კონცერტზე თუ მოხსენებაზე, და ვინაიდან მეტად მორიდებულნი არიან და უნდათ, ხელი არავის შეუშალონ, სადღაც უკან მიიძურწებიან; ჰოდა, ამ დროს სკამს წამოედებიან და ისეთ საშინელ ბრახაბრუბს ატეხენ, რომ მთელი პუბლიკა თავს მათკენ მიაბრუნებს. აი, რა ხალხია ხელმარცხიანები.

ახლა მივადექით **მესამე** ენდოფსიქიკურ კომპონენტს, - ფუნქციას-მეთქი, ვერ ვიტყვი: მეხსიერებას როცა ეხება საქმე, კიდევ შეიძლება „ფუნქცია“ ვთქვათ, მაგრამ ისიც მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში ემორჩილება ნებელობასა და ცნობიერ კონტროლს; ხშირად ის ძალზე თავნებაა, - გაოგნებული ცხენივით, დაურვების საშუალებას რომ არ იძლევა, - გვეურჩება, უარს ამბობს თავის სამსახურზე და ხშირად ცუდ დღეში გვაგდებას. ყოველივე ამას კიდევ მეტად

ვხვდებით სუბიექტურ კომპონენტთა და რეაქციათა განხილვისას. აი, აქ კი მართლა ცუდადაა ჩვენი საქმე - აქ ბოლოქრობენ **ემოციები** და **აფექტები**. მათ ერთმნიშვნელოვნად აღარ შეიძლება ფუნქციები ვუწოდებთ, ისინი ხდომილობებს წარმოადგენენ, რადგან ემოცია, როგორც იტყვიან ხოლმე, „თან გვითრევს“, არას გვეკითხება; ჩვენს ღრმად პატივცემულ „მე“-ს განზე სწევენ, და რაღაც სხვა იღებს სადავეს ხელში. ასეთ შემთხვევაში ამბობენ ხოლმე: „თავი დაკარგა“, ან „ემმა დაეუფლა“, ანდა: „რა შეუჯდა?“ ეს იმიტომ, რომ კაცი გიჟივით იქცევა. პრიმიტივი თავის დღეში არ იტყვის, ისე გავბრაზდი, ყოველგვარ საზღვარს გადავაჭარბეო, - იტყვის, ჩემში რაღაც სული შემოიჭრა და თავით ფეხებემდე გარდამქმნაო. აი, ასეთი რამაა ემოცია. მართლაცდა ჭკუიდან ვიშლებით, ჩვენს თავს აღარ ვეკუთვნივთ, „მე“-ს კონტროლი პრაქტიკულად აღარ არსებობს. ეს ის მდგომარეობაა, როდესაც ადამიანს თავისივე შინაგანი ძალები იმონებენ, ისე, რომ ამის საწინააღმდეგოდ მას არაფერი შეუძლია ოღონოს. შეუძლია მხოლოდ მუშტები შეკრას და კბილები აღრჭიალოს, რამდენიც უნდა, - ემოციასთან მაინც არაფერი გაუვა.

მეოთხე მნიშვნელოვანი ენდოფსიქიკური ფაქტორია, მე რომ **შეჭრას (Einbruch)** ვუწოდებ. როდესაც მასთან გვაქვს საქმე, იქ ბნელეთს, არაცნობიერს ძალაუფლება მთლიანად ხელში ჩაუგდია და ამიტომ შეუძლია ცნობიერებაში შეჭრა. ასეთ შემთხვევაში ცნობიერების კონტროლი მინიმუმამდეა დასული. ამ მომენტს ადამიანის ცხოვრებაში აუცილებელი არაა პათოლოგიური ვუწოდოთ, ანდა, თუ მაინცდამაინც, შეგვიძლია ასე ვუწოდოთ, ოღონდ ამ სიტყვის ადრინდელი მნიშვნელობით, როცა პათოლოგია განისაზღვრებოდა როგორც მეცნიერება გრძნობა-განცდათა შესახებ. ამ აზრით შეგვიძლია ასეთ სიტუაციას პათოლოგიური დავარქვათ: მაგრამ რომ ჩავუკვირდეთ, კაცმა რომ თქვას, ეს მხოლოდ არა-ჩვეულებრივი სიტუაციაა და მეტი არაფერი, რომლის დროსაც ადამიანი არაცნობიერის მიერაა შეპყრობილი და წინასწარ ვერავინ იტყვის, რითი დამთავრდება ეს ყველაფერი. კაცმა შეიძლება თავი დაჰკარგოს, მაგრამ მაინც მეტად თუ ნაკლებად ნორმალური იყოს. არავითარი საფუძველი არა გვაქვს, არანორმალური ვუწოდოთ ისეთ რაღაცეებს, რომელთაც მშვენივრად იცნობდნენ ჩვენი წინაპრები, - პრიმიტივებთან ხომ ეს სავსებით ნორმალურ მოვლენადაა შერაცხილი. ამის შესახებ ისინი იტყვიან, ამა და ამ კაცს ეშმაკი, ანდა ქაჯი ჩაუსახლდაო, ან: სამშვინველმა მიატოვაო, - თავისმა ერთ-ერთმა შემადგენელმა სამშვინველმა, რომელნიც მათ ზოგჯერ ექვსამდე გააჩნიათ. სამშვინველმა თუ მიატოვა, უეცრად შეიცვლება გუნება; ის საკუთარ თავს კარგავს, საკუთარი თავის დანაკლისს განიცდის. ამ მოვლენაზე დაკვირვება ხშირად შეიძლება ნევროტულ პაციენტებთან. უეცრად მათ ენერგია ეცლებათ, თავს კარგავენ და რაღაც უცნაურ

ზეგავლენაში ექცევიან. ეს ფენომენები ჯერ კიდევ არაა პათოლოგიური; ისინი ადამიანური ბუნების გამოვლენის ნორმალური ფორმებია; მაგრამ ძალიან თუ გახშირდა, მაშინ უფლება გვაქვს ნევროზის შესახებ ვილაპარაკოთ. ამრიგად, ასეთმა მოვლენებმა შეიძლება ნევროზამდეც მიგვიყვანოს, ისე, კი, უბრალოდ, ნორმალურ ადამიანთა უჩვეულო მდგომარეობებია და სხვა არაფერი. ემოციები თუ გვერევა, ეს პათოლოგიური კი არაა, არამედ, უბრალოდ, არასასურველია. რა საჭიროა რაიმე არასასურველის აღსანიშნავად ისეთი სიტყვის შემოტანა, როგორცაა „პათოლოგიური“. არასასურველი რამდენი რამაა ამ ქვეყანაზე, მაგრამ პათოლოგიური კი არა; მაგალითად, გადასახადების ამკრეფი.

კამათი

დოქტ. ჯ.ა. ჰედფილდი:

რა აზრით ხმარობთ ცნებას „ემოცია“? გამოთქმით „გრძნობა“ თქვენ ისეთი რაღაცეები დაახასიათეთ, რომელთაგან მრავალს ჩვენ ემოციად მოვნათლავდით. გამოთქმა „ემოციას“ თქვენთვის რაიმე გარკვეული მნიშვნელობა აქვს?

კ.გ.იუნგი:

მადლობელი ვარ ამ შეკითხვისთვის, რადგან ჩვეულებრივ, დიდ გაუგებრობებსა და შეცდომებს ვაწყდებით ხოლმე ემოციის ცნების გამო. რა თქმა უნდა, ყველას შეუძლია სიტყვები ისე იხმაროს, როგორც მოეპრიანება, მაგრამ სამეცნიერო ენაში განსხვავებები უნდა დავადგინოთ და შევინარჩუნოთ, რათა ყველამ გაოგოს, რაზეა ლაპარაკი. ალბათ გეხსომებათ, რომ გრძნობა მე განვსაზღვრე როგორც შეფასებითი ფუნქცია, ამასთან, მე ამ ფუნქციას არავითარ განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. დიფერენცირებულ მდგომარეობაში, ჩემის აზრით, გრძნობა რაციონალურ ფუნქციას წარმოადგენს, და თუ დიფერენცირებული არ არის, მაშინ ჩვეულებრივად აღმოცენდება და ყველა იმ არქაულ თვისებას გამოავლენს, რომელნიც სიტყვა „არაკეთილგონივრულით“ შეიძლება შევაჯამოთ. ცნობიერი გრძნობა კი რაციონალური, ღირებულებით კრიტერიუმებზე ორიენტირებული ფუნქციაა.

როდესაც ემოციების შესახებაა ლაპარაკი, ფაქტიურად ყოველთვის იმ მდგომარეობებს ვგულისხმობ, რომელთაც ფიზიოლოგიური ცვლილებები ახლავს. ამიტომ ემოციების გაზომვა გარკვეულ ფარგლებში შესაძლებელია, - მართალია, არა მათი ფსიქიკური, არამედ ფიზიოლოგიური მხარისა. თქვენთვის ცნობილია ჯემს-ლანგეს აფექტების თეორია.¹⁴ ჩემთვის ემოციები აფექტებს წარმოადგენენ, რამდენადაც ამ დროს ადამიანი რაღაცით გაღიზიანებულია;

¹⁴ ეს თეორია ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ჩამოაყალიბეს უილიამ ჯემსმა და დანიელმა ფიზიოლოგმა კ.გ. ლანგემ და ამიტომ მას ორივე მათგანის სახელით იხსენიებენ ხოლმე.

რადცა მას ავადმყოფურად ცვლის, მთელ გეგმებს უშლის. ემოციის დროს კაცი წაშლილია, საკუთარი თავიდან გარეთაა გაგდებული, რა ქნას აღარ იცის, გეგონება, აფეთქებამ თავისი თავიდან ამოგდო და განზე მოისროლაო. ასეთი განცდის თანმხლებ ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე შეგვიძლია ზუსტი დაკვირვება ვაწარმოოთ. ამრიგად, განსხვავება შემდეგშია: გრძნობა, ზემოთ აღწერილი აზრით, სხეულებრივი, ანდა თვალსაჩინო ფიზიოლოგიური გამოვლინებების გარეშე მიმდინარეობს, მაშინ როცა ემოცია შეცვლილი ფიზიოლოგიური მდგომარეობით ხასიათდება. როგორც ვიცით, ჯემს-ლანგეს თეორია ამტკიცებს, რომ ნამდვილი ემოცია მაშინ გვიჩნდება, როცა ჩვენს საერთო მდგომარეობაში მომხდარ ფიზიოლოგიურ ცვლილებებს ვაცნობიერებთ. მაგალითად, დავუშვათ, ისეთ სიტუაციაში ვართ, როდესაც მოველით, რომ გავბრაზდებით. ვიცით, რომ ვბრაზდებით, შემდეგ ვგრძნობთ, თუ როგორ გვივარდება სისხლი თავში და მხოლოდ მერე ვართ მართლა გახელეებული, მანამდე კი - არა. თავიდან მხოლოდ ის ვიცით, რომ გავბრაზდებით, მაგრამ სისხლი თავში რომ გვივარდება, საკუთარი ბრაზის მონად ვიქცევით, განცდა სხეულსაც ჩაითრევს, და რაკი ვაცნობიერებთ, ვდელდებიო, ორჯერ უფრო მეტად ვბრაზდებით, ვიდრე საჭიროა. აი, როდის ვართ მართლა ემოციის ტყვეობაში. **გრძნობის** დროს კი, პირიქით, კონტროლი ფუნქციონირებს, სიტუაციის ბატონ-პატრონად ვგრძნობთ თავს და შეგვიძლია ვთქვათ: „მე ამისა და ამის მიმართ კარგი, ან ცუდი გრძნობა მაქვს“. ყველაფერი წყნარადაა და ისეთი არაფერი ხდება. შეიძლება ვინმეს სავსებით მშვიდად და თავაზიანად გავუზიაროთ ჩვენი გულისნადები: „მე შენ მძულხარ“. მაგრამ თუ ამას გამომწვევად შევყვირებთ, მაშინ ემოცია გვქონია. წყნარად თუ ვიტყვით, არავითარი ემოცია არ გავვიჩნდება, არც ჩვენ და არც მას, ვისაც ველაპარაკებით. ემოციები

ძალიან გადამდებია; ფაქტიურად ისინია ფსიქიკური ბაცილების გადამტანები. ამას ვგრძნობთ, მაგალითად, როდესაც ემოციურად აგზნებულ ბრბოში ვიმყოფებით: გვინდა თუ არა, ემოცია მაინც გვიტაცებს. სხვათა გრძნობებს კი, პირიქით, - ჩვენთან რა ხელი აქვთ. ამიტომ დიფერენცირებული გრძნობითი ტიპი გამაგრებულ ზემოქმედებას უფრო ახდენს თავის გარემოცვაზე, მაშინ როცა ემოციური ტიპი სხვებს ადაგზნებს, რადგან განუწყვეტლივ ცეცხლოვან სხივებს აფრქვევს. მას სახეზე ადგას ემოციის ალი, რომელიც სხვებშიც იჭრება და მათ სიმპათიკურ ნერვულ სისტემას ადაგზნებს, ისე, რომ ცოტა ხნის შემდეგ მათაც იგივე სიმპტომები უჩნდებათ. ხოლო როცა საქმე გრძნობებთან გვაქვს, მსგავსი არაფერი ხდება. გასაგებად ვთქვი?

დოქტ. ჰენრი ვ. დიკსი:

ნება მიბოძეთ, კიდევ ჩავეძიო ამ საკითხს. რა მიმართებაა აფექტებსა და გრძნობებს შორის?

კ.გ. იუნგი:

აქ ხარისხობრივ განსხვავებასთან გვაქვს საქმე. თუ ღირებულებითი წარმოდგენა ძალზე გაძლიერდა, გარკვეულ მომენტში, კერძოდ, როგორც კი ფიზიოლოგიურ აგზნებით პროცესებს აღძრავს, ის ემოციად იქცევა. ალბათ, ჩვენს ყველა შინაგან პროცესს თან სდევს მსუბუქი ფიზიოლოგიური ცვლილებები, მაგრამ ეს დარღვევები იმდენად უმნიშვნელოა, რომ ვერ გავზომავთ; ემოციების გასაზომად კი, ე.ი. მათი ფიზიოლოგიური ასპექტების გასაზომად, არსებობს საკმაოდ მგრძნობიარე მეთოდი. ეს გახლავთ ფსიქოგალვანური ექსპერიმენტი.¹⁵ მას საფუძვლად უდევს ის ფაქტი, რომ კანის ელექტრული წინააღობა ემოციათა გავლენით მცირდება. გრძნობის გავლენით კი ასეთი რამ არ ხდება.

მოვიყვან მაგალითს. კლინიკაში ჩემს ადრინდელ პროფესორთან ერთხელ ასეთი ექსპერიმენტი ჩავატარე: ლაბორატორიაში მას ცდის პირად ვიყენებდი ფსიქოგალვანური ფენომენის სადემონსტრაციო აპარატთან. ვუთხარი, ისეთ რამეზე ეფიქრა, რაც მისთვის ძალზე არასასიამოვნო იყო, ოღონდ რის შესახებაც მე წარმოდგენაც არ მქონდა, ე.ი. რაიმე ჩემთვის უცნობზე, მაგრამ მისთვის ცნობიერზე, და თანაც ისეთზე, რის შესახებ ფიქრსაც ძლიერი უსიამოვნების განცდა ახლდა. მაინც ასე მოიმოქმედა. ასეთი ექსპერიმენტები მისთვის უცხო არ იყო, და მშვენივრად ახერხებდა ხოლმე. კანის წინააღობა შესამჩნევად არ შეცვლილა. დენი არ

გამლიერებულა. ამ დროს როგორღაც თითქოსდა გულისხმას მოვედი. იმ დღეს ჯერ კიდევ დილით შევნიშნე, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო, ჩემი უფროსისათვის სასტიკად არასასიამოვნო, ჰოდა თავში გამიელვა, ახლა კი ერთ რამეს ვცდი-მეთქი. ავდექი და ვუთხარი, ამა და ამ შემთხვევას ხომ არ ეხება საქმე-მეთქი; გვარიც დავუსახელე. მყისვე ემოციათა მთელი ნიაღვარი აღირიცხა. აი, ეს იყო ემოცია; პირველი რეაქცია კი გრძნობა გახლდათ.

¹⁵ JUNG und PETERSON, psychophysische Untersuchungen mit dem Galvanometer und Pneumographen bei normaten und geisteskranken Individuen. RICKSCHER und JUNG, Further investigation on the Galvanic Phenomenon and Respiration in Normal and Insane Individuals. ორივე ეს სტატია შეტანილია თხზულებათა კრებულის II ტ.-ში.

ადასანიშნავია, რომ ისტერიული ტკივილები გუგების შევიწროებას არ იწვევს. მათ ფიზიოლოგიური აგზნების პროცესები არ ახლავს, და მაინც ინტენსიურ ტკივილებს წარმოადგენენ. ფიზიკური ტკივილი კი გუგებს ავიწროებს. კაცს შეიძლება ინტენსიური გრძნობები ჰქონდეს ფიზიოლოგიური ცვლილებების გარეშე; მაგრამ როგორც კი ფიზიოლოგიური ცვლილებები იჩენენ თავს, ის ჭკუიდან იშლება, დისოცირებულია, გამოგდებულია თავისი შინაგანი კერიდან, რომელიც ამ დროს ყველა სულთა ბუდედ შეიზლება იქცეს.

დოქტ. ერიკ გრემ ჰაუი:

შეიძლება თუ არა გავავლოთ დაპირისპირებებს შორის: ემოციასა და გრძნობას შორის, ერთი მხრივ, და შემეცნებასა და ნება-სურვილს შორის (cognition და conation), მეორე მხრივ? მაშინ გრძნობა „შემეცნებას“ შეესატყვისება და ემოცია - „სურვილს“.

კ.გ. იუნგი:

დიახ, ფილოსოფიური ტერმინოლოგიით შეიძლება ასეც გამოვხატოთ. საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

დოქტ. ჰაუი:

თუ შეიძლება, კიდევ ერთი რამ დამრჩა სათქმელი. თქვენს მიერ გამოყოფილი ოთხი ფუნქცია - შეგრძნება, აზროვნება, გრძნობა და ინტუიცია - ვგონებ, განზომილებათა ოთხ კლასს შეესატყვისება. თქვენ თავად იხმარეთ ადამიანის სხეულთან მიმართებაში გამოთქმა „სამგანზომილებიანი“, და ისიც ბრძანეთ, ინტუიცია დანარჩენი სამი ფუნქციისაგან განსხვავება, რამდენადაც ის დროის ელემენტებს შეიცავსო. მაშინ იქნებ ის მეოთხე განზომილებას შეესატყვისებოდეს? თუ ასეა, მაშინ ასეთ სისტემაში „შეგრძნება“ პირველი განზომილების შესაბამისი იქნებოდა, „აღქმითი შემეცნება“ - მეორის, „ცნებითი შემეცნება“ (რომელიც ალბათ თქვენეულ „გრძნობას“ შეესატყვისება) - მესამის და „ინტუიცია“ - მეოთხისა.

კ.გ. იუნგი:

ასეც შეიძლება გამოვსახოთ. ვინაიდან ინტუიცია ხან ისე ფუნქციონირებს, გეგონება სივრცე არ არსებობდეს და ხან - ისე, თითქოს დრო არ არსებობდეს, მართლაც შეიძლება ითქვას, რომ მე აქ ერთგვარი მეოთხე განზომილება შემომაქვს. მაგრამ მეტისმეტად ნუ გაგვიტაცებს ამგვარი შედარებები. მეოთხე განზომილების იდეას ფაქტიურად ახალი არაფერი მოაქვს. ინტუიცია ჰ.გ. უელსისეულ დროის მანქანას წააგავს. ალბათ გახსოვთ ეს უცნაური მექანიზმი, თავის მგზავრს სივრცის ნაცვლად დროში რომ დაატარებს. ის ოთხი სვეტისაგან შედგება, რომელთაგან სამი მუდამ ხილულია, მეოთხე კი ბუნდოვნად ჩანს, - ის ხომ დროის ელემენტია. სამწუხაროა, მაგრამ რას იზამ, - ინტუიცია ამ მეოთხე სვეტისმაგვარი რამაა. არსებობს ისეთი რამ, როგორცაა არაცნობიერი აღქმა, - აღქმა, რომელიც ჩვენთვის გაუგებარი გზებით ხორციელდება. ამ ფუნქციის არსებობის ემპირიული საბუთები სახეზეა. რა სამწუხაროა, რომ ასეთი რამეები არსებობს. ჩემი ინტელექტი მოხარული იქნებოდა, სამყარო რომ ნათლად ყოფილიყო მოხაზული ყოველგვარი ბნელი კუთხე-კუნჭულების გარეშე, მაგრამ კოსმოსში არსებულ ამ აბლაბუდებზე თვალის დახუჭვა შეუძლებელია. და მაინც, მგონი, ინტუიციას მისტიკისა არაფერი სცხია. ვის შეუძლია, მაგალითად, ბოლომდე დამარწმუნებლად ახსნას, თუ რატომ მიფრინავენ ზოგი ჩიტები ასე უცნაურად შორს, ანდა რატომ მისდევენ მუხლუხოები, პეპლები, ჭიანჭველები თუ ტერმიტები თავ-თავიანთ სპეციფიკურ საქმიანობას? აქ უამრავი გადაუჭრელი საკითხია. ანდა, თუნდაც ის გარემოება ავიღოთ, რომ წყალი ოთხ გრადუს ცელსიუსზე

უდიდესი სიმკვრივისაა. რატომ ხდება ასე? რატომაა ენერჯის რაოდენობა მუდმივი? ასეა და რას იზამ, თუმცა ეს რაღაც უხერხულობას ქმნის. კარგი იქნებოდა, ასეთი რამეები არ არსებობდნენ, მაგრამ რაკი არსებობენ, რა გაეწყობა. სწორედ ისევე, იმ ძველისძველ კითხვაში რომაა: „რატომ შექმნა ღმერთმა ბუზები?“ - შექმნა და!..

დოქტ. ვილფრედ რ. ბაირონი:

რატომ სთხოვეთ თქვენი ექსპერიმენტის დროს იმაზე ეფიქრა, რაც თვით მისთვის უსიამოვნო, და თქვენთვის კი უცნობი იყო? თქვენი აზრით, მნიშვნელობა აქვს, რომ მეორე ექსპერიმენტის მსვლელობისას მან იცოდა, თქვენთვის რომ ცნობილი იყო მისი უსიამოვნება, და ამან გავლენა მოახდინა ემოციურ რეაქციაზე ამ ორ ექსპერიმენტში?

კ.გ. იუნგი:

დიახ, სწორედ რომ ასეა. რა თქმა უნდა, ბევრად უფრო საამოა გვჯეროდეს, სხვამ ამის შესახებ არაფერი იცისო. როდესაც გაიგებ, რომ იმასაც სცოდნია, მდგომარეობა სავსებით იცვლება და ძლიერ უსიამოვნო იერს იძენს. ყოველი ექიმის ცხოვრებაში მოიპოვება შემთხვევები, რომელთა შესახებ კოლეგის ინფორმირებულობა ძალზე მტკივნეულად განიცდება, და მე თითქმის ასი პროცენტით ვიყავი დარწმუნებული, რომ ის ნაღმივით იფეთქებდა, როდესაც მივახვედრე, ვიცი, საქმე რაშიცაა-მეთქი. მართლაც ასე მოხდა. ეს იყო ჩემი საქციელის მიზეზი.

დოქტ. ერიკ ბ. შტრაუსი:

შეიძლება, უფრო დაწვრილებით რომ განვმარტოთ, თუ რატომ თვლით გრძნობას რაციონალურ ფუნქციად? შემდეგ, მთლად კარგად ვერ გავიგე, რას გულისხმობთ გრძნობაში. უმრავლესობა ჩვენთაგანს ამ გამოთქმაში ესმის დაპირისპირებულობანი, როგორცაა სიხარული, ტკივილი, დამაბულობა და განტვირთვა. შემდგომ: თუკი გრძნობასა და ემოციას შორის მხოლოდ ხარისხობრივი განსხვავებაა, როგორც დოქტ. იუნგი ამტკიცებს, მაშინ რატომ ათავსებს ის მათ, ასე ვთქვათ, საზღვრის სხვადასხვა მხარეს? შემდეგ: დოქტ. იუნგი ბრძანებს, რომ კრიტერიუმი, ასე გასინჯეთ, ძირითადი კრიტერიუმიც კი, იმაში მდგომარეობს, რომ

ემოციებს ფიზიოლოგიური ახლავს, გრძნობებს კი - არა. მაგრამ პროფესორ ფროიდლიხერის¹⁶ ექსპერიმენტებმა ბერლინში, ჩემის აზრით, ცხადად აჩვენა, რომ ჩვეულებრივი გრძნობებიც, იწვევენ ფიზიოლოგიურ ცვლილებებს, მაგალითად, სისხლის წნევის ცვლილებებს, რომელნიც დღეს უზუსტესი აპარატურით აღირიცხება.

¹⁶ აქ, ალბათ, სტენოგრაფიული შეცდომაა და იგულისხმება იაკობ ფროინდლიხი, რომელიც ექსპერიმენტებს ატარებდა ელექტროკარდიოგრამის გამოყენებით; შდრ. მისი სტატია „Deutsches Archiv fur Klinische Medizin“-ში (გერმ.: „კლინიკური მედიცინის გერმანული არქივი“).

კ.გ. იუნგი:

მართალია, რომ გრძნობებს, როდესაც ისინი ემოციურ ბუნებას ავლენენ, ფიზიოლოგიური შედეგები მოჰყვება; მაგრამ უეჭველია, არსებობენ გრძნობები, რომლებიც ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე ზეგავლენას არ ახდენენ. ასეთი გრძნობები, გარკვეული აზრით, სულიერი (მენტალური) ხასიათისაა, ე.ი. ემოციური არაა. ესაა განსხვავება, იმთავითვე ცხადია, რომ აქ არაფერ ფიზიოლოგიურთან არა გვაქვს საქმე. გრძნობა შეიძლება ისევე აბსტრაქტული იყოს, როგორც აბსტრაქტული აზროვნება. ხომ არ ვიტყვით, აბსტრაქტული აზროვნება ფიზიოლოგიური რამააო. აბსტრაქტული აზროვნება სწორედ ისაა, რასაც ეს გამოთქმა აღნიშნავს. დიფერენცირებული აზროვნება რაციონალურია; ამიტომ გრძნობაც შეიძლება რაციონალური იყოს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთები ტერმინებს ურევენ.

საჭიროა ცნება, რომ ღირებულებებზე მითითება შევძლოთ. უნდა მოვახერხოთ და ამ სპეციფიკური ფუნქციის დახასიათებაში ჩავდოთ ის, რაც მას სხვა ფუნქციებისაგან განასხვავებს, და გრძნობა სწორედ სათანადო გამოთქმა ჩანს. მე სრულიად არაფერი მექნება საწინააღმდეგო, თუ მოაზროვნე ადამიანთა უმრავლესობა იმ დასკვნამდე მივა, გრძნობა ამისათვის ყოვლად შეუსაბამო სიტყვააო. თუკი თქვენ მეტყვით, რომ სხვა სიტყვა გირჩევნიათ, მაშინ ეს სხვა უნდა შევარჩიოთ ღირებულებათა მიწერის ფუნქციის აღსანიშნავად, რადგან ღირებულებები არსებობენ, ვერაფერს უზამ, და ამიტომაც მათთვის ცნება გვესაჭიროება. ჩვეულებრივ ღირებულებით განცდას „გრძნობას“ უწოდებენ ხოლმე. მაგრამ მე მაინცდამაინც

ამ ცნებას როდი ვებღაუჭები. განსაზღვრებათა მიმართ ძალიან ლიბერალური ვარ, და მხოლოდ იმიტომ მომყავს ხოლმე, რომ მინდა გასაგები გავხადო, რასაც ვგულისხმობ, როცა ამა თუ იმ გამოთქმას ვხმარობ. თუ ვინმე ამჯობინებს, რომ გრძნობა ემოცია იყოს, ან გრძნობა ისეთი რამ იყოს, რაც სისხლის მომატებულ წნევას იწვევს, - კი ბატონო, ნება თქვენია. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ მე გრძნობას ამ აზრით არ ვხმარობ. ადამიანები რომ შეთანხმებულიყვნენ, აიკრძალოსო გრძნობის ასეთი გაგებით ხმარება, - რაღა მეთქმოდა. გერმანულში არსებობს ცნებები **შეგრძნება** და **გრძნობა**. გოეთეს ან შილერს თუ გაეცნობით, დაადგენთ, რომ ამ ორ ფუნქციას მგოსნებიც კი ურევენ. გერმანელმა ფსიქოლოგებმა უკვე აირჩიეს, აღარ ვიხმაროთ გამოთქმა „შეგრძნება“ „გრძნობის“ ნაცვლად და შემოგვთავაზეს, ცნება **გრძნობა (Gefuehl)** ღირებულებით წარმოდგენებს მივაკუთვნოთ, ხოლო **შეგრძნება (Empfindung)** შეგრძნების ფიზიკურ ორგანოებთანაა (Sinnesorgane) დაკავშირებული. ახა, რომელი თანამედროვე ფსიქოლოგი იტყვის, გრძნობა მაქვსო თვალებში, ყურში ან კანზე. ყოველდღიურ მეტყველებაში, რასაკვირველია, ვამბობთ, მაგრამ სამეცნიერო ენაში ასეთი გამოთქმები უკვე დაუშვებელია. ამ ორ ცნებას ერთსა და იმავე მნიშვნელობას თუ მივანიჭებთ, ეს იგივე იქნება, ფრანგმა რომ „**les sensations les plus nobles de l' amour**“-ს* შესახებ დაიწყოს ლაპარაკი. უბრალოდ, სასაცილო იქნებოდა, - ეს ხომ გაუგონარი რამაა, წარმოუდგენელია.

დოქტ. ე.ა. ბენეტი:

თვლით თუ არა, რომ მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზით დაავადებული ადამიანის ფუნქცია ფაზაში ცნობიერი რჩება?

კ.გ. იუნგი:

არა, ამას ვერ ვიტყვოდი. მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზის დროს ზოგჯერ ირკვევა, რომ მანიაკალურ ფაზაში ერთი ფუნქციაა გაბატონებული და დეპრესიულში - მეორე. ასე, ადამიანები, რომლებიც მანიაკალურ ფაზაში ხალისიანები, სანგვინიკურნი, სიმპათიურები და კეთილგანწყობილნი არიან და ბევრი ფიქრით თავს არ იწუხებენ, დეპრესიაში მოულოდნელად შეიძლება ძალზე დაფიქრებულნი გახდნენ; აკვიატებული აზრები უჩნდებათ, და პირიქით. მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზით დაავადებულ რამდენ ინტელექტუალს ვიცნობ,

მანაკალურ ფაზაში თავისუფლად რომ აზროვნებენ, ძალიან ნათლად და ძალზე აბსტრაქტულად, პროდუქტიულნი არიან, დეპრესიის ფაზაში კი მტანჯველი გრძნობები არ ასვენებთ. საშინელი განწყობილებების ტყვეობაში ექცევიან - სწორედ რომ განწყობილების, და არა აზრების. რა თქმა უნდა, აქ საქმე პიროვნების ფსიქოლოგიის საკითხებთან გვაქვს. ეს ყველაზე უკეთ ჩანს ორმოციოდე წლის ანდა უფრო ხანდაზმულ ადამიანებზე, რომელთაც სრულიად გარკვეული ან ღირებულებითი ცხოვრებით უცხოვრიათ, და რომლებთანაც უეცრად ეს ასპექტი იძირება და საწინააღმდეგო ამოყვინთავს. ასეთი ძალიან საინტერესო შემთხვევები მოიძებნება;

***, უკეთილშობილესი შეგრძნებები სიყვარულისა” (ფრანგ.).**

ცნობილი ლიტერატურული მაგალითია ნიცშე. ეს უაღრესად შთამბეჭდავი შემთხვევაა ერთი ფსიქოლოგიური განწყობის (Einstellung) მეორეთი, მისი საპირისპირო შეცვლისა ცხოვრების შუა ხანებში. სიჭაბუკის წლებში ნიცშე ფრანგული სტილის მეტაფორიზმე იყო; მოგვიანებით, 38 წლისამ, „ასე ამბობდა ზარატუსტრა” რომ დაეწერა, მასში დიონისურმა განწყობამ ამოხეთქა, რომელიც მთლიანად ეწინააღმდეგება ყველაფერს, რაც კი რამ ადრე ჰქონია დაწერილი.

დოქტ. ბენეტი:

მელანქოლია, ალბათ, ინტროვერტულია, არა?

კ.გ. იუნგი:

არა, ასე ვერ განვსჯით, მათი ასე შეთანადება არ შეიძლება. შეგვეძლო მალანქოლია დავგეხასიათებინა როგორც ინტროვერტული მდგომარეობა, მაგრამ ის ხომ ფაქტიურად განწყობა არაა. როდესაც ვინმეს ინტროვერტს უწოდებენ, ამით იმის თქმა სურთ ხოლმე, რომ ის ქცევის ინტროვერტულ ფორმებს ამჯობინებს. მაგრამ მას ხომ ექსტრავერტული მხარეც აქვს. ყველას გვაქვს ეს ორი მხარე, თორემ ორივე რომ არ გვქონოდა, შეგუება საერთოდ წარმოუდგენელი რამ იქნებოდა ჩვენთვის, არასდროს არავითარ ზეგავლენაში არ მოვექცეოდით, - ხომ შევიშლებოდით ჭკუიდან. დეპრესია ყოველთვის ინტროვერტული

მდგომარეობაა. მელანქოლიის დროს კი ადამიანი ერთგვარ ემბრიონალურ მდგომარეობას უბრუნდება და ამიტომაცაა, ამდენი უცნაური ფიზიკური სიმპტომი რომ იჩენს ხოლმე თავს.

დოქტ. მერი კ. ლუფი:

პროფესორმა იუნგმა ემოცია განსაზღვრა როგორც რაღაც მოძალადეობრივი, რომელიც ინდივიდზე სრული უფლებამოსილებით სარგებლობს. ჩემთვის მთლად ნათელი არაა, რაღაც განსხვავებაა „შეჭრასა“ და „აფექტს“ შორის.

კ.გ. იუნგი:

ზოგჯერ კაცი ისეთ რამესაც გამოსცდის, როგორიცაა „პათოლოგიური“ ემოცია, ამასთან, ძნელი არაა იმის დადგენა, რომ სასწაულებრივმა რაღაცეებმა შეიძლება იჩინოს თავი ემოციების სახით: აზრებმა, რომლებიც ამ კაცს მანამდე არასოდეს მოსვლია თავში; ხანდახან - ამაზრზენმა ფიქრებმა და ფანტაზიებმა. ასე, ადამიანებს ძლიერი გაჯავრების მდგომარეობაში შურისძიების და სხვა ამდაგვარ ჩვეულებრივ განცდათა ნაცვლად შემადრწუნებელი ფანტაზიები შეიძლება გაუჩნდეთ, მაგალითად, მკვლელობის ჩადენა, მტრისთვის ხელ-ფეხის დაჭრა და მისთ. აქ საქმე არაცნობიერის ფრაგმენტებთან გვაქვს, რომლებიც ცნობიერებაში იჭრებიან, რასაც სრულად განვითარებული პათოლოგიური ემოციის შემთხვევაში ფაქტიურად ცნობიერების დაკარგვა მოჰყვება, - ადამიანები ზოგჯერ ველურებივით გარბიან ხოლმე სადღაც და სულ მთლად გიჟური საქციელი შეუძლიათ ჩაიდინონ. აი, რა არის შეჭრა. ეს-ესაა აღწერილ მდგომარეობას პათოლოგიურს ვუწოდებდით, ამ ჯურის ფანტაზიები ნორმის ფარგლებშიც რომ არ გვხვდებოდეს. გამიგონია, როგორც უთქვამთ სრულიად უმწიკვლო ადამიანებს ვალაცაზე, ასო-ასო ავჩეხავდიო, და თქვენ რა გგონიათ, მართლა აქვთ ასეთი სისხლიანი ფანტაზიები: ანდა, თავს გავუტეხავთო, - ისინი ფანტაზიაში აკეთებენ იმას, რასაც წყნარ მდგომარეობაში მხოლოდ მეტაფორული აზრით ამბობენ. როდესაც ასეთი ფანტაზიები ფრთას ისხამს და ადამიანებს საკუთარი თავის წინაშე შიში უჩნდებათ, აი, მაშინ გვაქვს სქმე.

დოქტ. ლუფი:

ეს გონების დაბნელებაა, ფსიქოზია?

კ.გ. იუნგი:

სულაც არაა აუცილებელი ფსიქოზი იყოს, ან თუნდაც „პათოლოგიური“. ასეთი რამ შეიძლება სრულიად ნორმალურ ადამიანებსაც დაემართოთ, როდესაც ისინი რაღაც განსაკუთრებული ემოციების ტყვეობაში არიან. მახსოვს, ერთხელ მეტად ძლიერი მიწისძვრა იყო. ცხოვრებაში პირველად მაშინ შევიგრძენი მიწისძვრა. ერთიანად გამმსჭვალა იმ წარმოდგენამ, რომ დედამიწა მყარად კი არა დგას, არამედ უზარმაზარი ცხოველის ტყავია, რომელმაც ტანი ცხენივით შეიბეტყა. ამ წარმოდგენამ მთლიანად შემიპყრო რამდენიმე ხანს. მერე, როგორც იქნა, ამ ფანტაზიას დავეხსენი და გამახსენდა, თუ რას ამბობენ იაპონელები მიწისძვრის შესახებ: რომ დიდმა სალამანდრამ გვერდი იბრუნა, თუ პოზა შეიცვალა, იმ სალამანდრამ, რომელზედაც დედამიწა ძევს.¹⁷ ამ აზრმა დამაწყნარა, რადგან აქ ჩემს ცნობიერებაში არქაული წარმოდგენა შემოვიდა. ჩათვალე, რომ ღირსშესანიშნავი რამ გადამხდა; აზრადაც არ მომსვლია, პათოლოგიურ მოვლენად ჩამეთვალა.

დოქტ. ბ.დ. ჰენდი:

იტყოდით თუ არა, რომ აფექტს (თქვენეული გაგებით - აფექტს) რაღაც გარკვეული ფიზიოლოგიური მდგომარეობა იწვევს? თუ ფიზიოლოგიური ცვლილება შედეგია, ვთქვათ, შეჭრას?

კ.გ. იუნგი:

სხეულისა და სამშვიდველის ურთიერთმიმართების პრობლემა უადრესად რთულია. თქვენ იცნობთ ჯემს-ლანგეს თეორიას, რომლის მიხედვით აფექტი ფიზიოლოგიურ ცვლილებათა შედეგია. თუ რომელია გადამწყვეტი ფაქტორი, სხეული თუ სული, ამ საკითხს ვინ - როგორ წყვეტს, ხასიათისა და გუნება-განწყობილებისდა მიხედვით. ვინც სხეულის პრივილეგირებულობას თეორიისკენ იხრება, იტყვის, შინაგანი პროცესები ფიზიოლოგიური ქიმიის ეპიფენომენებიაო, ხოლო ვისაც უფრო სულიერი მხარისა სწამს, ის ამის საპირისპირო აზრს გამოთქვამს; მისთვის სხეული მხოლოდ და მხოლოდ დამანატი იქნება სულისა, რომელიც

ყოველთვის თავი და თავია. ეს ფილოსოფიური საკითხია, და რაკიდა მე ფილოსოფოსი არ გახლავართ, ამიტომ გადამჭრელ სიტყვასაც ვერ ვიტყვი. ემპირიული თვალსაზრისით მხოლოდ და მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ სხეულებრივი და სულიერ-მშვინვიერი მოვლენები ერთად მიმდინარეობენ, მაგრამ რა გზით მიიღწევა ეს - ჩვენთვის საიდუმლოა. ჩვენი ყოვლად უზადრუკი სულის წყალობით ჩვენ არ შეგვიძლია სხეული და სული წარმოვიდგინოთ როგორც ერთი და იგივე რამ; ალბათ, ისინი ერთი და იგივე რამ არიან, მაგრამ ამის მოაზრება ჩვენს შასაძლებლობებს აღემატება. თანამედროვე ფიზიკა ამგვარივე სიმძნელის წინაშე დგას: გაიხსენეთ სავალალო ამბები, სინათლის თაობაზე რომ დატრიალდა: თითქოსდა ტალღებისაგან უნდა შედგებოდეს სინათლე, არადა კორპუსკულებადაც ავლენს თავს.

¹⁷ იაპონური თქმულების მიხედვით ნამაცუს, ერთგვარ ვეებერთელა ლოქოს, ზურგზე ადევს იაპონიის უდიდესი ნაწილი. გაბრაზებისას ის თავს ან კუდს ანძრევს და ამით მიწისძვრას იწვევს. ეს თქმულება ფართოდაა წარმოდგენილი იაპონურ ხელოვნებაში.

საჭირო გახდა *დე ბროილის* ურთულესი მათემატიკური ფორმულა, რათა ადამიანის სულს როგორმე დაეშვა იმის შესაძლებლობა, რომ ტალღები და კორპუსკულები ერთი და იმავე რეალობის ორი ფენომენია, რომლებიც, უბრალოდ, სხვადასხვაგვარ პირობებში იჩენენ თავს.¹⁸ ამის მოაზრება ჩვენს ძალებს აღემატება, მაგრამ მეტი რა ჩარაა, - იძულებული ვართ, პოსტულატად მივიღოთ.

სწორედ ასევე, ე.წ. ფსიქოფიზიკური პარალელიზმიც გადაუჭრელი პრობლემაა. მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც ტიფოიდური ციებ-ცხელება თანმხლები ფსიქოლოგიური მოვლენებითურთ. ფსიქიკური ფაქტორი რომ მივიჩნიოთ მის გამომწვევ მიზეზად, გარდა იმისა, რომ ზოგი ფიზიოლოგიური მდგომარეობა ერთმნიშვნელოვნადაა განპირობებული ფსიქიკური დარღვევებით, სხვებისთვის კი ასეთი დარღვევები მარტოოდენ თანმხლები მოვლენებია. სხეული და სული - ეს ადამიანის ორი ასპექტია, - სულ ესაა, რაც ვიცით. ამიტომაც ჯობს ვთქვათ, რომ ეს ორი რამ ურთიერთდაკავშირებულია, თუმცა რანაირად - იდუმალებითაა მოცული, და გვიჩვენია, ამით დაგვკმაყოფილდეთ, რადგანაც ვერას გავხდებით, რაც უნდა ვეცადოთ, წარმოვიდგინოთ, რომ ეს ორი ერთი და იგივე რამაა. მე, ჩემდათავად, საკუთარი მიზნებისათვის ჩამოვაცალიბე ცნება, რომელიც ამ „ერთად“-ს თვალსაჩინოდ გამოხატავს:

ვამბობ, რომ სამყაროში მოქმედებს **სინქრონულობის**¹⁹ უცნაური პრინციპი, რომლის მიხედვითაც რაღაც-რაღაცეები როგორაც ურთიერთშეთანხმებულად მიმდინარეობენ და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებენ, თითქოს ერთი და იგივე რამეს წარმოადგენენ; თუმცა ჩვენ მაინც ვერ ვეგუებით ამ აზრს. იქნებ ოდესმე კიდევ რამე მათემატიკური მეთოდი გამოიგონონ, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება იმის დამტკიცება, რომ ეს ასეც ხდებოდა, მაგრამ ამჟამად მე ვერაფერს გეტყვით იმის შესახებ, სხეულთ წამყვანი პრინციპი თუ სული, თუ ორივენი უბრალოდ ერთიმეორის გვერდით არსებობენ.

¹⁸ L.V. DE BROGLIE, licht und Materie. Ergebnisse der neueren Physik, 1949.

¹⁹ შდრ. C.G. JUNG und W.PAULI, Naturerklärung und Psyche (თხზ.ტ. VIII, 1967.)

დოქტ. ლ.ჯ. ბენდიტი:

ჩემთვის ჯერ არაა მთლად ნათელი, როდის ხდება „შეჭრა“ პათოლოგიური. მოხსენების დასაწყისში თქვენ ბრძანეთ, რომ შეჭრა პათოლოგიაში მაშინ გადადის, როდესაც „ჩვეულებად“ იქცევაო. რა განსხვავებაა პათოლოგიურ შეჭრასა და ხელოვნებისეულ ინსპირაციას, ზემთაგონებას შორის?

კ.გ. იუნგი:

ხელოვნებისეულ ინსპირაციასა და შეჭრას შორის არავითარი განსხვავება არაა, - ზუსტად ერთი და იგივეა; ამიტომ ვერიდები სიტყვა „პათოლოგიურის“-ს ხმარებას. ხომ ვერ ვიტყვი, ხელოვნებისეული ინსპირაცია პათოლოგიურია-მეთქი, და შეჭრასაც იგივე ეხება, - ინსპირაცია ხომ მე სავსებით ნორმალურ მდგომარეობად მიმაჩნია. ნეგატიური მასში არაფერია. ის არც ერთ შემთხვევაში არ სცილდება მისაღების ჩარჩოებს. საბედნიეროდ, ადამიანის ბუნებისათვის დამახასიათებელია, რომ ხანდახან ინსპირაციები იჩენენ ხოლმე თავს, - მართალია, ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც. მაგრამ პათოლოგიური მოვლენებიც ხომ თითქმის ამგვარადვე აღმოცენდებიან, და ამიტომ სადღაც ხომ უნდა გავავლოთ საზღვარი. თქვენ ყველანი ფსიქიატრები რომ ბძანდებოდეთ, და მე რომ, ვთქვათ, ვინმე, პაციენტი წარმოგიდგინოთ, თქვენ

შეიძლება თქვათ, რომ ის სულით ავადმყოფია, მე კი ვიტყვოდი, რომ სანამ მას შეეძლება რამენაირად გამაგებინოს თავისი, რათა მასთან კონტაქტი ვიქონიოთ, მანამდე მას სულით ავადმყოფი არ ეთქმის. „არანორმალური“ ძალზე ფარდობითი ცნებაა. ზანგი, მაგალითად, თავისებურ ყაიდაზე რომ იქცევა, ეს გასაგებია, - ის ხომ ზანგია. მაგრამ თეთრკანიანი ამნაირად რომ მოიქცეს, ვიტყვით, გაგიჟდაო, - თეთრკანიანს ხომ არ შეიძლება ასე ეჭიროს თავი. ზანგისაგან სხვას არც არაფერს მოელი, მაგრამ თეთრკანიანი ასეთებს როდი სჩადის. „გაგიჟება“ სოციალური წარმოდგენაა; ჩვენ სოციალურ შეზღუდვებსა და დოგმებს ვიყენებთ სულიერ-მშვიდვით დარღვევებზე მისათითებლად. შეიძლება ვინმეზე თქვან, რომ უცნაური კაცია, რომ სხვანაირად იქცევა, ვიდრე მისგან მოელიან და რომ განსაცვიფრებელი იდეების პატრონია, და თუ ის საფრანგეთის ან შვეიცარიის რომელიმე პატარა ქალაქში ცხოვრობს, ალბათ, მასზე ასე იტყვიან: „ძალზე არაორდინალური ადამიანია, ამ პატარა მიდამოს ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური მოსახელეა“. მაგრამ იმავე ადამიანის შუა Harley Street-ზე* თუ მოვათავსებთ, აღმოჩნდება, რომ, უბრალოდ, გიჟია.

***ქუჩა ლონდონში, რომელთანაც განთქმულ ექიმთა და ქირურგთა სახელებია დაკავშირებული.**

ანდა, ვთქვათ, ვინმე მხატვარს იქნებ ძალიანაც თვითმყოფად ხელოვნად თვლიდეთ, მაგრამ ახა ერთი რომელიმე დიდი ბანკის მოლარედ დააყენეთ, - აი, მაშინ ნახავთ ბანკის სეირს! იქ მყოფები ნაღდად დაასკვნიან, გიჟია ვიღაცაო. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ და მხოლოდ სოციალური მსჯავრია და სხვა არაფერი. იგივე სურათია ფსიქიატრიულ საავადმყოფოებშიც. ამ შემზარავ დაწესებულებათა ქსელის გაფართოების მიზეზი სულიერ ავადმყოფობათა აბსოლუტური რიცხვის ზრდაში კი არ უნდა ვეძიოთ, არამეს იმაში, რომ ჩვენ თვითონ ვეღარ ვიტანთ ვერანაირ გადახრას ნორმიდან, და შორიდან ისე ჩანს, თითქოს სულით ავადმყოფები ძველ დროსთან შედარებით გაცილებით მეტია. მახსოვს, ჩემს ახალგაზრდობაში გარს ისეთი ხალხი გვეხვია, რომლებიც შემდგომშია შიზოფრენიით დაავადებულებად შევიცანი და რომელთა შესახებაც ასე ვფიქრობდით: „ოო, ესა და ეს ბიძია ძალიან ორიგინალური კაცია“. ჩემს სამშობლოში მოიძევებოდნენ ჰკუასუსტებიც; მაგრამ მათზე არავინ იტყოდა, რა საშინელი რეგენიაო, ან რაიმე ამგვარს, არამედ ამბობდნენ, რა ზრდილი და სიმპათიური ადამიანიაო. ასევე, იყვნენ იდიოტები, რომელთაგან „კრეტინებს: („Cretins“) უწოდებდნენ, რაც შემდეგი

გამოთქმიდან წარმოდგება: „ის კეთილი ქრისტიანია” (**Er ist ein gutter Christ**). სხვას მათზე ბევრს ვერაფერს იტყობდი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, „კეთილი ქრისტიანები” კი უეჭველად ეთქმოდათ.

თავმჯდომარე:

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო, ვფიქრობ, დღეისათვის უნდა გავათავისუფლოთ ბატონი პროფესორი იუნგი და გულითადი მადლობა გადავუხადოთ.

მეორე ლექცია

თავმჯდომარე, დოქტ. ჯ.ა. ჰედფილდი:

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო, ბატონი პროფესორი იუნგი უკვე წარადგინეს თქვენს წინაშე და, უნდა ითქვას, არც ქება-დიდება დაუშურებიათ; მაგრამ, ვფიქრობ, ყველა ვინც გუშინ საღამოს გვესწრებოდა, დამეთანხმება, რომ ეს ხოტბა გადაჭარბებული სულაც არაა. დოქტ. იუნგმა გუშინ ადამიანის ფსიქიკის ფუნქციების შესახებ ისაუბრა, სახელდობრ, გრძნობის, აზროვნების, ინტუიციისა და შეგრძნების შესახებ, და მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მას ყოველი ამ ფუნქციათაგანი - წინააღმდეგ იმისა, რაც მან მოგვახსენა - მშვენივრად აქვს დიფერენცირებული. ის კი არა, ვიგრძენი, თითქოს ამ ფუნქციათა კავშირში ავტორის იუმორის გრძნობა გამოსჭვივის. რაიმე წარმოდგენის ჭეშმარიტებაში ისე ვერაფერი დამარწმუნებს, როგორც ავტორის უნარი, იუმორისტულადაც მიუდგეს მას, რაც გუშინ სარამოს დოქტ. იუნგმა გამოავლინა. რაიმეს მიმართ „პირუტყვული სერიოზულობა” ძალიან ხშირად იმაზე მიუთითებს, რომ მოსაუბრეს თვითონაც ეჭვი ეპარება სათქმელის ჭეშმარიტებაში.

კ.გ. იუნგი:

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო, გუშინ ჩვენ ცნობიერების ფუნქციები მიმოვიხილეთ. დღეს მინდა ბოლომდე მივიყვანო ფსიქიკის სტრუქტურის პრობლემის განხილვა. ადამიანის ფსიქიკის შესახებ მსჯელობა სრული არ იქნებოდა, არაცნობიერი პროცესების არსებობა რომ

მხედველობიდან გამოგვრჩენოდა. ნება მიბოძეთ მოკლედ შეგახსენოთ, რაზეც გუშინ სადამოს ვსაუბრობდით.

არაცნობიერ პროცესებს უშუალოდ ვერ მივუდგებით, - მათზე ხელი არ მიგვიწვდება. მათი უშუალო აღქმა შეუძლებელია, ისინი მხოლოდ თავიანთ შედეგებში ვლინდებიან და, ამ შედეგთა სპეციფიკური თავისებურებებიდან გამომდინარე, ვასკვნი, რომ მათ მიღმა უნდა იყოს რაღაც, საიდანაც ისინი სათავეს იღებენ. ამ ბნელ სფეროს ჩვენ არაცნობიერ ფსიქიკას ვუწოდებთ.

ცნობიერების ექტოფსიქიკური შინაარსები, პირველ რიგში, გარემოს ზეგავლენებით, ფიზიკურშეგრძნებითი აღქმების მონაცემების საზრდოობენ. მაგრამ არსებობს ისეთი შინაარსებიც, რომლებიც სხვა წყაროებიდან იღებენ დასაბამს, როგორცაა, მაგალითად, მეხსიერება და განსჯის უნარი. ესენი ენდოფსიქიკურ სფეროს განეკუთვნებიან. ცნობიერების შინაარსების, მესამე წყარო კი ფსიქიკის ბნელი სამყაროა, არაცნობიერი. აქ ჩვენ ენდოფსიქიკური ფუნქციების თავისებურებებს ვაწყდებით, ე.ი. იმ ფუნქციებისა, რომლებიც ნებელობის კონტროლს არ ექვემდებარებიან. ისინი იმ მედიუმს წარმოადგენენ, რომლის მეშვეობითაც არაცნობიერი შინაარსები ცნობიერების ზედაპირს აღწევენ.

ასე რომ, არაცნობიერ პროცესებს პირდაპირ ვერ დავაკვირდებით. მათი ის პროდუქტები კი, რომელნიც ცნობიერების ზღურბლს გადალახავენ, ორ კატეგორიად შეგვიძლია დავყოთ. პირველი კატეგორია იმ მასალას მოიცავს, რომელნიც შეიცნობა როგორც უეჭველად პიროვნული წარმოშობისა; ეს შინაარსებია პიროვნული მონაპოვრები ანდა ინსტინქტურ მოვლენათა პროდუქტები, რომლებიც მთლიანი პიროვნების საკუთრებაა. შემდგომ, აქვე შედის დავიწყებული თუ განდევნილი, ასევე შემოქმედებითი შინაარსები. ყოველივე ამაში განსაკუთრებული და საოცარი არაფერია. ზოგს შეიძლება ესენი გაცნობიერებული ჰქონდეს, სხვებთან კი არაცნობიერშია ჩაძირული. ზოგმა ისეთი რამ იცის, რაც სხვებისათვის უცნობია. შინაარსთა ამ კატეგორიას მე ქვეცნობიერ ფსიქიკას ანუ **პიროვნულ არაცნობიერს** ვუწოდებ, რადგანაც, ის, რამდენადაც შეგვიძლია განვსაჯოთ, მხოლოდ და მხოლოდ პიროვნული ელემენტებისაგან, რომლებიც მთლიანობაში ადამიანის პიროვნებას (Persoenlicheit) ქმნიან.

შემდგომ, არსებობს აშკარად გაურკვეველი წარმომავლობის შინაარსები, ყოველ შემთხვევაში, ისეთი წარმოშობისა, პიროვნულ მონაპოვრად რომ ვერ ჩაითვლება. ამ შინაარსებს ერთი თვალშისაცემი თავისებურება აქვთ - მითოლოგიური ხასიათისანი არიან. მათ შემეყურეს ისეთი

შთაბეჭდილება გვიქმნება, თითქოს ისინი ცალკეული პიროვნების კი არა, არამედ უფრო მთელი **კაცობრიობის** კუთვნილებას წარმოადგენდნენ. როდესაც პირველად წავაწყდი ამგვარ შინაარსებს, გუნებაში ვიფიქრე, მემკვიდრეობითობას ხომ არ ეფუძნებიან-მეთქი, და აზრად მომივიდა, რომ მათი ახსნა ნაციონალური ან რასობრივი მემკვიდრეობით იქნებოდა შესაძლებელი. ამ საკითხის ნათელსაყოფად ამერიკაში გავემგზავრე, წმინდა სისხლის ზანგთა სიზმრები შევისწავლე და დავადგინე, რომ ეს ხატებები არც ე.წ. სისხლით, ანდა რასობრივ მემკვიდრეობასთანაა რამე კავშირში და არც ცალკეულ ადამიანთა პიროვნული მონაპოვარია. ისინი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, და ამიტომ კოლექტიური ბუნებისანი არიან.

ამ ძირითად კოლექტიურ ნიმუშებს მე არქეტიპები¹ ვუწოდებ, ავგუსტინისეული გამოთქმის მიხედვით. არქეტიპი წარმოადგენს **typos-ს** (გამოკვეთილ რასმე), არქაული ხასიათის მკაცრად შემოსაზღვრულ სტრუქტურას, რომელიც როგორც ფორმით, ისე მნიშვნელობით მითოლოგიური მოტივების შემცველია. წმინდა სახით მითოლოგიური მოტივები ზღაპრებში, მითებში, ლეგენდებსა და ფოლკლორში გვხვდება. ყველაზე ცნობილ მოტივთაგან შეგვიძლია დავასახელოთ: გმირი, მხსნელი, დრაკონი (რომელიც ყოველთვის დაკავშირებულია მის მძლეველ გმირთან), გველეშაპი ანდა დევი, რომელიც გმირს ნთქავს.² გმირისა და დრაკონის სახეცვლილი ვარიანტია კატაბაზისი, ჯოჯოხეთში ჩასვლა, ნეკია.* (ალბათ გეხსომებათ „ოდისეა“-დან ის ადგილი, როცა ოდისევსი **ad inferos**** ჩადის, რათა ტირეზია, ნათელმხილველი, გამოჰკითხოს. ნეკიას ეს მოტივი ყოველ ნაბიჯზე გვხვდება ანტიკურ სამყაროში და ფაქტიურად მთელ მსოფლიოში. ის არაცნობიერი ფსიქიკის ღრმა ფენებში ცნობიერების ინტროვერსიის ფსიქოლოგიურ მოვლენას გამოხატავს. ამ ფენებიდან უპიროვნო, მითოლოგიური ხასიათის შინაარსები ამოდინან, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არქეტიპები, და ამიტომაც ვუწოდებ მე მათ უპიროვნო ანუ **კოლექტიურ არაცნობიერს**.

ცხადია, აქ კოლექტიური არაცნობიერის ამ ცალკე პრობლემის მხოლოდ კონტურებს თუ მოვხაზავთ, ისიც - გაკვრით. მაგრამ მოგიყვანთ მაგალითს კოლექტიური არაცნობიერის სიმბოლიკისა და მასთან ჩემი მიდგომის თავისებურებათა შესახებ, რათა შეძლოთ მისი განსხვავება პიროვნული არაცნობიერისაგან. ამერიკაში რომ მივდიოდი ზანგების არაცნობიერის საკვლევად, თავში ეს კითხვა მიტრიალებდა: ძირითადი კოლექტიური ნიმუშები რასობრივი მემკვიდრეობაა თუ „წარმოსახვის აპრიორული კატეგორიები“-მეთქი, როგორც მათ ორმა ფრანგმა, იუბერმა და მოსმა,³ ჩემი გამოკვლევებისაგან დამოუკიდებლად უწოდა. და აი,

იქ ერთი ზანგი მიყვება სიზმარს, რომელშიც ბორბალზე გაკრული კაცი ფიგურირებს.⁴ მთელ სიზმარს არ მოგიყვებით - არაა ამჟამად ამის აუცილებლობა.

¹ შდრ., C.G.JUNG, „Wurzeln des Bewusstseins“-ში, გვ. 4 და შემდგ. (თხზ. ტ. 9/1) „Die Archetypen des kollektiven Unbewussten“.

² C.G. JUNG, Symbole der Wandlung (თხზ.ტ. 5 ინდექსი).

*ბერძ. – 1. მსხვერპლი, როელსაც მიცვალებულთა სულებს სწირავდნენ, რათა ქვესკნელიდან გამოემხებინათ ისინი; 2. ჰომეროსის „ოდისეას“ ერთ-ერთი თავის სახელწოდება: „მიცვალებულელებზე მისნობა“.

**ქვესკნელში (ლათ.).

³ H. HUBERT et m. MAUSS, Melanges d'histoire des religions, p. XXIX.

⁴ C.G. JUNG, Symbole der Wandlung (თხზ. ტ. 5).

მას, რაღა თქმა უნდა, პიროვნული მნიშვნელობაც ჰქონდა და უპიროვნო წარმოდგენების დადიც აჩნდა, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ამ უკანასკნელ მოტივს გამოვყოფ. ძალზე უმეცარი სამხრეთელი ზანგი გახლდათ; არც ინტელექტით გამოირჩეოდა და არც არაფერი. ზანგთა განთქმულ რელიგიურ ხასიათს თუ გავითვალისწინებთ, **ჯვარზე** გაკრული კაცი რომ დასიზმრებოდა, - კიდევ ჰო, მოულოდნელი არ იქნებოდა, ჯვარს პიროვნული გამოცდილების მონაპოვრად ჩათვლიდით, მაგრამ **ბორბალზე** გაკრულს თუ იხილავდა, ვინ იფიქრებდა! ეს ძალზე უჩვეულო ხატებაა. რა თქმა უნდა, ვერ დაგიმტკიცებთ, რომ ამ ზანგს შემთხვევით ასეთი სურათი არ ენახა ან რომ თავის დღეში მსგავსი არაფერი სმენოდა, და რომ ეს არ ჩაჰყვა ძილში. მაგრამ თუკი მას ამ წარმოდგენის ნიმუში არ გაჩნდა, მაშინ საქმე **არქეტიპულ ხატებასთან** გვექონია, - ბორბალზე გაკვრა ხომ **მითოლოგიური მოტივია**. ეს სწორედ ის, ძველთაძველი მზის ბორბალია,* და ჯვარცმა მზის ღმერთის გულის მოსალობად შეწირული მსხვერპლი გახლდათ, ისევე როგორც ადრე მიწის ნაყოფიერების გასაზრდელად ადამიანებსა და ცხოველებს სწირავდნენ ხოლმე. მზის ბორბალი განსაკუთრებით არქაული და, იქნებ, საერთოდ უძველესი რელიგიური წარმოდგენაც კია. როდესიული ქანდაკებების შესწავლისას მისმა კვალმა

მეზოლითურ და პალეოლითურ ხანამდეც კი შეიძლება მიგვიყვანოს. მაგრამ ნამდვილი ბორბლები მხოლოდ ბრინჯაოს ხანაში არსებობდა; პალეოლითში ბორბალი ჯერ კიდევ არ იყო გამოგონებული. ჩანს, როდესიული მზის ბორბალი იმავე ეპოქიდანაა წარმომდგარი, რომელსაც ცხოველთა ზოგი ძალზე ნატურალისტური გამოსახულება განეკუთვნება, როგორცაა, მაგალითად, განთქმული ტკიპებიანი მარტორქა, დაკვირვებულობის შედეგრი. ასე რომ, როდესიული მზის არქეტიპული ხატებაა.⁵ მაგრამ ის არ არის ნატურალისტური ხასიათისა, რადგან ოთხ ან რვა სეგმენტადაა ხოლმე დაყოფილი (სურ. 3).

*როგორც ზემოთაა ნათქვამი, ეს მოტივი მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. საქართველოშიც, კერძოდ, ხევსურეთში ნივთებისა და სიმხურველის ასტრალური ნიშანი, რომელიც საკუთარი ცენტრის გარშემო ტრიალს და ერთი მიმართულებით სვლას აღნიშნავს, სოლარულ სამყაროსთანაა დაკავშირებული და ბორჯღაღად იწოდება (იხ. ი. სურგულაძე, „ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა“). (მთარგმ.).

⁵ შდრ. C.G.JUNG, *Über die Beziehungen der Analytischen Psychologie zum dichterischen Kunstwerk* (თხზ. ტ. XV); *Psychologie und Religion* (თხზ. ტ. II, 1963 წ., § 100) და *Bruder Klaus* (იქვე, § 484). როდესიული მზის ბორბლების შესახებ წერილობითი ძეგლები ხელთ არა გვაქვს, თუმცადა ანგოლასა და სამხრეთ აფრიკაში აღმოჩენილია კლდეში ამოკვეთილი ასეთი ფორმები; „ტკიპებიანი მარტორქა“ წარმომავლობით ტრანსვაალიდანაა და პრეტორიის ერთ-ერთ მუზეუმშია მოთავსებული.

სურ. 3: მზის ბორბალი

დანაწევრებული წრის ხატება სიმბოლია, რომელსაც კაცობრიობის მთელ ისტორიაში, ისევე როგორც თანამედროვე ადამიანთა სიზმრებშიც, ვაწყდებით. სრულიად შესაძლებელია, ნამდვილი ბორბლის გამოგონება ამ ხილვას ემყარებოდეს. მრავალი ჩვენი აღმოჩენა მითოლოგიურ ანტიციპაციებსა და უძველეს წარმოდგენებს ეფუძნება. ასე, მაგალითად, ალქიმიის ხელოვნება თანამედროვე ქიმიის დედაა. ჩვენი ცნობიერი, მეცნიერული სული არაცნობიერში ყალიბდება.

იმ ზანგის სიზმარში ბორბალზე გაკრული კაცი გამეორებაა ბედნული მითოლოგიური მოტივისა იქსიონის შესახებ, რომელიც ღმერთთა და კაცთა შეურაცხყოფისათვის ზევსის მიერ მარად მბრუნავ ბორბალზე იქნა გაკრული. მითოლოგიური მოტივის ეს მაგალითი, უბრალოდ, იმისთვის მოგიყვანეთ, რომ კოლექტიური არაცნობიერის იდეა გადმომეცა. ერთი ცალკე აღებული მაგალითი, ცხადია, ბევრს არაფერს ნიშნავს. მაგრამ ისიც ხომ შეუძლებელია დავუშვათ, რომ იმ ზანგს ბერძნული მითოლოგია ჰქონოდა შესწავლილი, და ძალიან საეჭვოა, რომ მას ოდესმე ბერძნული მითოლოგიური ფიგურების გამოსახულება ენახა. თანაც, სხვათა შორის, იქსიონის გამოსახულებები საკმაოდ იშვიათია.

შემდეგლო ახლა საოცარი ერთმნიშვნელოვანი საბუთები მომიყვანა არაცნობიერში ასეთი მითოლოგიური ნიმუშების არსებობის თაობაზე. მაგრამ ამისათვის სულ ცოტა ორი კვირის განმავლობაში მაინც მომიწევდა ლექციების კითხვა. ჯერ სიზმრების და სიზმართა სერიების აზრი უნდა გადმომეცა და მერე მიმეთითებინა ყველა ისტორიულ პარალელსა და მათ მნიშვნელობაზე. ამ ხატებათა და წარმოდგენათა სიმბოლიკას ხომ სკოლებსა და უნივერსიტეტებში არ ასწავლიან, და სპეციალისტებსაც კი იშვიათად თუ გაეგებათ რამე ამის შესახებ. მე იძულებული ვიყავი წლების განმავლობაში მეკვლია ეს ხატებები და თავად მეძებნა მასალა, ასე რომ, რაც უნდა განათლებული იყოს ჩემი პუბლიკა, მაინც არ მოველი, ამგვარი ჩახლართული ამბები **au courant*** რომ იცოდეს. სიზმრის ანალიზის ტექნიკის ჯერი რომ მოვა, მაინც მომიხდება ამგვარ მითოლოგიურ მასალაზე შეჩერება, და მაშინ წარმოდგენა შეგექმნებათ იმის შესახებ, თუ როგორ ტარდება პრაქტიკად ეს მუშაობა - არაცნობიერის პროდუქტებისათვის პარალელთა მონახვა; ჯერჯერობით კი იძულებული ვარ იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდე, რომ არაცნობიერის ეს ფენა ძირითად მითოლოგიურ ნიმუშებს შეიცავს და ისეთ შინაარსებს წარმოშობს, რომელთაც ინდივიდუუმს ვერ მივაწევთ; ასე გასინჯეთ, ისინი შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კიდევაც სიზმრის მნახველის პიროვნულ ფსიქოლოგიას. ასე, მაგალითად, ჩვენდა განსაცვიფრებლად, სრულიად გაუნათლებელ პიროვნებასთან შეიძლება ისეთ სიზმარს გადავეყაროთ, რომელიც მას მართლაც არ უნდა დასიზმრებოდა, რადგან ყოვლად საკვირველ რამეებს შეიცავს. ბავშვების სიზმრებმა კი ზოგჯერ შეიძლება ისეთი თავსატეხი გაგვიჩინოს, რომ მერე გონზე მოსასვლელად შვებულების აღება დაგვჭირდეს, - მათი სიმბოლოები იმდენად ღრმააზროვანია, რომ საშველს არ გვამღვეს კითხვა: კი მაგრამ, როგორ შეიძლება ბავშვს ასეთი რამ დასიზმრებოდა?

სინამდვილეში კი ეს სულ ადვილი ასახსნელია. ჩვენს სულს, ისევე როგორც ცხეულს, თავისი ისტორია აქვს. ამაზე გაკვირვება იგივეა, რომ, დავუშვათ, იმას გავეოცებინეთ, ადამიანს რომ ბრმანაწლავი აქვს. განა მან იცის, რომ ასეთი რამ უნდა გააჩნდეს? არა, უბრალოდ, თან დაჰყვა. მილიონობით ადამიანმა არ იცის, რომ თიმუსის ჯირკვალი აქვს, მაგრამ ამით არაფერი იცვლება, - მაინც ხომ აქვთ. მათ არ იციან, რომ თვიანთი ანატომიის გარკვეული ნაწილების მიხედვით ისინი თევზთა სახეობას განეკუთვნებიან, მაგრამ იციან თუ არა - ეს მაინც ასეა. ჩვენი არაცნობიერი, ისევე როგორც ჩვენი სხეული, წარსულის დანაშთთა და მოგონებათა სამყოფელია. არაცნობიერი კოლექტიური ფსიქიკის სტრუქტურის შესწავლა, ალბათ, ისეთივე აღმოჩენებს მოიტანდა, როგორსაც შედარებითი ანატომია. მისტიკური აქ არაფერია, მაგრამ რაკილა კოლექტიურ არაცნობიერს ვახსენებ, მეცნიერებისა და პროგრესის მტრად ვარ გამოცხადებული. კოლექტიურ არაცნობიერს მისტიკასთან რა ხელი აქვს!

*წყალივით, ზეპირად (ფრანგ.).

ეს, უბრალოდ, მეცნიერების ახალი განშტოებაა. არაცნობიერი კოლექტიური პროცესების არსებობის აღიარება ნამდვილად მართებს საღ განსჯას, - მართალია, ბავშვს ცნობიერება დაბადებიდანვე თან არ დაჰყვება, მაგრამ მისი შინაგანი სამყარო მაინც არაა **tabula rasa**.* ბავშვი სავსებით განსაზღვრული ტვინით იბადება, და ინგლისელი ბავშვის ტვინი ისე კი არ იმუშავებს, როგორც ავსტრალიელი აბორიგენისა, არამედ ისე, როგორც თანამედროვე ინგლისელისა. ტვინი მზა სტრუქტურითვე ჩნდება, თანამედროვე ყაიდაზე მუშაობს, მაგრამ თავისი ისტორია გააჩნია. ის მილიონობით წლის განმავლობაში ვითარდებოდა, იმ ისტორიას ასახავს, რომლის ნაყოფიც თვითონაა, და იმაზე ბუნებრივი რაა, რომ ის, ისევე როგორც სხეული, თავის თავში ატარებდეს ამ განვითარების ნაკვალევს. ასე რომ, როდესაც ადამიანის შინაგანი სტრუქტურის წიაღში ვიჭრებით, რა გასაოცარი ისაა, რომ არქაული სულის ნაშთებს მივაგნოთ.

კოლექტიური არაცნობიერის წარმოდგენა მართლაც მარტივია. ასე რომ არ ყოფილიყო, სასწაულზე იქნებოდა ახლა ლაპარაკი, მე კი აქ ზღაპრებს როდი ვყვები. მე მხოლოდ გამოცდილებას ვეყრდნობი. თქვენთვის რომ ეს გამოცდილება გამეზიარებინა, თქვენც ზუსტად იმავე დასკვნებს გამოიტანდით არქაული მოტივების შესახებ. მე როგორღაც შემთხვევით

გამოვკარი ხელი მითოლოგიას და ამ სფეროში, შეიძლება, თქვენზე მეტი წიგნი მქონდეს წაკითხული. ერთ მშვენიერ დღეს, როცა ჯერ კიდევ კლინიკაში ვმუშაობდი, ერთ შიზოფრენიით დაავადებულ პაციენტს შევხვდი, რომელსაც უცნაური ხილვა ჰქონდა, და მიყვებოდა; გინდა თუ არა, შენც უნდა დაგანახო, - ჩამაცივდა, მაგრამ მე ვერაფერს ვხედავდი. ვიფიქრე, ეს კაცი გიჟია, მე - ნორმალური, და მისი ეს ხილვაა თუ რაღაცა, რაში უნდა მენაღვლებოდეს-მეთქი. მაგრამ მაინც მოსვენება დამეკარგა, საგონებელში ჩავვარდი, რას უნდა ნიშნავდეს-მეთქი, არ მაწყნარებდა. და აი, გამოხდა ხანი და წავაწყდი წიგნს, სადაც გერმანელ სწავლულ *ა.დიტერიხს*⁶ რაღაც მაგიური პაპირუსის ნაწილები ჰქონდა გამოქვეყნებული.

***სუფთა დაფა (ლათ.). ინგლისელი ფილოსოფოსი ჯონ ლოკი ცნობიერებას ადამიანის მიერ რაიმე გამოცდილების მიღებამდე tabula rasa-ს უწოდებდა. ლოკამდე ამ გამოთქმას ხმარობდნენ არისტოტელე, ალბერტ დიდი და სხვ. (მთარგმ.).**

⁶ .DIETERICH, Eine Mithrasliturgie, 1910.

მე დიდი ინტერესით შევუდექი მის შესწავლას, და მე-7 გვერდზე სიტყვასიტყვით არ აღმოვაჩინე ჩემი პაციენტის ხილვა?! ელდა მეცა. აი, თავსატეხი: რანაირად გაუჩნდა იმ კაცს ხილვა? საქმე ერთ ხატებას კი არ ეხებოდა, არამედ ხატებას მთელ წყებას სიტყვიერი დამთხვევითურთ. აღარ მინდა დეტალებს შევყვე, რადგან ეს ძალზე შორს წავგიყვანს. ისე, კი, ძალიან საინტერესო შემთხვევაა, - სხვათა შორის, გამოქვეყნებულაც მაქვს.⁷

ამ საოცარმა პარალელმა მეტად ამაფორიაქა. თქვენ, ალბათ, არ გეჩნებათ წაკითხული სწავლულ პროფესორ *დიტერიხის* წიგნი. რომ წაგეკითხათ და თქვენი თვალთ გენახათ ასეთი შემთხვევები, თქვენც მიხვიდოდით კოლექტიური არაცნობიერის წარმოდგენამდე.

ულრმესი ფენა, რომელზედაც არაცნობიერის კვლევისას ხელი მიგვიწვდება, ისაა, სადაც ადამიანი ცალკეული, შეზღუდული არსება კი აღარაა, არამედ განივრცობა და კაცობრიობის არსს ერწყმის - ცნობიერებით კი არა, არამედ თავისი არაცნობიერით, ე.ი. იმით, რაც ჩვენთვის ყვალასათვის საერთოა. ისევე, როგორც ყველას, პრინციპში, ერთნაირი სხეული გვაქვს - ორი თვალი, ორი ყური, ერთი გული და ა.შ., მცირედი ინდივიდუალური განსხვავებებით, შინაგანადაც სწორედ ასეთივე პრინციპულ იგივეობას აქვს ადგილი. კოლექტიურ სფეროში

ცალკეულ, ინდივიდუალურ არსებებს აღარ წარმოვადგენთ; ყველანი ერთი ვართ. ამის გაგება კიდევ უფრო უკეთ შეიძლება, თუ პრიმიტივთა ფსიქოლოგიას მოვიშველიებთ. პრიმიტიული მსოფლმხედველობის უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი ნიშანია ინდივიდთაშორისი განურჩევლობა, სუბიექტისა და ობიექტის ერთიანობა, **participation mystique**,* როგორც მას ლევი-ბრიული უწოდებს.⁸

პრიმიტიულ მსოფლმხედველობაში აისახება ადამიანის სულის საფუძვლად მდებარე სტრუქტურა, ე.ი. ის ფსიქოლოგიური შრე, როელსაც ჩვენთვის კოლექტიური არაცნობიერი წარმოადგენს, - საძირკველი, რომელიც ყველა ადამიანში ერთი და იგივეა. ვინაიდან ეს ძირეული სტრუქტურა ყოველ ჩვენგანში მოქმედებს, ამიტომ შეუძლებელია ამ სფეროში ერთმანეთისაგან განვსხვავდებოდეთ. ვინ უწყის, შენს თავს ხდება აქ რამე თუ ჩემს თვს. ყოველგვარი ცნობიერების საყრდენ ამ კოლექტიურ სფეროში ყველა ჩვენგანის ცხოვრება ერთად ისეთ მთლიანობას შეადგენს, რომლის დანაწევრებაც შეუძლებელია.

⁷ C.G.JUNG, Symbole der Wandlung (თხზ. ტ. 5); Die Archetypen des kollektiven Unbewunten (თხზ. ტ. 9/I); Die Dynamik des Unbewubten (თხზ. ტ. 8, 1967, პარაგრ. 227 და 318 და შემდგ.).

*მისტიკური პარტიციპაცია (ფრანგ.).

⁸ L.LEVY-BRUHL, Die geistige Welt der primitive, 1959 წ.

კაცი რომ დაუფიქრდეს, თუ რაზე მეტყველებს პარტიციპაციის ფაქტი, - რომ არსებითად ჩვენ ყველანი ყველასთან და ყველაფერთან იდენტურნი ვართ, - განსაცვიფრებელ თეორიულ დასკვნებამდე შეიძლება მივიდეს. მაგრამ ზედმეტად შორს ნულარ შევტოპავთ, თორემ ვაი ჩვენი ბრალი! თუმცა, ზოგიერთი ამ დასკვნათაგან უფრო დაწვრილებით რომ განგვებოდა, არ გვაწყენდა, - ვინძლო შუქი მოჰფენოდა ზოგ საოცრებას, რაც ადამიანებს გადახდებათ ხოლმე.

ნება მიბოძეთ თავი მოვუყარო ყოველთვის, რაც ითქვა. აი, დიაგრამა მაქვს წამოღებული (სურ. 4). ცოტა რთული კი ჩანს, მაგრამ სინამდვილეში სულ მარტივია.

სურ. 4: სულიერ-მშვიინვიერ სფეროს დიაგრამა

წარმოიდგინეთ, რომ ჩვენი სულიერ-მშვიდვითი სამყარო განათებული ბირთვია. ზედაპირი, საიდანაც სინათლე აირეკლება, ის ფუნქციაა, რომლის მეშვეობითაც ძირითადად ხორციელდება შეგუება. ისეთი ადამიანის შემთხვევაში, რომელიც უმთვრესად აზროვნების საშუალებით ახდენს შეგუებას, უპირველეს ყოვლისა, მოაზროვნე ადამიანის სურათი წარმოგვიდგება თავალწინ. ის ყველაფერს აზროვნებით აღჭურვილი უდგება, და სწორედ აზროვნებაა ის, რითაც მას თავი მოაქვს და რისი იმედიც აქვს, რომ სხვების წინაშე არ შეარცხვენს. ანალოგიურად, იგივე შეიძლება ითქვას, როცა რომელიმე სხვა ფუნქციაა წამყვანი.⁹

დიაგრამაზე პერიფერიულ ფუნქციად **შეგრძნება**ა წარმოდგენილი. ის გარე სამყაროს ობიექტთა შესახებ გვაწვდის ინფორმაციას. მეორე წრეში, **აზროვნებაში**, ადამიანი ითვისებს იმას, რაც მას შეგრძნებებმა გადასცეს; აქ ნივთების სახელდება და დახასიათება ხდება. შემდეგ **გრძნობის** ჯერი მოდის; გრძნობითი ღირებულება თან ახლავს ყოველგვარ ჭკრეტას; და ბოლოს, წარმოიშობა ხოლმე ერთგვარი ცოდნა იმის შესახებ, თუ საიდან გაჩნდა რაღაც, საით მიემართება და რა შეუძლია მოიმოქმედოს. ეს **ინტუიცია**, რომლის მეოხებითაც ადამიანი საკუთარი თვალსაწიერის მიღმა ხედავს. ეს ოთხი ფუნქცია შეადგენს ექტოფსიქიკურ სისტემას.

დიაგრამის შემდეგი ნაწილი გამოსახავს ცნობიერ „მე“-კომპლექსს, რომელსაც ეს ფუნქციები უკავშირდება. ენდოფსიქიკურ სისტემაში, პირველ რიგში, გამოვყოფთ **მეხსიერებას**, ნებელობისადმი დაქვემდებარებულ ფუნქციას. ის „მე“-კომპლექსის ზედამხედველობის ქვეშაა. შენდეგ მოდის **ფუნქციათა სუბიექტური კომპონენტები**. თუმცა ნებელობა მათთან ბევრს ვერაფერს გახდება, მაგრამ გარკვეულ ფარგლებში მაინც შეუძლია მათი ჩახშობა, გამოთიშვა თუ გაძლიერება. ამ კომპონენტთა მეთველყურეობა ისე იოლი აღარაა, როგორც მეხსიერებისა, თუმცა, მოგეხსენებათ, არც თვით მეხსიერებაა მთლად „წმინდა წყლისა“. შემდეგ **აფექტებსა და შეჭრებს** მივადგებით, რომელთა დამორჩილება მხოლოდ იძულებითი ხერხებით თუ შეიძლება. ერთადერთი - შეგვიძლია არ გამოამყლავნო, თორემ მეტს ვერაფერს უზამ. მუშტები უნდა შეკრა, რომ არ აფეთქდე, რადგან ეს ძალები, ადვილი შესაძლებელია, „მე“-კომპლექსზე უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ.

⁹ ტიპებისა და ფუნქციების ზოგადი დახასიათებისათვის შდრ. C.G.JUNG, *Psychologische Typen* (თხზ. ტ. 6, 1967, თ. 10).

რასაკვირველია, ფსიქიკური სისტემა ასეთი დიაგრამის მეშვეობით სრულად არ გამოიხატება. ეს სურათი უფრო შეფასების სკალაა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ კლებულობს თანდათანობით ენერჯია ანუ ინტენსივობა „მე“-კომპლექსისა (რომელსაც ნებელობა წარმომადგენლობს), რამდენადაც იმ ბნელ რეგიონს ვუახლოვდებით, მთელ ამ სტრუქტურას ქვაკუთხედად რომ დასდებია - **არაცნობიერს**. აქ, პირველ რიგში, ვარჩევთ **პიროვნულ არაცნობიერს**. ფსიქიკის ეს ნაწილი ყოველივე იმას შეიცავს, რაც იგივე წარმატებით ცნობიერიც შეიძლება ყოფილიყო. მოგეხსენებათ, არაცნობიერს ბევრ რამეს ვუწოდებთ, მაგრამ ეს მხოლოდ შედარებით. ამ სფეროში არაფერია ისეთი, რაც აუცილებლად ყველასათვის არაცნობიერი უნდა იყოს. არსებობს ხალხი, რომლისთვისაც თითქმის ყველაფერი ცნობიერია, რისი გაცნობიერებაც კი შესაძლებელია საერთოდ ადამიანისთვის. რასაკვირველია, ჩვენს ცივილიზაციაში არაჩვეულებრივად ბევრი რამაა არაცნობიერი, მაგრამ სხვა ხალხს ეწვევით, ვთქვათ, ინდოეთს ანდა ჩინეთს, დაადგენთ, რომ იქაურებისათვის ისეთი რაღაცეებია ცნობიერი, რომელთა გამოსაქექად ჩვენი ფსიქოანალიტიკოსები თვეობით წვალობენ ხოლმე. მერე კიდევ, ბუნებრივ პირობებში მცხოვრებმა უბრალო ადამიანებმა რაღაც სასწაულით შეიძლება ისეთი რაღაცეების ცოდნა გამოამყდავონ, ქალაქელს რომ არც დაესიზმრება, და თუ დაესიზმრა, ისიც - ანალიზის გავლენით. ეს ჯერ კიდევ სკოლაში დავადგინე. ყრმობის წლები სოფელში მაქვს გატარებული, გლეხებსა და პირუტყვთა შორის, და მე აუარებელი ისეთი რამ ვიცოდი, სხვა ბიჭები აზრზე რომ არ იყვნენ და ბედნიერება მქონდა ყალბი წარმოდგენებისაგან თავისუფალი ვყოფილიყავი. ნევროტულ თუ ნორმალურ ადამიანთა სიზმრების, სიმპტომებისა და ფანტაზიების ანალიზისას არაცნობიერში ვიჭრებით და შესაძლებლობა გვეძლევა ეს ხელოვნური ზღუდე გადავლახოთ. პიროვნული არაცნობიერი მეტად ფარდობითი რამაა. მისმა სფერომ შეიძლება რედუქცია განიცადოს და ბოლოს და ბოლოს ისე შემცირდეს, ნულს მიუახლოვდეს. სულაც არაა წარმოუდგენელი, ვინმემ თავისი ცნობიერება იმდენად განავითაროს, რომ შეეძლოს თქმა: **Nihil humanum a me alienum puto**.¹⁰

დაბოლოს, მივაღწიეთ უკანასკნელ ბირთვს, რომელსაც საერთოდ ვერ გავაცნობიერებთ, - არქეტიპთა საუფლოს. ის, რასაც, ალბათ, ეს სფერო მოიცავს, ხატებათა (**Bild**) ფორმით იჩენს თავს, რომელთა გაგება მხოლოდ მაშინ შეგვეძლება, თუკი ისტორიულ პარალელებს მოვუძებნით მათ.

¹⁰ შდრ. Terenz, Heauton Timorumenos I, 1.25: „Homo sum; humani nil a me alienum puto” (ადამიანი ვარ; არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის).

ზოგი ამ ამოტივტივებულ მასალათაგანი ისტორიულად თუ არ ვცანით და პარალელები თუ ვერ დავინახეთ, ამ შინაარსთა ცნობიერებასთან შეკავშირება შეუძლებელი იქნება, ისე რომ, პროეცირებული დარჩებიან. კოლექტიური არაცნობიერის შინაარსები ნებელობის მიერ ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, თითქოს ჩვენთვის უცხო იყოს ასეთი რამ, - სხვაზე ვამჩნევთ, საკუთარ თავზე - ვერა. როცა კოლექტიური არაცნობიერის შინაარსები აქტიურდება, სხვებში რაღაც-რაღაცეებს შევნიშნავთ ხოლმე; მაგალითად, დარწმუნებული ვართ, რომ ბოროტი აბისინიელი თავს ესხმიან იტალიას. მაგრამ ხომ გახსოვთ ანატოლ ფრანსის ცნობილი მოთხრობა: ორი გლეხი დიდი ხნის განმავლობაში სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყო გადაკიდებული. ვიღაც დაინტერესდა შუღლის მიზეზით და ერთს ჰკითხა, კი მაგრამ, რატომ გპულს შენი მეზობელი, აგრე რას ერჩიო. მან კი მიუგო: „*Mais il est de l' autre cote de la reviere!*” * სწორედ ასევე მტრობენ ერთიმეორეს საფრანგეთი და გერმანია. ჩვენ, შვეიცარიელებს, საბედნიეროდ, მსოფლიო ომის დროს** შესაძლებლობა გვქონდა გაზეთები გვეკითხა და ამ საკვირველ მექანიზმს დავკვირვებოდით, კაცს დიდ ქვემეხად რომ წარმოუდგებოდა, რომლიდანაც რაინის ერთი ნაპირიდან ისროდნენ, და მეორე ნაპირიდანაც ზუსტად იგივეს იმეორებდნენ. ამასთან, ცხადზე უცხადესი ხდებოდა, რომ ეს ადამიანები მეზობლებში ამჩნევდნენ ყველაფერ იმას, რასაც საკუთარ მაგალითზე ვერა და ვერ ხედავდნენ.

უზოგადესად შეიძლება ითქვას, რომ ამას კოლექტიურ სიგიჟემდე მივყავართ, სულიერ-მშვიინვიერ ეპიდემიამდე, რომელმაც შეიძლება რევოლუცია, ომი, ანდა რაღაც ამდაგვარი გამოიწვიოს, თუკი მოზრდილ სოციალურ ჯგუფებში იჩინა თავი კოლექტიური არაცნობიერის ვითარებამ. ასეთი მოძრაობები წუთში მოედება მთელ ქვეყანას, თითქმის მოძალადეობრივად გადამდებია ისინი, - კოლექტიური არაცნობიერი თუ გააქტიურდა, კაცი საკუთარ თავს აღარ ეკუთვნის. ის არა მარტო მონაწილეობს ამ მოძრაობაში, არამედ თავად არის ეს მოძრაობა. გერმანიაში რომ იცხოვროთ ანდა თუნდაც მცირე ხანი რომ დაჰყოთ იქ, როგორც წესი, წინააღმდეგობის გაწევის მცდელობა ფუჭად ჩაგივლით, - ძვალსა და რბილში გაგიჯდებათ იქაური ამბები.

***,ის ხომ მდინარის გაღმა მხარეზე ცხოვრობს!” (ფრანგ.).**

****იგულისხმება პირველი მსოფლიო ომი (მთარგმ.).**

რაც არ უნდა იყოს, მაინც კაცი ხარ და, სადაც არ უნდა ცხოვრობდე, თვითდამკვიდრებას მხოლოდ ომით შეიძლება მიაღწიო, რომ ცნობიერება შეზღუდო და რაც შეიძლება გამოცარიელდე, მშვიდვიერად გამოიფიტო. მაგრამ ამ გზით სამშვიდველს დაკარგავ, - რაღა დარჩება შენგან: ცნობიერების პატარა მარცვალი, ცხოვრების ზღვარზე რომ ტივტივებს და მასში არავითარ მონაწილეობას არ იღებს. ხოლო თუ იმადვე გინდა დარჩე, რაც ხარ, მაშინ კოლექტიურ ატმოსფეროს ვერსად გაექცევი. შეუძლებელია აფრიკაში ან რომელიმე სხვა მსგავს მხარეში იცხოვრო და ეს მხარე ძვალსა და რბილში არ გაგიჯდეს. ყვითელკანიანებთან თუ ცხოვრობ, კანქვეშ გაყვითლდები, - ეს არ აგცდება, რადგანაც სადღაც მაინც შენც ისეთი ხარ, როგორც ზანგია თუ ჩინელი, ანდა ვინც უნდა იყოს, ვისთან ერთადაც ცხოვრობ; არაცნობიერის მიხედვით სხვა რასების წარმომადგენლებისაგან არ განსხვავდები; იგივე არქექტიპები გაქვს, რაც მათ, ისევე როგორც თვალები, გული, ღვიძლი და სხვ. გაქვს იგივენაირი. მერედა რა, რომ მათი კანი შავია. თუმცა, გარკვეული მნნიშვნელობა ამასაც აქვს - ერთი ისტორიული ფენა მათ ალბათ ჩვენზე უფრო ნაკლები ექნებათ. თუ ერები ერთმანეთისაგან სულიერი შრეებით განსხვავდებიან, ეს მათი განვითარების ისტორიას შეესატყვისება.

ვინც ჩემსავით შეისწავლის რასებსა და ხალხებს, ბევრს რასმე ძალზე საინტერესოს შეიძლება გადააწყდეს. მაგალითად, ჩრდილო ამერიკელებს თუ შევისწავლით, შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ ამერიკელი თავის თავში ინდიელს ატარებს, - ის ხომ დაპყრობილ მიწაზე ცხოვრობს. ინდიელი (მთელი თავისი დღე და მოსწრება ერთი მათგანისთვისაც რომ არ მოეკრას თვალი) და ზანგი (მიუხედავად იმისა, რომ მას დევნიან და ტრამვაი თეთრებისთვისაა განკუთვნილი) ამერიკელს სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი, და იგრძნობა, რომ ის ნაწილობრივ ფერადკანიან ნაციას განეკუთვნება.¹¹ ასეთი რაღაცეები სრულიად არაცნობიერად ხდება, და ამაზე ლაპარაკი მხოლოდ ძალზე თავისუფლად მოაზროვნე ადამიანებთან შეიძლება. ეს ისევე ძნელია, როგორც ის, გერმანელს ან ფრანგს რომ ესაუბრო იმაზე, თუ რატომ ექიშპებიან ასე ერთმანეთს.

¹¹ C.G.JUNG, Zivilisation im Übergang (თხზ. ტ. 10).

ამ ცოტა ხნის წინ პარიზში შესანიშნავი საღამო გავატარე. ძალზე განათლებულ ხალხთან ვიყავი მიწვეული; საამოდ ვბაასობდით. მათ მკითხეს ჩემი აზრი ეროვნულ განსხვავებათა შესახებ. ერთი კი ვიფიქრე, ამის ახსნა-მეთქი, და ასე მივუგე: რაც თქვენში დიდად ფასობს, ესაა **la claret latine, la claret de l' esprit latin,*** და ეს იმიტომ, რომ თქვენი აზროვნება არასრულფასოვანია; ლათინური ქვეყნის მოაზროვნე გერმანელთან შედარებით მოიკოჭლებს-მეთქი. მათ ყური ცქვიტეს, მე კი განვაგრძე: „სამაგიეროდ, თქვენს გრძნობას ბადალი არ მოეპოვება, ის აბსოლუტურად დიფერენცირებულია“. ეგ როგორ, მკითხეს. მივუგე: „წადით რომელიმე კაფეში ან კაბარეში, ან სადმე, სადაც შანსონიებს და სკეტჩებს დგამენ, და პირდაპირ სასწაულის მომსწრე გახდებით. ჯერ აუარებელ გროტესკულ და ცინიკურ რაღაცეებს ნახავთ და გაიგონებთ, რასაც მერე უაღრესად რაღაც სენტიმენტალური მოჰყვება, - დედა ბავშვს კარგავს, სიყვარული უბედურად მთავრდება, რაღაც საოცრად პატრიოტული იჩენს საიდანდაც თავს და... ხალხი ტირის. თქვენ შაქრისა და მარილის შეზავება გიყვართ. გერმანელს კი შეუძლია მთელი საღამო მარტო შაქარზე გაძლოს. ფრანგს შიგ ცოტაოდენი მარილიც უნდა, რომ ერიოს. ვინმეს რომ ეცნობათ, ხომ ეუბნებით: „**Enchante de faire votre connaissance**“.** სულაც არა ხართ **enchante de faire sa connaissance;***** გუნებაში ფიქრობთ: „ემშაკსაც წაუღიხარ!“ მაგრამ ეს შეუსაბამობა არც თქვენ გაწუხებთ დიდად და არც იმას, ვისაც ეცნობით; მაგრამ გერმანელს ნურასოდეს ეტყვიტ, **Enchante de faire votre connaissance**-ო, თორემ ის მართლა დაგიჯერებთ. გერმანელი წყვილ წვივსაკრავს რომ მოგყიდით, მარტო იმას კი არ ელის, რომ ფასს გადაუხდით, - რაც ბუნებრივი იქნებოდა, - არამედ მოელის რომ თქვენ იგი ამისათვის გეყვარებით.

გერმანელები იმით შეიძლება დავახასიათოთ, რომ მათი გრძნობითი ფუნქცია არასრულფასოვანია, ე.ი. არადიფერენცირებულია. მაგრამ ეს რომ გერმანელს უთხრათ, ეწყინება. მეც მეწყინებოდა. მისთვის სანუკვარია ის, რასაც თვითონ საამო ფამილიარობას ეძახის: ბოლით გავსებული ოთახი, სადაც ყველას ყველა, - ამ სიამოვნების ჩაშხამება როგორ იქნება! აბსოლუტური ერთმნიშვნელოვნება უნდა იყოს გამეფებული, არსებობდეს ერთი, მიღებული ტონი და არავითარი სხვა. ეს გახლავთ **la claret germanique du senriment,****** და ის არასრულფასოვანია.

*ლათინური სიმარტივე, ლათინური გონის სიმარტივე (ფრანგ.).

**„ადფრთოვანებული ვარ თქვენი გაცნობით“ (ფრანგ.).

***ადფრთოვანებული მისი გაცნობით (ფრანგ.).

****გერმანელის გრძნობის სიმარტივე (ფრანგ.).

თავის მხრივ, ფრანგი სასტიკად გაგინაწყენდებათ, რამე პარადოქსული რომ აკადროთ, - მისთვის ხომ ის გაუგებარი იქნება. ერთ ინგლისელ ფილოსოფოსს უთქვამს, ადმატებული გონი* არასოდეს არის სავსებით დაწმენდილი. ეს მართალია, და დახვეწილი გრძნობაც, ასევე, მთლად მარტივი არასოდესაა. გრძნობას მართლა მხოლოდ მაშინ ვატანთ გემოს, როცა იგი ცოტა საჭოჭმანოცაა, ხოლო აზრი, რომელიც ერთ ფარულ წინააღმდეგობასაც არ შეიცავს, დამარწმუნებელი არ არის.

ამიერიდან ჩვენი ძირითადი თემა შემდეგი საკითხი იქნება: როგორ შეგვიძლია მივუდგეთ ადამიანის ბნელით მოცულ მხარეს? როგორც უკვე ვახსენე ადრე, ამისათვის სამგვარი ანალიზური მეთოდი არსებობს: ასოციაციას ექსპერიმენტი, სიზმრის ანალიზი და აქტიური წარმოსახვა. ჯერ მინდა მცირეოდენი რამ ასოციაციის ექსპერიმენტის¹² შესახებ მოგითხროთ. მრავალ თქვენგანს ეს იქნებ მოძველებულადაც ეჩვენოს, მაგრამ რამდენადაც ასოციაციის ექსპერიმენტი ჯერაც ტარდება, ვალდებული ვარ განვიხილო. ჩემდათავად მე მას პაციენტებთან აღარ ვიყენებ, სამაგიეროდ, კრიმინალურ შემთხვევებში - კი.

ექსპერიმენტისათვის საჭიროა (მე იმას ვიმეორებ, რქაც თქვენც მშვენივრად მოგეხსენებათ) სია, შემდგარი, დავუშვათ, ასი სიტყვისაგან. ცდის პირს ეუბნებიან, რაც შეიძლება სწრაფად თქვას პირველივე სიტყვა, რომელიც თავში მოუვა, როგორც კი სიტყვა-გამლიზიანებელს გაიგონებს და გაიგებს. როდესაც დავრწმუნდებით, რომ ცდის პირმა ზუსტად გაიგო, რაც მოეთხოვება, შეგვიძლია საქმეს შევუდგეთ. რეაქციის დრო წამმზომით აღირიცხება. ასი სიტყვა რომ ჩათავდება, შემდეგი ნაბიჯის ჯერი დგება: სიტყვა-გამლიზიანებელს ვიმეორებთ და ცდის პირმა თავისი ადრინდელი პასუხები უნდა გაიმეოროს. ზოგჯერ მეხსიერება დალატობს, და განმეორება მტკიცე არ არის ანდა მცდარია. ასეთი შეცდომები მნიშვნელოვანია.

ეს ექსპერიმენტი თავდაპირველად სულ სხვა მიზნებისთვის იქნა დანერგილი; მისი საშუალებით იდეათა ასოციაციები უნდა შეესწავლათ. რა თქმა უნდა, ეს წმინდა წყლის უტოპია იყო. ამგვარი პრიმიტიული საშუალებები ასეთი რამის საკვლევად რას გამოდგება. სამაგიეროდ, სხვა რამის შესწავლაში შეგვიძლია გამოვიყენოთ, და თანაც სწორედ მაშინ, როცა ექსპერიმენტი „გვიმტყუნებს“, ე.ი. როდესაც ცდის პირები შეცდომებს უშვებენ.

***Der Geist - ამ შემთხვევაში - გონი (მთარგმ.).**

12 შდრ. C.G.JUNG, Experimentelle Untersuchungen (თხზ. ტ. II).

ასე, მაგალითად, მიაწვდი სულ უბრალო სიტყვას, რომელზედაც ბავშვსაც არ გაუჭირდებოდა პასუხის გაცემა, მაღალინტელექტუალური პიროვნება კი ვერ პასუხობს. რატომ?- ეს სიტყვა შეეხო იმას, რასაც მე კომპლექსს ვუწოდებ, - ფსიქიკური შინაარსების გროვას, რომლებიც უჩვეულო, უფრო, ალბათ, მტანჯველი გრძნობითი ღირებულებითაა დატვირთული, რაღაც ისეთით, რაც ნორმალურ პირობებში თვალს მოფარებულია. თითქოს პიროვნების¹³ სქელი ფენა საარტილერიო ყუმბარამ ბნელ შრემდე შეანგრიაო, ისე მოხვდება გულზე, ვისაც ვთქვათ, ფულის კომპლექსი აქვს, სიტყვები: „ყიდვა“, „გადახდა“, ან „ფული“. რეაქციები აქ დარღვეული იქნება.

ასეთი დარღვევების თორმეტი თუ მეტი სახე არსებობს, და ზოგიერთ მათგანს გაგაცნობთ, რათ მათი პრაქტიკული მნიშვნელობის შესახებ წარმოდგენა შეგექმნათ. ჯერ ერთი, რეაქციის დროს გაზრდას აქვს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა. იმის დასადგენად, თუ რომელ სიტყვა-გამღიზიანებლებზე იყო რეაქციის დრო მეტისმეტად დიდი, თითოეული ცდის პირის რეაქციის საშუალო დროს ანგარიშობენ. სხვა დამახასიათებელი დარღვევებია: ერთზე მეტ სიტყვიანი რეაქციები (მიუხედავად ინსტრუქციისა); შეცდომები პასუხების განმეორებისას; რეაქციები შეცვლილი სახის გამომეტყველებით, სიცილით, სხეულის მოძრაობით, ხელ-ფეხის ქნევით, ხველებით, ენის დაბმით და სხვა ამდაგვარით; არადამაკმაყოფილებელი რეაქციები, როგორცაა: „კი“ ან „არა“; რეაქციები, რომლებიც სიტყვა-გამღიზიანებლის ჭეშმარიტ აზრს გვერდს უვლიან; ერთი და იმავე პასუხის განმეორებითი ხმარება; ისეთი არაფერია, მაგრამ

ჩვენში შეიძლება დიდი უსიამოვნებაც მოჰყვეს; შეცდომა გამეორებისას - როცა მეხსიერება დალატობს; არავითარი რეაქცია.

ყველა ეს რეაქცია უნებლიეა. თუ ვინმე დათანხმდა ცდის პირის მოვალეობათა შესრულებაზე, მთლიანად ექსპერიმენტატორის ხელში აღმოჩნდება, და თუ არ დათანხმდა - მაინც იგივეა, რადგან ცხადია, რატომაა, რომ თვალში არ მოსდის ეს ექსპერიმენტი. დამნაშავეს შეუზღია ექსპერიმენტის ჩატარებაზე უარი განაცხადოს, მაგრამ მისთვისვე უარესია, - დღესავით ნათელი იქნება, რატომაც ჯიუტობს; დათანხმდება და - თვითონვე გაყოფს თავს ყულფში. ციურიხში მძიმე შემთხვევების დროს სასამართლო მიწევს ხოლმე; აი, მაშინ კი უკანასკნელი ხავსის როლში გამოვდივარ.

¹³ C.G.JUNG, Zwei Schriften uber Analytische Psychologie (თხზ. ტ. 7, 1964, პარაგ. 245 და შემდგ., 304 და შემდგ.).

ასოციაციის ექსპერიმენტის შედეგები მარტივ დიაგრამაზე შეიძლება წარმოვიდგინოთ (სურ. 5). სვეტების სიმაღლე ცდის პირის ეფექტურ რეაქციის გამოსახავს. წყვეტილი ჰორიზონტალი რეაქციის საშუალო დროის მაჩვენებელია. გაუფერადებელი სვეტები ის რეაქციებია, რომლებიც დარღვევის ნიშნებს არ ამჟღავნებენ; გამუქებული სვეტები დარღვეულ რეაქციებს აღნიშნავენ. მაგ., მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 რეაქციებზე დარღვევათა მთელ სერიას ვაწყდებით: მე-7 სიტყვა-გამღიზიანებელი კრიტიკული იყო, და ცდის პირს არც კი შეუმჩნევია, ისე გადიდა შემდგომი სამი რეაქციის დრო, რადგანაც აქ ადგილი ჰქონდა სიტყვა-გამღიზიანებელზე მოცემული რეაქციის პერსპექტივას. ცდის პირს საერთოდ არ გაუცნობიერებია, რომ აქ ემოცია ჰქონდა.

სურ. 5: ასოციაციის ექსპერიმენტი

მე-13 რეაქცია იზოლირებული დარღვევაა, მე-16 – 20-ზე კი კვლავ დარღვევათა მთელი სერია აღმოცენდა. უძლიერესი დარღვევები მე-18-სა და მე-19-ზეა. ამ განსაკუთრებულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ე.წ. სენსიბილობის (მგრძნობიარობის) გაძლიერებასთან, ე.ი. არაცნობიერი ემოციის

მასენსიბირებელი გავლენის შედეგთან: თუ კრიტიკულმა სიტყვა-გამღიზიანებელმა პერსევერირებადი ემოციური რეაქცია გამოიწვია და შემდეგი კრიტიკული სიტყვა-გამღიზიანებელი შემთხვევით ამ პერსევერაციის სფეროში მოხვდა, სავარაუდოა, რომ ის უფრო ძლიერად იმოქმედებს, ვიდრე მაშინ, ინდიფერენტულ ასოციაციათა სერიაში რომ გამორეულიყო. ამას პერსევერირებადი ემოციის მასენსიბილიზებელ გავლენას უწოდებენ.

კრიმინალური შემთხვევების დროს მასენსიბილიზებელი მოქმედება შეიძლება შეგნებულად გამოვიყენოთ: კრიტიკული სიტყვა-გამღიზიანებლები ისე უნდა ჩავურთოთ ხოლმე, რომ როგორმე პერსევერაციის სავარაუდო სფეროში მოხვდნენ, რათა კრიტიკულ სიტყვა-გამღიზიანებელთა მოქმედება გაძლიერდეს. სასამართლო საქმის გარჩევისას ისეთი კრიტიკული სიტყვა-გამღიზიანებლები უნდა შევარჩიოთ, რომლებიც პირდაპირ კავშირში იქნებიან მოცემულ დანაშაულთან.

სურ. 5-ზე: ცდის პირი ასე, 35 წლისა იქნებოდა, წესიერი კაცი, ერთ-ერთი ჩემი ნორმალური ცდის პირთაგანი. რასაკვირველია, მრავალ ნორმალურზე მომიხდა ექსპერიმენტის ჩატარება, სანამ პათოლოგიური მასალიდან დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა მომცემოდა. თუ გსურთ გაიგოთ, რა აწუხებდა ამ კაცს, ამისათვის საჭიროა წაიკითხოთ, რა სიტყვებმა გამოიწვიეს დარღვევები, დააკავშიროთ ეს სიტყვები, და მთელი ეს ისტორია თქვენს ხელთ იქნება. ახლავე მოგიყვებით:

თავდაპირველად სიტყვა **დანა** იყო, ოთხი დარღვეული რეაქცია რომ გამოიწვია. შემდეგ **ლახვარზე** იყო დარღვევა, **დარტყმაზე**, **წვეტიანზე**, და **ბოთლზე**. ყველა ისინი 50 სიტყვა-გამღიზიანებლისგან შემდგარ მოკლე სერიაში გამოვლინდა, რაც საკმარისი აღმოჩნდა ჩემთვის, ამ კაცისათვის მაშინვე მეთქვა, რაშიც იყო საქმე. და აი, ვეუბნები: „მართალი გითხრათ, არ ვიცოდი, თუ ასეთი უსიმოვნებას შეგემთხვათ“. ის მომაჩერდა და მომიგო, არ მესმის, რაზეა ლაპარაკიო. ნასვამი ყოფილხართ და ვიღაცისთვის სხეულში დანა გაგიყრიათ-მეთქი. საიდან იცითო, ერთი კი მკითხა და მერე მთელი ეს ამბავი აღიარა. კარგი ოჯახიშვილი გახლდათ - მისიანები უბრალო, მაგრამ რიგიანი ხალხი იყო. საზღვარგარეთ წასულა, ერთხელაც დამთვრალა და ჩხუბი მოსვლია, ჰოდა თურმე დანა იძრო და ვიღაცა დაჭრა, რისთვისაც ერთი წლით ციხეში ჩასვეს. ამას სასტიკ საიდუმლოდ ინახავდა, სიტყვასაც არავისთან დასცდენია, - ეს ხომ მის ცხოვრებას ჩრდილს მიაყენებდა. ქალაქში, ახლობელთა შორის არავისთვის არაფერი გაუმხელია და მე კი აი, ასე შემთხვევით გამოვჩხრიკე ეს ამბავი.

ჩემს სემინარზე ციურიხში ასოციაციის ექსპერიმენტსაც ვატარებ ხოლმე. ვისაც „აღსარების თქმა“ სურს, - რაღა თქმა უნდა, როგორ დავუშლი, მაგრამ სულ იმას ვითხოვ, ისეთი ხალხის მასალა მომიტანონ, რომელთაც ჩემი სტუდენტები იცნობენ, მე კი - არა, და ვუჩვენებ, თუ როგორაა შესაძლებელი ამა თუ იმ პირის წარსულის ამიკითხვა. ეს მართლაცდა საინტერესო სამუშაოა. ხანდახან ისეთი რამეები ირკვევა, თვალები შუბლზე აგივათ.

კიდევ რამდენიმე მაგალითს მოგიყვანთ. მრავალი წლის წინათ, როდესაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა ექიმი ვიყავი, კრიმინოლოგიის ერთმა მოხუცმა პროფესორმა ამ ექსპერიმენტის შესახებ გამომკითხა და განმიცხადა, მაგისი არაფერი მჯერაო. ასე მივმართე: „არა, ბატონო პროფესორო? იქნებ, ერთხელ მაინც გამოგეცადათ?“ შინ მიმიპატიჟა, და საქმეს შევუდექით. 10 სიტყვის მერე დაიღალა და მითხრა: „აბა, ამან რა უნდა მოგცეთ?! არაფერიც არ გამოდის!“ მე ვუთხარი, 10-12 სიტყვაში რას უნდა ელოდე, ასი რომ შესრულდება, მაშინ ვნახოთ-მეთქი. ამ ათი სიტყვით ვერას გააწყობთო? - მკითხა. მე მივუგე: „ფრიად მცირეს, მაგრამ შეწუხებული ყოფილხარ, რადგან ფული არ გყოფნით. შემდეგ... თურმე გეშინიათ, გულის ავადმყოფობით არ გარდაიცვალათ. თქვენ, ალბათ, საფრანგეთში სწავლობდით და იქ რაღაც სასიყვარულო თავგადასავალი გადაგხდენიათ, რომელიც ახლა ისევ გახსენდებათ, - სიკვდილზე ფიქრისას წიაღიდან ამოტივტივდება“. საიდან გაიგეთო, მკითხა. ამის მიხვედრას რა უნდოდა! იგი 72 წლისა გახლდათ და სიტყვა **გულზე** ასოციაცია **ტკივილი** ჰქონდა; აქედან - შიში, გულის შეტევით არ მომკვდარიყო. **სიკვდილზე** მისი ასოციაცია **გარდაცვალება** იყო - ბუნებრივი რეაქცია, ხოლო **ფულზე** კი - **ძალიან ცოტა**, - ძალზე უჩვეულო რეაქცია. შემდეგ კი საქმე უცნაურად წარიმართა. **გადახდაზე** რეაქციის დრო დიდი იყო; შემდეგ თქვა: **La Semeuse**, თუმცაღა ჩვენ გერმანულად ვსაუბრობდით. ეს ფრანგულ მონეტებზე გამოსახული ცნობილი ფიგურაა. ყველაფერი კარგი, მაგრამ ამ მოხუცს რაღა მაინცადამაინც **La Semeuse** მოაგონდა? სიტყვა **კოცნაზე** რეაქციის დრო დიდი ჰქონდა, შემდეგ კი თვალები გაუბრწყინდა და წარმოთქვა: „**ლამაზი**“. მაშინ კი ყველაფერი ნათელი გახდა. ფრანგულად ლაპარაკს არასდიდებით არ დაიწყებდა, ეს ენა რომ მისთვის რაღაც განსაკუთრებულ გრძნობასთან არ ყოფილიყო დაკავშირებული, მაგრამ რასთან - ეს გამოცანას წარმოადგენდა. იქნებ ზარალი ნახა ფრანგულ ფრანკთან დაკავშირებით? მაგრამ იმ დროს ინფლაციისა და დეფლაციის შესახებ არავინ ლაპარაკობდა. ასე რომ, ეს არაფერ შუაში იქნებოდა. მე ვყოყმანობდი, ვეღარ გამეგო, ფულში იყო საქმე თუ სიყვარულში, მაგრამ კოცნაზე რომ ლამაზი თქვა, მივხვდი, რომ სიყვარული იქნებოდა. ის იმის კაცი არ იყო, ამ სიბერეში რომ პარიზს წასულიყო, მაგრამ ადრე

იურისპრუდენციას შეისწავლიდა პარიზში, მგონი, სორბონაში. მთელი ამ ამბის შეკავშირება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

ხანდახან ნამდვილ ტრაგედიებს ვაწყდებით. სურ. 6-ზე ასე, ოცდაათიოდე წლის ქალის შემთხვევაა წარმოდგენილი. ის კლინიკაში იმყოფებოდა, და დიაგნოზად დასმული ჰქონდა დეპრესიული შიზოფრენია. პროგნოზი, შესაბამისად, ცუდი იყო. ავადმყოფი ჩემს განყოფილებაში იწვა, და იცით, საოცარი გრძნობა გამიჩნდა. ავისმომასწავებელ პროგნოზს ასე უბრალოდ ვერ შევურიგდებოდი, რადგან უკვე თავად შიზოფრენია ჩემთვის ფარდობითი რამაა; ჩემს თავს ვეუბნებოდი, მეტ-ნაკლებად ვინ არ ურევს-მეთქი; მაგრამ ეს ქალი რაღაც სხვანაირად ურევდა, და ამიტომ დიაგნოზს წავუყრუე. იმ დროისათვის ჯერ კიდევ ფრიად მცირე რამ იყო ცნობილი. რაღა თქმა უნდა, ანამნეზი შევკრიბე, მაგრამ ისეთი ვერაფერი ვნახე, რაც მის ავად გახდომას ახსნიდა. ამიტომ ასოციაციის ექსპერიმენტი ჩავუტარე და უცნაური რამ გამოვლინდა. პირველი დარღვევა სიტყვა **ანგელოზზე** აღმოცენდა, სიტყვაზე **თავნება** კი რეაქცია საერთოდ არ მოუცია. ამას მოჰყვა დარღვევები შემდეგ სიტყვებზე: **ბოროტი, მდიდარი, ფული, სულელი, სიყვარული და ქორწინება**. ეს ქალი კარგი თანამდებობის მქონე, შეძლებული კაცის მეუღლე გახლდათ, აშკარად რომ კმაყოფილი იყო თავისი ცხოვრებით. დავკითხე, მაგრამ მანაც, ისევე, როგორც ცოლმა, მხოლოდ იმის თქმა შეძლო, რომ დეპრესიამ მათი უფროსი შვილის, ოთხი წლის გოგონას გარდაცვალებიდან დაახლოებით ორი თვის შემდეგ იჩინა თავი. ავადმყოფობის მიზეზის შესახებ სხვა ვერაფერი გაირკვა. ასოციაციის ექსპერიმენტმა უაღრესად თავგზაამბნევი სერია გამოავლინა რეაქციებისა, რომელთაც ვერ ვაკავშირებდი. ასეთი ვითარება ხშირია, მეტადრე, თუ ჯერ არ ხარ გაწაფული. ასეთ შემთხვევებში უმჯობესია ცდის პირს ჯერ იმ რეაქციების შესახებ შევეკითხოთ, რომლებიც პირდაპირ მთავარს არ უმიზნებენ. თავიდანვე უპლიერეს დარღვევებზე თუ ვკითხეთ, ყალბ პასუხებს მივიღებთ. ამიტომ შედარებით უწყინარი სიტყვებით უნდა დავიწყოთ ხოლმე და მაშინ უფრო გულწრფელ პასუხებს მივიღებთ. ასე რომ, შევეკითხე: „რას იტყვით **ანგელოზის** შესახებ? თქვენთვის ეს სიტყვა რამეს ნიშნავს?“ მან მიპასუხა: „რაღა თქმა უნდა, - ეს ჩემი შვილია, რომელიც დაგვარგე“, და ცრემლთა ნიაღვარი წასკდა. როდესაც ქარიშხალი ჩაწყნარდა, ვკითხე: „რას ნიშნავს თქვენთვის **თავნება**?“ მან მომიგო, ეს სიტყვა არაფერს მეუბნებაო. მე ჩემი არ დავიშაღე, - ამ სიტყვაზე ძლიერი დარღვევა აღმოცენდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მასთან რაღაც არის დაკავშირებული-მეთქი, მაგრამ ძალა აღარ დავატანე. შემდეგ სიტყვა **ბოროტის** რიგი დადგა, - რაც იმაზე მეტყველებდა, რომ პასუხის გაცემა არ სურდა. ჯერი **ლურჯზე** რომ მიდგა,

განმიცხადა, ეს ჩემი გარდაცვლილი ბავშვის თვალებიაო: „რა თქმა უნდა. ეს ლაჟვარდისფერი თვალები, ბავშვი რომ დაიბადა...“ შევნიშნე, რომ სახის გამომეტყველება შეეცვალა და რატომ აღელდით-მეთქი, ვკითხე. მან მომაგება: „იცით, მას ჩემი ქმრის თვალები არ ჰქონდა“. ბოლოს და ბოლოს გამოირკვა, რომ ბავშვს მისი ადრინდელი სატრფოს თვალები გამოჰყოლოდა. ვკითხე, იმ კაცთან დაკავშირებით რა გაწუხებთ-მეთქი და, როგორც იქნა, ჩემი გავიტანე და ეს ისტორია ამოვქაჩე:

პარატა ქალაქში, სადაც ის იზრდებოდა, ერთი მდიდარი ახალგაზრდა ცხოვრობდა თურმე. თვითონ ეს გოგონა შეძლებული, მაგრამ დიდად არაფრით გამორჩეული ოჯახიდან იყო. ყმაწვილი კაცი კი მდიდარ ზედაფენას განეკუთვნებოდა, პატარა ქალაქის გმირი გახლდათ და ყველა ქალიშვილი მასზე ოცნებობდა. ეს გოგონა ლამაზი იყო და ეგონა, რაღაც შანსი მაქვსო. შემდეგ დარწმუნდა, რომ სულ ტყუილად იმედოვნებდა, და ოჯახში ურჩიეს: „რას გადაყევი მაგაზე ფიქრს?! ეგ მდიდარია და შენ რაში ენაღვლები! აგერ, ესა და ეს კაცი რა სიმპათიურია! ვითომ რა გიშლის, მაგას რომ მისთხოვდე?“ ამ კაცს გაჰყვა კიდევაც ცოლად და თავს სავსებით ბედნიერად გრძნობდა ქორწინების მეხუთ წლამდე, როდესაც მშობლიური ქალაქიდან ძველმა მეგობარმა მოინახულა. ქმარი ოთახიდან რომ გავიდა, სტუმარმა უთხრა, ერთ ვინმეს (იგი იმ „გმირს“ გულისხმობდა) გული დიდად დაუმძიმეო. „რაო? მე დავუმძიმე?“ - შეიცხადა ქალმა. მეგობარმა კი განაგრძო: „განა არ იცოდი, რომ შენ უყვარდი?! კინალამ გაგიჟდა, შენ რომ ვიღაც სხვას გაჰყევი!“ ახლა კი იფეთქა მის გულში გამძვინვარებულმა ცეცხლის ალმა, მაგრამ როგორღაც ჩაახშო. ამის მერე, თოთხმეტი დღის შემდეგ ის თავის ორი წლის ბიჭს და ოთხი წლის გოგონას აბანავებდა. წყალი ქალაქში (ეს ამბავი შვეიცარიაში არ ხდებოდა) მთლად სანდო არ იყო, სახელდობრ, ტიფის ბაცილებით იყო ინფიცირებული. დედამ შეამცნია, რომ გოგონა საბანაო ღრუბელს წოვდა, მაგრამ არ დაუშლია, და როდესაც ბიჭუნამაც თქვა, წყალი მინდო, მასაც ეს საეჭვო წყალი მიაწოდა. გოგონას ტიფი დაემართა და დაიღუპა, ბიჭი კი გადარჩა. ასე რომ, ქალმა მიაღწია იმას, რაც სურდა (თუ რაც მასში მყოფ ეშმაკს სურდა) - ქორწინების გაუქმებას, რათა სხვაზე გათხოვების უფლება ჰქონოდა. ამ მიზნით მან მკვლელობა ჩაიდინა. თვითონ არაფერი იცოდა ამის შესახებ, - მხოლოდ და მხოლოდ ფაქტებს მიყვებოდა; ის დასკვნა არ გამოუტანია, რომ თავად ეკისრებოდა საკუთარი ბავშვის სიკდილზე პასუხისმგებლობა: მან ხომ იცოდა, რომ წყალი ინფიცირებული იყო და სიფრთხილე მართებდა. ჩემს წინაშე ასეთი საკითხი დადგა: მეთქვა, რომ მკვლელი იყო თუ ენაზე კბილი დამეჭირა (საქმე მხოლოდ მისთვის თქმას ეხებოდა, ეს ხომ სასამართლო პროცესი არ ყოფილა). ბუნებრივია,

მოსალოდნელი იყო, რომ მისი მდგომარეობა ძლიერ გაუარესდებოდა, თუკი ვეტყვოდი. მაგრამ პროგნოზი მაინც, ისედაც კარგს არაფერს უქადდა, და მეორე მხრივ, პრინციპში, ვითარების დანახვა საქმეში გაარკვევდა, შეიმღებოდა კიდევ გამოჯანმრთელებულიყო. ამრიგად, გადაწყვეტიტე პირში მეთქვა: „თქვენ მოკალით თქვენი შვილი“. თავიდან სასტიკად აღელდა, მაგრამ მერე ფაქტებს მიუბრუნდა. სამი კვირის შემდეგ გავწერეთ, და მას მერე აღარ დაბრუნებულა. მის მდგომარეობას კიდევ 15 წლის განმავლობაში ვადევნებდი თვალყურს, - მდგომარეობა აღარ გამეორებულა. ის დეპრესია ფსიქოლოგიურად შეესატყვისებოდა მის სიტუაციას: იგი იმსახურებდა; კატორღის ნაცვლად კი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვდა. სულიერი ავადმყოფობის სასჯელისგან მე იმით ვიხსენი, რომ მის სინდისს აუტანელი სიმძიმე ავკიდე: როდესაც შენს ცოდვებს საკუთარ კისერზე იღებ, მათთან ერთად ცხოვრება კიდევ ასატანია, - გაიძლება. მაგრამ თუკი თვალს ვერ უსწორებ, მაშინ გარდუვალ შედეგებს ვერსად გაექცევი.

კამათი

კითხვა:

იცი, მინდა გუშინდელ საღმოს მივუბრუნდე. ლექციის დასასრულისათვის თქვენ უმაღლესი და უდაბლესი ფუნქციების შესახებ საუბრობდით და ბრძანეთ, აზროვნებითი ტიპი თავის გრძნობით ფუნქციას არქაულ ყაიდაზე ხმარობსო. მინდოდა მეკითხა: შებრუნებითაც სწორი გამოვა? როდესაც გრძნობითი ტიპი აზროვნებას ცდილობს, ისიც არქაულად აზროვნებს? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აზროვნება და ინტუიცია პრინციპულად უფრო მაღალ ფუნქციებად უნდა ჩავთვალოთ, ვიდრე გრძნობა და შეგრძნება? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ... სხვა ლექციებიდან ასე გავიგე, რომ შეგრძნება უდაბლესი ცნობიერი ფუნქციაა და აზროვნება - უფრო მაღალი. მართლაც, ყოველდღიურ ცხოვრებაში აზროვნება **non plus ultra**-დ* გვევლინება. პროფესორი (ამ პროფესორს როდი ვგულისხმობ), რომელიც თავის სამუშაო ოთახში ზის და აზროვნებს, თავის უაღრესად მაღლგანვითარებულ ტიპად თვლის და სხვებიც ასევე ფიქრობენ, ე.ი. მას უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე, ვთვათ, გლეხს, რომელიც ამბობს: „ზოგჯერ ვზივარ და ვფიქრობ, ზოგჯერ კი უბრალოდ ვზივარ“.

კ.გ. იუნგი:

იმედია, ისეთი შთბეჭდილება არ შეგიქმენით, თითქოს როელიმე ფუნქციას უპირატესობას ვანიჭებდე. ძირითადი ფუნქცია თითოეულთან ყველაზე უფრო დიფერენცირებული და ასევე კი ნებისმიერი ფუნქცია შეიძლება იყოს. არავითარი კრიტერიუმი არ არსებობს, რომლის საფუძველზეც შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ესა თუ ის ფუნქცია, თავისთავად აღებული, ყველაზე უკეთესია. მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ამა თუ იმ ადამიანის შეგუების თვალსაზრისით საუკეთესო ფუნქცია ისაა, რომელიც მასთან ყველაზე მეტადაა დიფერენცირებული, და რომ ის ფუნქცია, რომელსაც ძირითადი ფუნქცია ყველაზე უფრო გამორიცხავს, არასრულფასოვანია, - მისი განვითარებისათვის ხომ თავის დროზე არავის უზრუნია.

***უმაღლესი რამ (ლათ.).**

დღეს რატომღაც ინტუიციას უმაღლეს ფუნქციად მიიჩნევენ. მოსაწყენ ხალხს უყვარს ინტუიცია, - კეთილშობილი ინტუიცია! შეგრძნებითი ტიპი კი სულ იმას ფიქრობს, რომ სხვები არასრულფასოვან ადამიანებს წარმოადგენენ, რაკი მასავით რეალისტები არ არიან; ერთი თვითონაა მართალი კაცი, ყველა დანარჩენი კი ფანტაზიორია, არარეალისტი. ყველა თავის ძირითად ფუნქციას აყენებს ამქვეყნად ყველაფერზე მაღლა. ამ მხრივ საფრთხე გვემუქრება, მწარედ არ შევცდეთ. ჩვენს ცნობიერებაში ფუნქციათა ჭეშმარიტი განლაგება რომ შევიცნოთ, მახვილი ფსიქოლოგიური თვალთა საჭირო. არსებობს ხალხი, რომელსაც სწამს, რომ მსოფლიო პრობლემები აზროვნების გზით გადაიჭრება. მაგრამ ოთხივე ფუნქციის მოშველიების გარეშე ჭეშმარიტება არ მოიპოვება. კაცმა სამყარო თუ გაიაზრა, ამით საქმის მხოლოდ და მხოლოდ მეოთხედ ექნება მოგვარებული; დანარჩენი სამი მეოთხედი, იქნებ, იმ ერთის საწინააღმდეგოდ მეტყველებს.

დოქტ. ერიკ ბ. შტრაუსი:

თქვენ ბრძანეთ, რომ ასოციაციის ექსპერიმენტით პიროვნული არაცნობიერის შინაარსთა კვლევა შეგვიძლია. მაგრამ თქვენს მიერ მოყვანილ მაგალითებში გამომზეურებული ამბები ხომ

პაციენტთა ცნობიერი მასალის გამოძებნა თუ გვინდოდა, შემდგომი ნაბიჯი უნდა გადაგვედგა და პაციენტისთვის დარღვეულ რეაქციებზე თავისუფალი ასოციაციების საშუალება მიგვეცა. მე ვგულისხმობ ასოციაციას სიტყვა „დანა“-ზე, რომელსაც პროფესორმა იუნგმა ასე საუცხოოდ ჩასჭიდა ხელი და უბედური შემთხვევის ამბავი გამოავლინა. მაგრამ ეს ამბავი ხომ პაციენტის ცნობიერებაში იყო, მაშინ როცა, თუკი სიტყვა „დანა“-ს ნამდვილად ახლდა არაცნობიერი ასოციაციები და თუკი ფროიდის აზრს ვიზიარებთ, შეგვეძლო გვევარაუდა, რომ ის კასტრაციის არაცნობიერ კომპლექსთან ან რაიმე ამგვართან იქნებოდა ასოცირებული. იმას კი არ ვამბობ, ასეა-მეთქი, მაგრამ, უბრალოდ, ვერ გამიგია, რას გულისხმობს პროფესორი იუნგი, როდესაც ამბობს, ასოციაციის ექსპერიმენტი პაციენტის არაცნობიერს სწვდებაო. დღეს ჩვენს წინაშე მოყვანილ მაგალითში ნამდვილად ცნობიერებას ეხება საქმე. ანდა, ყოველ შემთხვევაში, იმას, რასაც ფროიდი წინარეცნობიერს უწოდებს.

კ.გ. იუნგი:

ძლიერ მოხარული ვიქნებოდი, ცოტა უფრო მეტი გულისხმიერებით თუ დამიგდებდით ყურს. მე აღვნიშნე, რომ არაცნობიერი მოვლენები ძალზე **ფარდობითი** რამაა. თუკი ჩემთვის რაიმე არაცნობიერია, ის მხოლოდ ფარდობითადაა არაცნობიერი, სხვა პირობებში კი შეიძლება ცნობიერიც იყოს. პიროვნული არაცნობიერის შინაარსები გარკვეული ასპექტით სავსებით ცნობიერია, მაგრამ **გარკვეულ გარემოებებში**, ანდა რაღაც **განსაზღვრული დროისათვის** შეილება არ იყოს ცნობიერი.

როგორ გავარკვიოთ, ცნობიერია თუ არაცნობიერი? - ვკითხვით ცდის პირებს. სხვა კრიტერიუმი ცნობიერობა-არაცნობიერობის დასადგენად არ არსებობს. შევეკითხებილ: „ხომ ვერ მეტყვით, აქა და აქ შეყოყმანდით თუ არა?“ გეტყვიან: „არა, სულაც არ შევფერხებულვარ. მე მგონი, რეაქციის დრო იგივე მქონდა“. „იცით თუ არა, რომ რაღაცამ აქ დაგაბრკოლათ?“ „არა“. „ხომ არ გახსოვთ, რა უპასუხეთ სიტყვა „დანა“-ზე? „სულ არ მახსოვს“. ფაქტების ასეთი შეუმჩნეველობა ძალზე გავრცელებული რამაა. ვინმე თუ მეკითხება, ამა და ამ კაცს იცნობ თუ არაო, შეიძლება ვუთხრა, არა-მეთქი, - ვერ ვიხსენებ და რა ვქნა; საიდან უნდა დავასკვნა, რომ ვიცნობ; მაგრამ მერე თუ მითხრეს, ამ ორი წლის წინათ შეგხვედრია, მავანი და მავანი კაცია, რომელსაც ესა თუ ის ჩაუდენიაო, ოჰ, როგორ არ ვიცნობ-მეთქი, მივუგებ. გამოდის, თან ვიცნობ და თან არა. პიროვნული არაცნობიერის ყველა შინაარსი **ფარდობითად** არაცნობიერია;

კასტრაციისა და ინცესტის კომპლექსებიც. გააჩნია გარემოებებს: ხან მშვენივრად იციან ხოლმე მათ თაობაზე, ხან კი ისინი სრულიად არაცნობიერია. რაიმეს ცნობიერობის ფარდობითობა ძალიან აშკარაა ისტერიის შემთხვევებში. აქ ხშირად შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ისეთი რაღაცეები, რაც თითქოსდა არაცნობიერი ჩანს, მხოლოდ ექიმის წინაშე ყოფილა ასეთი, მომვლელი ქალის ანდა ნათესავების წინაშე კი - არა.

ერთხელ ბერლინის ერთ კლინიკაში საინტერესო შემთხვევაზე დაკვირვების საშუალება მომეცა. ხერხემლის მრავლობითი სარკომააო, და ვინაიდან ექიმი, რომელმაც დიაგნოზი დასვა, განთქმული ნევროლოგი იყო, ცოტა არ იყოს, შევცბი კიდევ; მაგრამ მაინც მოვიკითხე ანამნეზი, და ძალიან კარგი ანამნეზი წარმომიდგინეს. როდესაც ვიკითხე, როდის იჩინა-მეთქი თავი სიმპტომებმა, აღმოჩნდა, რომ ეს იმდღევანდელ საღამოს მომხდარა, როცა პაციენტის ერთადერთი ვაჟიშვილი განცალკევდა და ცოლი შეერთო. პაციენტი ქვრივი ქალი იყო, აშკარად თავის ვაჟზე შეყვარებული, და მე განვაცხადე: ეს სარკომა კი არა, ჩვეულებრივი ისტერიაა, და ამას ახლავე დავაკონკრეტებთ-მეთქი. პროფესორს თავზარი დასცა ჩემი ინტელიგენტურობის, ტაქტის თუ რა ვიცი - რის ნაკლებობამ და, მოკლედ, იქიდან გამაძევა. მაგრამ ქუჩაში ვილაც სირბილით წამომეწია - მომვლელი ქალი აღმოჩნდა, - და მითხრა: „ბატონო ექიმო, როგორი მაღლიერი ვარ, რომ თქვით, ისტერიააო; მეც მაგას ვფიქრობდი“.

დოქტ. ერიკ გრემ ჰაუი:

შეიძლება დოქტ. შტრაუსის ნათქვამს მივუბრუნდე? მართალია, გუშინ საღამოს პროფესორმა იუნგმა მისაყვედურა, მარტო სიტყვები გაინტერესებსო, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ სიტყვათა მნიშვნელობის ნათელყოფა აუცილებელია. გიცდიათ თუ არა ოდესმე ასოციაციის ექსპერიმენტში სიტყვები „მისტიკური“ ან „მეოთხე განზომილება“ ჩაგერთოთ? ალბათ ასეთ გამოთქმათა ყოველ ხსენებაზე ძლიერ მეტყეობათა და გააფთრების კონცენტრირებულ რეაქციათა მთელ სერიას მივიღებდით. მე მინდა დავუბრუნდეთ საკითხს მეოთხე განზომილების შესახებ, ვინაიდან ის მე იმ შემაკავშირებელ რგოლად მესახება, რომელიც აუცილებლად გვჭირდება, რათა ერთმანეთს გავუგოთ. დოქტ. შტრაუსმა სიტყვა „არაცნობიერი“ იხმარა, მაგრამ ახლა პროფესორ იუნგისაგან გავიგე, რომ თურმე ასეთი რამ არ არსებულა. თურმე არსებობს მხოლოდ ფარდობითად არაცნობიერი, რომელიც ცნობიერობის ხარისხზეა დამოკიდებული. ფროიდის მიმდევართა შეხედულებით, არსებობს რაღაც ადგილი, ნივთი,

მთლიანობა, რომელსაც არაცნობიერს უწოდებენ. პროფესორ იუნგის მიხედვით კი, რამდენადაც გავიგე, მსგავსი არაფერია. მას მიმართებათა ცვალებად გარემოსთან აქვს საქმე, *ფროიდს* კი - დაუკავშირებელ ერთეულთა სტატიკურ გარემოსთან. უფრო ნათლად რომ ვთქვა, ფროიდი **სამგანზომილებიანია**, იუნგი კი მთელ თავის ფსიქოლოგიაში **ოთხგანზომილებიანია**. ამიტომ თავს უფლებას ვაძლევ გავაკრიტიკო იუნგის მთელი ეს დიაგრამული სისტემა, ვინაიდან ამით ის ოთხგანზომილებიან სისტემას სამ განზომილებაში წარმოგვიდგენს, სტატიკურად აღწერს ისეთ რამეს, რისი არსიც მხოლოდ დინამიკაში ვლინდება და რაც, თუ არ განვსაზღვრეთ, **ფროიდისეულ** ტერმინოლოგიაში აგვერევა და გაუგებარი იქნება. იძულებული ვარ დაჟინებით მოვითხოვო გამოთქმათა დაზუსტება.

კ.გ. იუნგი:

ვისურვებდი, დოქტ. გრემ ჰაუი პირდაპირი არ ყოფილიყო. მართალი ბრძანდებით, მაგრამ ასეთი რამეები კი არ უნდა თქვათ. როგორც მოგახსენეთ, მე ვცდილობდი რაც შეიძლება ფრთხილად „შემომეპარებინა“, თქვენ კი პირდაპირ თითს ადებთ ზედ და ოთხი განზომილებისა და სიტყვა „მისტიკურის“ შესახებ ლაპარაკობთ, და მეუბნებით, ასეთ სიტყვა-გამღიზიანებლებზე ყველა ჩვენგანის რეაქციის დიდი დრო ექნებოდაო. სავსებით მართალი ხართ, ყველას ელდა ეცემოდა, - ჩვენ ხომ მხოლოდ დამწყებნი ვართ ჩვენს სფეროში. სწორია, გეთანხმებით, რომ ძალიან ძნელია ფსიქოლოგიას სიცოცხლე შევუნარჩუნოთ და სტატიკურ ერთეულებზე არ დავიყვანოთ. რასაკვირველია, თუკი სამგანზომილებიან სისტემაში დროის ფაქტორის შეყვანა გვინდა, მეოთხე განზომილების ტერმინებით მოგვიწევს ლაპარაკი. დინამიზმებისა და პროცესების შესახებ თუ ვისაუბრებთ, დროის ფაქტორი შემოდის და აი, მაშინ კი მთელი ქვეყნიერების ვაი-ცოდნა ჩვენს წინააღმდეგ მობრუნდება, - როგორ თუ სიტყვა „ოთხგანზომილებიანი“ წამოგვცდა. ეს სიტყვა ტაბუს წარმოადგენს, და მას უნდა ვერიდოთ. მას თავისი ისტორია აქვს, და ამგვარი სიტყვების ხმარებისას განსაკუთრებული წინდახედულება გვმართებს. რაც უფრო შორს ვიჭრებით ფსიქიკის გაგებაში, მით უფრო მეტი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ ტერმინოლოგიის მხრივ, - ეს უკანასკნელი ხომ ისტორიაულადაა ჩამოყალიბებული და შეუმოწმებელი დებულებებით სავსეა. რაც უფრო ღრმად შევდივართ ფსიქოლოგიის ძირეულ პრობლემებში, მით უფრო ვუახლოვდებით წარმოდგენებს, რომლებიც ფილოსოფიური, რელიგიური და მორალური დოგმებითაა დამუხტული. ამიტომ ზოგ რამეს რაც შეიძლება ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ.

დოქტ. ჰაუი:

თქვენი მსმენელები ისურვენდნენ, უფრო გაბედულად გამოგეთქვათ აზრი. ახლა სრულიად დაუფიქრებლად ვლაპარაკობ. ჩვენ „მე“ სწორხაზობრივად როდი მიგვაჩნია. ჩვენ მზადა ვართ, ბირთვი, როგორც „თვითონ“-ის („Selbst“) ჭეშმარიტი ფორმა, ოთხ განზომილებაში განვიხილოთ, და მაშინ ერთ-ერთი ხედი სამგანზომილებიანი გამოსახულება იქნებოდა. თუ ეს ასეა, გთხოვთ ერთ კითხვაზე მიპასუხოთ: რა მოცულობისაა ეს ოთხგანზომილებიანი ბირთვი - „თვითონ“? პასუხს ასეთს მოველი: „თავად სამყაროსოდენა“ (რაც კოლექტიური არაცნობიერის შესახებ თქვენეულ წარმოდგენასაც მოიცავს).

კ.გ. იუნგი:

დიდად მადლობელი ვიქნებოდი, შეკითხვას თუ გამიმეორებდით.

დოქტ. ჰაუი:

რა სიდიდისაა ოთხგანზომილებიანი „თვითონ“-ის ბირთვი? ვეღარ მოვითმინე და მე თვითონ ვთქვი პასუხი, სამყაროსხელაა-მეთქი.

კ.გ. იუნგი:

ეს ფილოსოფიური საკითხია, და მასზე პასუხის გასაცემად ბევრი რამ შემეცნების თეორიიდან უნდა ვისესხოთ. სამყარო ჩვენს მიერაა შექმნილი. მხოლოდ ბავშვურად მიამიტურ ხალხს სჯერა, რომ სამყარო ისეთია, ჩვენ რომ გვგონია. სამყაროს ხატება სამყაროს პროექციაა „თვითონ“-ის გავლით, ისევე როგორც ეს უკანასკნელი სამყაროს გაშინაგანებაა (ინტროექცია). მხოლოდ ფილოსოფოსის განსაკუთრებული გონი* იჭრება სამყაროს ჩვეულებრივ ხატებას მიღმა, რომელშიც მხოლოდ სტატიკური და იზოლირებული ნივთებია. ჩვენ რომ მოვინდომოთ და ამ საზღვარს გავცდეთ, საშუალო დონის ადამიანის გონში მართლა მიწისძვრას გამოვიწვევდით, მთელი ძირი გამოეთხრებოდა, და ვერ გამიგია, რატომ უნდა ველტვოდეთ

ასეთ არეულ-დარეულობას, არც პაციენტისთვის რომ არაა სასურველი და არც ექიმისთვის; ფილოსოფოსთათვის - რა ვიცი, შესაძლოა, სასიკეთოა.

დოქტ. იან სუტიი:

მე მინდა დოქტ. *შტრაუსის* შეკითხვას მივუბრუნდე. ჩემთვის გასაგებია, მას რისი თქმაც უნდა, და ვგონებ, იმის გაგებაც ძალმიძს, რასაც პროფესორი იუნგი ბრძანებს. როგორც ვხედავ, პროფესორი იუნგი არც აპირებს მიმართვის დამყარებას თავის საკუთარსა და დოქტ. *შტრაუსის* მოსაზრებათ შორის.

***გონი - ამ შემთხვევაში Geist (სული).**

მას კი სურდა გაეგო, თუ როგორ აშუქებს ასოციაციის ექსპერიმენტი ფროიდისეულ არაცნობიერს - იმ მასალას, რომელიც მართლა განდევნილ იქნა ცნობიერებიდან. რამდენადაც პროფესორ იუნგს გავუგე, მას ისა აქვს მხედველობაში, რასაც *ფროიდი* „იგი“-ს („Es“) უწოდებდა. ვფიქრობ, საჭიროა ჩვენ-ჩვენი შეხედულებები და ცნებები ისე განვმარტოთ, რომ შედარების საშუალება გვქონდეს, თორემ თუ ავდექით და ყველამ საკუთარი სკოლის მიხედვით, უკომენტაროდ ვილაპარაკეთ, რა გამოვა.

კ.გ. იუნგი:

იძულებული ვარ გავიმეორო, რომ ჩემი მეთოდები **თეორიებს** კი არ აღმოაჩენენ, არამედ **ფაქტებს**, და რასაც გიყვებით, ფაქტებია, რომლებიც ამ მეთოდებით დავადგინე. მე ვერსად ვნახავ კასტრაციის კომპლექსს, განდევნილ ინცესტს ან რამე ამდაგვარს - მე მხოლოდ ფსიქოლოგიურ ფაქტებს მოვიპოვე და არა თეორიებს. იცით რა, თქვენ ფაქტებს მეტისმეტად ბევრ თეორიას ურთავთ და ალბათ, იმედი გაგიცრუვდათ, რაკი ექსპერიმენტები კასტრაციის კომპლექსს ან რაღაც ამგვარს არაფერს ავლენენ. მაგრამ კასტრაციის კომპლექსი **თეორიაა**; ასოციაციების მეთოდის საშუალებით ზუსტად აღწერილი ფაქტების მოპოვება ხდება, რომლებიც მანამდე უცნობი იყო და რომლებიც ამ კუთხით ცდის პირისთვისაც კი არ იყო

ცნობილი. არანაირი მხრივ არ იცოდაო ამის შესახებ, ვერ ვიტყვი. როდესაც სამსახურში ვართ, ზოგი ისეთი რამ ვიცით, რაც ოფიციალური თანამდებობის შესრულებისას არ გვიცნობიერდება. ერთგან ისეთი რამეები ვუწყობთ. ვიმეორებ, რომ შეუძლებელია არაცნობიერის ემპირიული გამოკვლევა და იქ, ვთქვათ, კასტრაციის კომპლექსის *ფროიდისეული თეორიის* აღმოჩენა. კასტრაციის კომპლექსი მითოლოგიური წარმოდგენა, მაგრამ მას, როგორც ასეთს, ხომ ვერსად გადავეყრებით. რაც მართლა დაიძებნება - ესაა გარკვეული ფაქტები, რომლებიც სპეციფიკურადაა აკინძული და რომელთაც ჩვენ მითოლოგიურ თუ ისტორიულ პარალელებზე დაყრდნობით სახელს ვარქმევთ. მითოლოგიურ მოტივს ვერ აღმოვაჩენთ, მხოლოდ პიროვნული მოტივის დადგენაა შესაძლებელი, და ის თეორიის სახით კი არ იჩენს თავს, არამედ როგორც ადამიანური ცხოვრების ცოცხალი მოცემულობა. მისგან გამომდინარე შეგვიძლია ავავოთ თეორია, ფროიდისეული იქნება ის, ადლერისეული თუ რომელიმე სხვა. რა გინდა და გულო - ყველაფერი შეგიძლიათ წარმოიდგინოთ. სამყაროს მოცემულობათა შესახებ, და ბოლოს და ბოლოს იმდენი თეორია იარსებებს, რამდენიც ამის შესახებ მოაზროვნე თავი იქნება.

დოქტ. სუტი:

პროტესტს ვაცხადებ! მე არც ამა თუ იმ თეორიით ვარ გატაცებული და არც იმას დაგიდევთ, რა ფაქტები დაიძებნება და რა - არა; მე დაინტერესებული ვარ გაგებინების საშუალებით, რომელიც უნარს გვანიჭებს ჩავწვდეთ იმას, რასაც სხვები გულისხმობენ, და ამიტომ მე იმ აზრისა ვარ, რომ ცნებები უნდა განვსაზღვროთ. უნდა ვიცოდეთ, ვინ რას გულისხმობს, მაგალითად, როდესაც ლაპარაკია *ფროიდისეულ არაცნობიერზე*. თუ რას ეხება სიტყვა „არაცნობიერი“, ეს, ბოლოს და ბოლოს, ასე თუ ისე ყველასათვის ცნობილია. ამიტომ მას გარკვეული სოციალური თუ თვალსაჩინოებრივი ღირებულება გააჩნია. მაგრამ იუნგი არ ცნობს სიტყვა „არაცნობიერის“ ფროიდისეულ გაგებას და ამ სიტყვას ისეთი აზრით ხმარობს, რომელიც, ვფიქრობთ, იმას ემთხვევა, *ფროიდი* რომ „იგი“-ს უწოდებს.

კ.გ. იუნგი:

სიტყვა „არაცნობიერი“ ფროიდს არ მოუგონია. ის გერმანულ ფილოსოფიაში დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი, - *კანტთან, ლაიბნიცთან* და სხვებთან, და ყოველი მათგანი რალაცნაირად განსაზღვრავდა მას. განა არ ვიცი, რომ არაცნობიერის მრავალი განსხვავებული გაგება არსებობს; რასაც მე ვცდილობდი, ეს იყო - მოკრძალებით გადმომეცა, თუ რა შინაარსს ვდებ მასში მე. გულშიც არ გამივლია *ლაიბნიცის, კანტის, ფონ ჰარტმანისა* თუ სხვა დიდ ადამიანთა დამსახურების დაკნინება, მათ შორის - არც *ფროიდის, ადლერის* და ა.შ. მე მხოლოდ ის განვმარტე, რასაც მე ვგულისხმობ არაცნობიერის ცნებაში, ხოლო ფროიდი რა შინაარსს დებს მასში, ვფიქრობ, ყველასათვის ცნობილია. არ მეგონა, ვალდებული თუ ვიყავი მაინცდამაინც ისე ამეხსნა, რომ კაცისთვის, რომელიც *ფროიდის* თეორიის სისწორეში დარწმუნებულია და მისი თვალსაზრისი საკუთარ თვალსაზრისად გაუხდია, რწმენა შემერყია. სულაც არ განმიზრახავს თქვენი შეხედულებებისა და თვალთახედვის დანერგვა. მე მხოლოდ და მხოლოდ ჩემს საკუთარ აზრს მოგახსენებთ, და თუკი ვინმეს ის ჭკუაში დაუჯდა - ამაზე მეტი რაღა უნდა ვინატრო. ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რას ფიქრობენ საერთოდ არაცნობიერის შესახებ, თორემ მაშინ იძულებული ვიქნებოდი ვრცელი ახსნა-განმარტებები დამეწყო, თუ რა აზრით ხმარობენ ამ ცნებას *ლაიბნიცი, კანტი და ჰარტმანი*.

დოქტ. სუტიი:

დოქტ. შტრაუსმა იკითხა, თუ რა მიმართებაა არაცნობიერის თქვენეულ და ფროიდისეულ გაგებათა შორის. შესაძლებელია თუ არა რამენაირად მათი ზუსტად განსაზღვრულ მიმართებაში მოყვანა?

კ.გ. იუნგი:

დოქტ. *გრეემ ჰაუიმ* უკვე გასცა ამაზე პასუხი. ფროიდი ფსიქიკურ პროცესს სტატიკურად იხილავს, მაშინ როცა მე დინამიკურ, მიმართების აღმნიშვნელ გამოთქმებს ვიყენებ. ჩემთვის ყველაფერი ფარდობითია. გადაჭრით არაცნობიერი ჩემთვის არაფერია ამქვეყნად; ცნობიერებაში რამე წარმოდგენილი თუ არაა - ეს მხოლოდ გარკვეული ასპექტით. შეგვიძლია ამაზე სპეკულაცია ვაწარმოოთ: რატომაა რაღაც ერთი ასპექტით ცნობიერი და მეორეთი - არაცნობიერი. ერთადერთი გამონაკლისი, რომელსაც ვუშვებ, ესაა ძირითადი მითოლოგიური

ნიმუშები, რომლებიც მთელი თავიანთი არსებით არაცნობიერია, რაც ფაქტებით შემოდის დავასაბუთო.

დოქტ. შტრაუსი:

ხომ უნდა იყოს განსხვავება, როდესაც თქვენს ასოციაციის ექსპერიმენტს დანაშაულის დეტექტორად იყენებთ, და როდესაც, ვთქვათ, დამნაშავეობის არაცნობიერ განცდათა აღმოსაჩენად გჭირდებათ. იმ დამნაშავემ ხომ იცის როგორც თავისი დანაშაულის, ასევე მისი გამოაშკარავების წინაშე თავისი შიშის ამბავი. იმ თქვენმა ნევროტულმა პაციენტმა კი არც თავისი დანაშაულის შესახებ იცოდა რამე და არც თავისი შიშის შესახებ ამ დანაშაულთან მიმართებაში. შეიძლება ასე ძლიერ განსხვავებული შემთხვევებისათვის ერთი და იგივე ტექნიკის გამოყენება?

თავმჯდომარე:

იმ ქალს თავისი დანაშაული ხომ გაცნობიერებული არ ჰქონდა, თუმცა ბავშვს ნება მისცა ღრუბელი ეწოვა.

კ.გ. იუნგი:

ამ განსხვავებას ექსპერიმენტში ახლავს გიჩვენებთ. სურ. მე-7-ზე სქემატურადაა ნაჩვენები სუნთქვა ასოციაციის ექსპერიმენტის მსვლელობისას. აქ წარმოდგენილია 7 ჩასუნთქვის ოთხი სერია, რომლებიც სიტყვა-გამლიზიანებელთა მიწოდების შემდეგ აღირიცხებოდა. დიაგრამაზე შეჯამებულია ჩასუნთქვათა შედეგები ცდის პირთა საკმაოდ დიდი რიცხვის მიხედვით ინდიფერენტული და კრიტიკული სიტყვა-გამლიზიანებლების მიწოდების შემდეგ.

„ა“-ზე გამოსახულია სუნთქვა ინდიფერენტული სიტყვა-გამლიზიანებლების შემდეგ. პირველი ჩასუნთქვები სიტყვა-გამლიზიანებელთა მიცემის შემდეგ შემოკლებულია, მაშინ როცა შემდგომნი ნორმალურ მოცულობას აჩვენებენ.

„ბ“-ზე, რომელიც კრიტიკულ სიტყვა-გამღიზიანებლებს ეხება, ჩასუნთქვის მოცულობა აშკარად შეზღუდულია, ზოგჯერ ნორმის ნახევრამდეც კია დასული. „გ“-ზე გამოსახულია სუნთქვის მიმდინარეობა ისეთი სიტყვა-გამღიზიანებლის შემდეგ, რომელიც ცდის პირისათვის ცნობიერ კომპლექსთანაა კავშირში. პირველი ჩასუნთქვა თითქმის ნორმალურია, და მხოლოდ მერე იჩენს თავს რაღაც შეზღუდულობა.

„დ“-ზე ნაჩვენებია სუნთქვა ისეთ სიტყვა-გამღიზიანებელთა შემდეგ, რომელნიც იმ კომპლექსს ეხებიან, ცდის პირისათვის რომ ცნობიერი არ იყო. ამ შემთხვევაში პირველი ჩასუნთქვა თვალშისაცემად ხანმოკლეა, და შემდგომნიც უფრო ნორმალურის ფარგლებს დაბლა დგანან.

ეს დიაგრამები ძალზე ცხადად აჩვენებენ ცნობიერ და არაცნობიერ კომპლექსებზე რეაქციათა შორის განსხვავებას. „გ“-ზე, მაგალითად, კომპლექსი ცნობიერია; სიტყვა-გამღიზიანებელი ისარივით ხვდება გულზე ცდის პირს, და ის ღრმად ჩაისუნთქავს, ხოლო თუ სიტყვა-გამღიზიანებელმა არაცნობიერ კომპლექსს გაჰკრა კბილი, ჩასუნთქვის მოცულობა, როგორც „დ“ გვიჩვენებს, ვიწროვდება. გულმკერდის არეში სპაზმი ვითარდება, ისე რომ სუნთქვა თითქმის აღარ ხორციელდება. ასე ვღებულობთ ემპირიულ საბუთს ცნობიერ და არაცნობიერ რეაქციათა შორის არსებული ფსიქოლოგიური განსხვავების შესახებ.¹⁴

დოქტ. ვილფრედ რ.ზაირონი:

თქვენ საუბრობდით ანალოგიების შესახებ სხეულის არქაულ ფორმებსა და სამშვინველის არქაულ ფორმებს შორის. აქ მხოლოდ და მხოლოდ ანალოგიასთან გვაქვს საქმე თუ უფრო მჭიდრო კავშირი არსებობს? იმის მიხედვით, რაც გუშინ სადამოს ბრძანეთ, შეიძლებოდა გვფიქრა, რომ თქვენ სამშვინველსა და ტვინს შორის რაღაც კავშირს ხედავთ, Brithish Medical Journal-ში* კი ამ ცოტა ხნის წინათ ერთი თქვენი დიაგნოზი იყო გამოქვეყნებული, სადაც სიზმრის საფუძველზე ფიზიკური დარღვევის შესახებ გქონდათ დასკვნა გამოტანილი.¹⁵

თუ ის შემთხვევა სწორადაა წარმოდგენილი, აქედან ძალზე არსებითი რამ გამომდინარეობს, და ამიტომაც მაინტერესებს, ხართ თუ არა იმ აზრის მომხრე, რომ მარადჟამიერად (არქაული დროიდან მოყოლებული) არსებულ ამ ორ ფორმას შორის უფრო მჭიდრო დამოკიდებულებებია.

კ.გ. იუნგი:

აი, ისევ ფსიქოფიზიკური პარალელიზმის საკამათო საკითხს მიადევით, რომელზედაც მე ვერ გიპასუხებთ, რადგან ეს ადამიანური შემეცნების შესაძლებლობებს აღემატება. როგორც გუშინ ვცადე ამეხსნა, ეს ორი ფაქტორი - ფსიქიკური და ფიზიკური - უცნაურად თანხვდება ერთმანეთს.

¹⁴ შდრ. გვ.37, შენიშვნა 15.

*ბრიტანეთის სამედიცინო ჟურნალი (ინგლ.).

¹⁵ შდრ. T.M. DAVIE, Comments upon a Case of „Periventricular Epilepsy” British Medical Journal-ში, ნომერი 3893 (1935 წ. 17 აგვისტო), გვ. 293-297. ეს სიზმარი დევიის პაციენტმა შემდეგნაირად მოუთხრო: „ვიღაც ჩემს გვერდით განუწყვეტლივ რაღაცას ლაპარაკობდა მანქანის შეხეთვის შესახებ. საუკეთესო საპოხ საშუალებად რძე იქნა შემოთავაზებული. ვგონებ, ვფიქრობდი, ნოტიო შლამი უმჯობესი იქნება-მეთქი. შემდეგ რაღაც ტბა ამოაშრეს, და შლამში ორი გადაშენებული ცხოველი აღმოჩნდა. ერთი მათგანი - პაწაწინა” მასტოდონტი იყო, მეორე აღარ მახსოვს”. დევიის კომენტარი: „საინტერესოდ ჩავთვალე, ეს სიზმარი იუნგისათვის წარმედგინა და მეკითხა, რას ნიშნავდა. მან უყოყმანოდ თქვა, სიზმარი ორგანულ დარღვევაზე მიუთითებს და ავადმყოფობა, მიუხედავად სიზმრისეული თანმხლები მრავალრიცხოვანი ფსიქოლოგიური მოვლენებისა, პირველ რიგში ფსიქოლოგიური არ არისო. ტბის დაშრობა მან ახსნა როგორც ცერებროსპინალური სითხის დაგროვება”.

ისინი ერთდროულად იჩენენ თავს და, ჩემის აზრით, მხოლოდ ჩვენს წარმოდგენაში განსხვავდებიან და არა სინამდვილეში. ჩვენ ისინი ორ სხვადასხვა რამედ გვესახება, ვინაიდან ჩვენი სული (გონი) უძლურია, ისინი მოიაზროს როგორც ერთი და იგივე რამ. ამ ორთა ასეთი შესაძლო იგივეობის გამო მოსალოდნელია, რომ ზოგი სიზმარი უფრო ფიზიოლოგიურ მხარეზე მიუთითებდეს, ვიდრე ფსიქოლოგიურზე. ისევე როგორც დანარჩენები შეიძლება უფრო ფსიქოლოგიური მხარისაკენ იხრებოდნენ, ვიდრე ფიზიოლოგიურისაკენ. თქვენს მიერ ნახსენები სიზმარი, სრულიად აშკარად, ორგანული დარღვევების გამოხატულებას წარმოადგენდა. ასეთი „ორგანული გამოხატულებები ანტიკური ლიტერატურაიდანაა ცნობილი.

ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების ექიმები სიზმრებს დიაგნოსტიკური მიზნებით იყენებდნენ. ეს პაციენტი მე ორგანული თვალსაზრისით არ გამისინჯავს. მხოლოდ მისი ისტორია ვიცოდი და ეს სიზმარი რომ მომითხრეს, ჩემი აზრი გამოვთქვი. სხვა შემთხვევებიც მქონია, მაგალითად, მახსოვს კუნთების პროგრესული ატროფიის შემთხვევა ახალგაზრდა ქალთან. დიაგნოზის სისწორე კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. მე მას სიზმრები გამოვკითხე; ორი ძალზე ფერადი სიზმარი ჰქნოდა ნანახი. ერთმა კოლეგამ, რომელსაც მცირე რამ ფსიქოლოგიაში გაეგებოდა, აზრი გამოთქვა, ისტერია ხომ არ სჭირსო. მართლაც, სიმპტომები ისტერიული ხასიათისა ჩანდა და ჯერ კიდევ საკითხავი იყო, ნამდვილად სჭირდა თუ არა კუნთების პროგრესული ატროფია. მაგრამ სიზმრის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივედი, რომ საქმე ორგანულ დარღვევასთან უნდა გვექონოდა, და საბოლოოდ ჩემი დიაგნოზი დადასტურდა. ორგანული დარღვევა ყოფილა, და სიზმრებიც აშკარად მიუთითებდნენ ორგანულ მდგომარეობაზე.¹⁶ ფსიქიკასა და ცოცხალ სხეულს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ჩემი წარმოდგენის მიხედვით ეს ასეც უნდა ყოფილიყო; ასე რომ, ძალიან გამიკვირდებოდა.

დოქტ. ბაირონი:

ამის თაობაზე მოგვიანებით კიდევ ისაუბრებთ, სიზმრებზე როცა გადახვალთ?

¹⁶ C.G. JUNG, Praxis der Psychotherapie (თხზ. ტ. XVI, 1958, პარაგრ. 344 და შემდგ.).

კ.გ. იუნგი:

ვშიშობ, რომ ასეთ წვრილმანებს ვერ განვიხილავ, - ისინი მეტისმეტად სპეციფიკურია. აქ მართლაცდა განსაკუთრებულ გამოცდილებასთან გვაქვს საქმე, რომლის გადმოცემაც ძნელია. ორი სიტყვით ხომ ვერ აგიხსნით, თუ რა კრიტერიუმების საფუძველზე ვმსჯელობ ასეთ სიზმრებზე. ხსენებულ სიზმარში საქმე პატარა მასტოდონტს ეხებოდა. რომ ამეხსნა, რას ნიშნავს ეს მასტოდონტი ორგანული თვალსაზრისით, და რატომ უნდა ჩავთვალოთ ეს სიზმარი ორგანულ სიმპტომად, ეს დიდ მღელვარებას გამოიწვევდა და საშინელ ობსკურანტიზმს

დამწამებდით. ეს ნივთები მართლაცდა სიბნელითაა მოცული. უნდა მესაუბრა მშვიდნიერ-სულიერ სამყაროს წამყვანი კანონზომიერების შესახებ, რომელიც ძირეული არქექტიპული ნიმუშებით აზროვნებს. ძირეული არქექტიპული ნიმუშების შესახებ რომ ვილაპარაკო, ისინი გამიგებენ, ვინც იცის, საქმე რაშიცაა, მაგრამ ვისთვისაც ყოველივე ეს სრულიად უცხოა, იფიქრებს: „სულ მთლად შეშლილა ეს კაცი, - დადგა და ლაპარაკობს მასტოდონტებზე და იმაზე, თუ რითი განსხვავდებიან ისინი გველებისა და ცხენებისაგან”. ჯერ ალბათ ლექციების ერთი ოთხსემესტრიანი კურსის ჩატარება მომიწევდა სიმბოლიკის შესახებ, რათა საქმის კურსში შესულიყავით.

აი, სადაა ძალის თავი დამარხული: ასეთი ნაპრაღია საყოველთაოდ ცნობილსა და იმას შორის, რაზედაც წლობით მიმუშავია. დავუშვათ, მედიცინის წარმომადგენელთა წინაშე რომ გამოვდიოდე, *ჟანეს* ციტირება რომ მოვახდინო, **niveau mental**-ის* თავისებურებათ შესახებ მომიხდებოდა ლაპარაკი; იგივე წარმატებით შემემლო ჩინურად მესაუბრა. ასე, მაგალითად, ვიტყვოდი, რომ **abaissement du niveau mental**-მა* ხანდახან მანიპურა ჩაკრას¹⁷, ე.ი. ჭიპის დონემდეც კი შეიძლება მიაღწიოს. ჩვენ, ევროპელები, დედამიწის ზურგზე ერთადერთი ხალხი კი არა ვართ. ჩვენ მხოლოდ აზიის ერთ ნახევარკუნძულს თუ წარმოვადგენთ, მაშინ როცა ყველა კონტინენტზე მოიპოვება უძველესი კულტურები, რომელთა წიაღშიც ადამიანები ათასობით წლების მანძილზე ინტროსპექტულ ფსიქოლოგიაში იწვრთნიდნენ სულს, ჩვენ კი მთელი ეს ჩვენი ფსიქოლოგია არამც თუ გუშინ, არამედ დღეს დილითღა გამოვიწყეთ. ამ ხალხებს ისეთი შინაგანი ხედვა აქვთ - პირდაპირ ფანტასტიური, და არაცნობიერში ზოგი რამის გასარკვევად იძულებული გავხდით მზერა აღმოსავლეთისაკენ წარმემართა, აღმოსავლური სიმბოლიკის გაგებისათვის გავრჯილიყავი.

*მენტალური დონე (ფრანგ.).

**მენტალური დონის დაქვეითება (ფრანგ.).

¹⁷ იხ. გვ. 18, მე-4 შენიშვნა.

მაღე ერთ პატარა წიგნს გამოვაქვეყნებ მარტოდენ ერთი სიმბოლური მოტივის შესახებ,¹⁸ და აი, ნახავთ, - თმა ყალყზე დაგიდგებათ. მარტო ჩინური და ჰინდუიტიური კი არა, სანსკრიტული

ლიტერატურის შესწავლაც მომიხდა, ისევე როგორც შუა საუკუნეების ლათინური ხელნაწერებისა, რომლებიც სპეციალისტებისთვისაც კი არაა ცნობილი, და რომელთა გასაცნობად ბრიტანეთის მუზეუმში წასვლაა აუცილებელი. როცა პარალელიზმთა ასეთი აპარატი ხელთ გვაქვს, მხოლოდ მაშინ შეგვიძლია დიაგნოზების დასმაზე გადავიდეთ და ვთქვათ, რომ აი, ეს სიზმარი ორგანულია და ის - არა. ვისაც ასეთი ცოდნა არა აქვს, მისთვის მე ჯადოსანი ვარ. ამბობენ, ეს უბრალოდ **un tour de passé-passe-აო.**** შუა საუკუნეებშიც ამას არ გაიძახოდნენ?! დასვამდნენ კითხვას: „საიდან იცით, რომ იუპიტერს სატელიტები აქვს?“ და რომ უპასუხებდნენ, ტელესკოპით ვხედავთო - მერედა რა: რა ბედენაა ტელესკოპი შუასაუკუნეობრივი ბრბოსათვის!

ისე არ მიიღოთ, თითქოს თავს ვიქებდე. სულ ვიზნევი, კოლეგები რომ მეკითხებიან: „როგორ მიხვედით ამ დიაგნოზამდე?“ ან: „ასეთი დასკვნა საიდან გამოიტანეთ?“ ვეუბნები ხოლმე: „გეტყვით, ოღონდ ნება მომეცით გადმოგცეთ ყოველივე ის, რაც საჭიროა იცოდეთ, რომ გაიგოთ“. ასეთი რამ მე თვითონ გამომიცდია, როცა სახელგანთქმული *აინშტაინი* პროფესორი იყო ციურიხში. მე მას ხშირად ვხედავდი იმ ხანებში, როცა ის თავის ფარდობითობის თეორიაზე მუშაობას იწყებდა. ის ჩემი ხშირი სტუმარი იყო, და სულ იმას ვცდილობდი, მისთვის რამე დამეცინცლა ფარდობითობის თეორიის შესახებ. მე მათემატიკური ნიჭი არ გამაჩნია, და უნდა გენახათ, როგორ წვალობდა საწყალი კაცი, რომ როგორმე ჩემთვის ფარდობითობა აეხსნა; უბრალოდ, აღარ იცოდა, რა ექნა, რა წყალში ჩავარდნილიყო. მე, ლამის იყო, მიწაში ჩავმძვრალიყავი; თავს ცეროდენად ვგრძნობდი, რომ ვხედავდი, რა ოფლში იწურებოდა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ფსიქოლოგიის თაობაზე მკითხა რაღაც. აი, მაშინ კი ვიყარე ჯავრი!

¹⁸ ლაპარაკია მანდილას მოტივზე, რომელზედაც იუნგმა რამდენიმე კვირით ადრე ერანოსის ყრილობაზე წაიკითხა ლექცია, რომელიც გამოქვეყნდა ერანოსის ალმანახში, ნომერი 3, 1935 წ., აგრეთვე: C.G.JUNG, Psychologie und Alchemie (თხზ. ტ. 12). იხ. აგრ. გვ. 245.

** რაღაც ემმაკური ოინებიაო (ფრანგ.).

განსაკუთრებული ცოდნა საშინელი ნაკლია, - კაცი, რადაცნაირად, მეტისმეტად შორს მიჰყავს, ისე შორს, რომ მას ახსნა-განმარტების მოცემა აღარ ძალუძს. ნება უნდა დამართოთ, ერთი შეხედვით ელემენტარულ რამეებზე გესაუბროთ; და თუ ჩემს მსჯელობას სწორად მიიჩნევთ, მაშინ ალბათ გაიგებთ, თუ როგორ მივდივარ ამა თუ იმ დასკვნამდე. სამწუხაროა, რომ მეტი დრო არა გვაქვს და ყველაფერს ვერ გაგიზიარებთ. სიზმრების შესახებ როდესაც ვილაპარაკებ, თქვენს ხელთ ვარ, თავს სასწოროზე ვაგდებ: ვაითუ ჭკუანაკლული გეგონოთ, - ხომ გამორიცხულია, ყველა ის ისტორიული საბუთი დავიმოწმო, ასეთ შეხედულებებამდე რომ მიმიყვანა; მაშინ ზედმიწევნით უნდა გადმომეცა მთელი ჩინური და ჰინდუს ლიტერატურა, შუასაუკუნეობრივი ტექსტები და მრავალი სხვა, რაც თქვენთვის უცნობია. ან საიდან უნდა გცოდნოდათ?! მე მეცნიერების სხვა სფეროთა წარმომადგენლებთან ერთად ვმუშაობ და ისინი მეხმარებიან; მაგალითად, ჩემი განსვენებული მეგობარი, სინოლოგი პროფესორი *ვილჰელმი*; მასთან ვთანამშრომლობდი. მან ერთი დაოისტური ტექსტი თარგმნა და მოითხოვა, კომენტარი გამეკეთებინა, რაც მე ფსიქოლოგიური თავალსაზრისით შევასრულე კიდევაც.¹⁹ მე რაღაც საოცრად უცხო ხილი ვარ სინოლოგისათვის. სამაგიეროდ, რასაც ის ამბობს, ჩვენ გვჭირს ყურს. ჩინელი ფილოსოფოსები სულელები როდი იყვნენ. ძველი ხალხები, ჩვენ რომ ბრიყვებად წარმოგვიდგენია, ჩვენსავით ჭკუათმყოფელნი იყვნენ, ის კი არა, იმდენად ჭკვიანები, ჩვენ რომ არც კი დაგვესიზმრება, და ფსიქოლოგია ვერასოდეს აუვა იმის ათვისებას, რაც მას უხსოვარ დროთა კულტურებისაგან ესწავლება, უწინარეს ყოვლისა - ინდური და ჩინური კულტურებისაგან. British Antropological Society-ის** უწინდელი პრეზიდენტი მეკითხებოდა ერთხელ, საკვირველია, ისეთი მაღალინტელიგენტური ერი, როგორიც ჩინელებია, ბუნებისმეტყველებას რატომ არ იცნობსო. ეს თქვენ არ გესმით, თორემ როგორ არ იცნობს-მეთქი, ვუთხარი, - „ოღონდაც მათი ბუნებისმეტყველება კაუზალობის პრინციპი ერთადერთი პრინციპი როდია; ის მხოლოდ ფარდობითია“.

¹⁹ ოქროს ყვავილის საიდუმლოება (ჩინური ცხოვრების წიგნი; თარგმნილი და განმარტებული იქნა რიხარდ ვილჰელმის მიერ, დართული აქვს *კ.გ.იუნგის* ევროპული კომენტარი), თხზ. ტ. 13.

** ბრიტანეთის ანთროპოლოგიური საზოგადოება (ინგლ.).

ალბათ, მომაგებებთ: „რა სისულელეა იმის თქმა, კაუზალობის პრინციპი მხოლოდ და მხოლოდ ფარდობითიაო! განა ვერ ხედავთ თანამედროვე ფიზიკის მიღწევებს?! კი, მაგრამ აღმოსავლეთი აზროვნებისას და ფაქტთა შეფასებისას სხვა პრინციპის აღსანიშნავად. აღმოსავლეთში, რაღა ქმა უნდა, არის ასეთი სიტყვა, მაგრამ ჩვენთვის ის მართლაცდა ჩინურია. აღმოსავლეთში მას **დაო** ჰქვია. ჩემს მეგობარს *მაკ-დაუგოლს*²⁰ ერთი ჩინელი სტუდენტი ჰყავს, რომელსაც მან ერთხელ ჰკითხა, მაინც, ზუსტად რომ ვთქვათ, რა იგულისხმება დაოშიო. ტიპიური დასავლური შეკითხვაა! ჩინელმა აუხსნა, თუ რა არის დაო, მან კი მიუგო, მაინც ვერ გავიგეო. მაშინ ჩინელი აივანზე გავიდა და ჰკითხა:

- რას ხედავთ?
- აგერ, იქ მადლობია.
- კიდევ?
- ხეები.
- კიდევ?
- ქარი ქრის.

და ჩინელმა ხელები აღაპყრო და წარმოთქვა: „ესაა დაო“.

ხედავთ? დაო ყველაფერი შეიძლება იყოს. მე სხვა სიტყვას ვხმარობ ამის აღსანიშნავად, რომელიც საკმაოდ უბადრუკად ჟღერს - მე ამას **სინქრონულობას** ვუწოდებ. როდესაც აღმოსავლელის სული თანადროულად მიმდინარე ფაქტებს აკვირდება, იგი ამ „თანადროულობას“ ისე ღებულობს, როგორც ის არის, დასავლური სული (გონი) კი მას ცალკეულ ნაწილებად ყოფს, ანაწევრებს. მაგალითად, ვინმეს ეს ჩვენი შეკრება რომ ეხილა, იკითხავდა: „საიდან გაჩნდა ეს ხალხი? აქ რისთვის შეკრებილა?“ აღმოსავლურ სულს ეს სულ არ აინტერესებს. ის უფრო ასე იკითხავდა: „რას უნდა მოასწავებდეს, რომ ეს ხალხი აქ შეგროვებულა?“ ეს პრობლემა კი, თავის მხრივ, დასავლურ სულს არ აწუხებს. თქვენ ის გაინტერესებთ, რამაც შეგყარათ და რასაც იქმთ. სულ სხვაა აღმოსავლელი; მისთვის მნიშვნელოვანია ერთად ყოფნა, როგორც ასეთი.

²⁰ WILLIAM McDOUGALL (1871-1938), ამერიკელი ფსიქიატრი. შდრ. C.G.JUNG, *Über die psychologie der Schizophrenie* (თხზ. ტ. III, 1968, პარაგრ. 504) და *Die therapeutische Wert des Abreagierens* (თხზ. ტ. XVI, 1958, პარაგრ. 255).

იქნებ, ეს ასე გამომეთქვა: დავუშვათ, ზღვის პირას დგახართ, და ტალღებმა გამორიყეს ნახმარი ქუდი, ძველი სკივრი, ცალი ფეხსაცმელი და მკვდარი თევზი, და ყოველივე ეს ახლა ნაპირზე ძევს. თქვენ იტყვიან: „შემთხვევითობაა, სისულელეა!“ ჩინური გონი (სული) კი იკითხავს: „რას ნიშნავს აქ ამ ნივთთა თავმოყრა?“ ჩინელი სული ექსპერიმენტს ატარებს **ერთად ყოფნასა და საჭირო მომენტში** თავშეყრაზე, და მას ისეთი ექსპერიმენტული მეთოდი გააჩნია, რომელიც დასავლეთში უცნობია, აღმოსავლურ ფილოსოფიაში კი დიდ როლს ასრულებს. ეს გახლავთ მოვლენათა შესაძლო განვითარების წინასწარმეტყველების მეთოდი, და მას დღესაც იყენებს იაპონელების მთავრობა პოლიტიკურ ვითარებათა განხილვისას. მაგალითად, მსოფლიო ომის დროს გამოიყენეს.* ეს მეთოდი ქრისტეს დაბადებამდე 1143 წელს იქნა ფორმირებული.²¹

***იგულისხმება პირველი მსოფლიო ომი (მთარგმ.).**

²¹ შდრ. I Ging, Das der Wandlungen.

განთავსებულია საიტზე: WWW * QWELLY * CoM

